

ქართველი მარგალია

კუპწლი და ძრინარე

ლიტერატურული ნაჩენები და ქეცხი



თბილისი, 2009
„ეროვნული მნერლობა“

ქეთევან შენგელიას წიგნში თავმოყრილია ბოლო სამი წლის
მანძილზე გამოქვეყნებული ლიტერატურული ნარკვევები
და ესეები. ასევე წარმოდგენილია უკვე გამოცემული
მნიშვნელოვანი მონოგრაფიის „ქართველ მწერალთა
შემოქმედებითი მიმართებები ვაჟა-ფშაველასთან“(გრ.
რობაქიძე, კ. გამსახურდია, მიხ. ჯავახიშვილი) ერთგვარი
გაგრძელება, შემდგომი კვლევის ზოგიერთი ახალი ასპექტი.
ასე, რომ წიგნი შეიძლება მივიჩნიოთ, ერთ ახალ ეტაპად
ავტორის სამეცნიერო და შემოქმედებით გზაზე. ყურადღებას
იპყრობს ქეთევან შენგელიას ინტერესთა მრავალფეროვნება
და სიღრმე. წიგნში შესულია პატარა ციკლი, რომელიც
საუკეთესო უცხოელი და ქართველი პოეტი ქალების
(ემილი დიკინსონი, გაბრიელა მისტრალი, ანა კალანდაძე)
მხატვრულ სამყაროს ნატიფად და მომხიბლავად წარმოჩნდს.
ავტორი ერთნაირი ძალით შეიგრძნობს და გამოკვეთს,
როგორც უცხოური (ბეკეტი, მეტერლინკი), ასევე ქართული
კლასიკური (ვაჟა-ფშაველა) თუ თანამედროვე მწერლების
(თ. ჭილაძე, გ.დუმბაძე) ტენდენციებს მხატვრული ქსოვილის
თავისებურებებს.

რედაქტორი

ინგა მილორავა

ტექნიკური
რედაქტორი

ვაჟა მოარავილი

მხატვარი

ნინო ნაფესიარიძე-გიურიერი

დამტაბადონებელი ლექსო მოარავილი

ISBN 978-9941-0-1930-2

გაპრიელა მისტრალი

(პოეტური ხილვებისა და რეალობის ასპექტები შემოქმედის
ცხოვრების იტორიიდან)

„მე მიტოვებულ შადრევანს ვგავარ — “ წერს ლათი-ნური ამერიკის, ერთ პატარა სოფელში დაბადებული დიდი პოეტი, რომელსაც 1945 წელს ნობელის პრემია მიენიჭა. მან ბავშვობა მონტე-გრანდეში გაატარა; მამის მხრიდან — ინდიელთა შთამომავალი, ხოლო დედის მხრივ, ბასკური ნარმომავლობის იყო. დაიბადა 1889 წელს; როგორც ყველა ნამდვილი პოეტის ლექსებში, მის პოეზიაში ამეტყველებული ცხოვრებისეული სიკეთის მოლოდინიც და ტრაგედიაც საკაცობრიო მნიშვნელობას იღებს და მისი ნაწარმოებები არასოდეს აღიქმება, როგორც მხოლოდ ერთი ქალის საფიქრალი და სათქმელი. ჩილე ამაყობდა მისი სახელით და ღირსეული პატივიც მიაგო პოეტს. წერდა ესპანურად და აზროვნებდა „ღვთიურად“, ინვოდა ცეცხლივით და მოძრაობდა მთის მდინარესავით...

ადრე დაობლებული, უდედმამოდ დარჩენილი გოგონა თითქმის ბავშვობიდან შეუდგა შრომას. 17 წლიდან სოფლის მასწავლებლობა დაიწყო. საგულისხმოა მისი შემოქმედებითი ნარმატების პირველი ეტაპიც, როცა 1914 წელს, ჩილეს ლიტერატურულ კონკურსზე, პროვინციელი მასწავლებელის ლუსილა გოდოი ალკაიაგას სონეტებმა პრემია დაიმსახურა. პოეტის ლიტერატურული ფსევდონიმი — გაბრიელა მისტრალი, მისი საყვარელი ორი მწერლის სახელისა და გვარისგან იყო შედგენილი.

გაბრიელა მისტრალმა შესძლო, სამსახურეობრივი ღვანლიც და საკუთარი შემოქმედებაც გამორჩეული და-ფასების საგნად ექცია. მან გრძელი გზა განვლო სოფლის მასწავლებლობიდან კონსულობამდე. სამსახურეობრივი მისით ბევრგან იყო მიწვეული. აღსანიშნავია მექსიკის განათლების მინისტრის მიწვევაც, სადაც გაბრიელა მის-

ტრალს მონაწილეობა უნდა მიეღო განათლების რეფორმაში. ის მოღვაწეობდა თავისი ქვეყნის საგარეო სამინისტროში და იყო ჩილეს კონსული ამერიკის შეერთებულ შტატებში, ესპანეთში, პორტუგალიაში, დაინიშნა იგივე თანამდებობაზე იტალიაშიც, მაგრამ გაუარესებული ჯანმრთელობის გამო, შინ — ნიუ-იორქში დაბრუნდა.

არიან პოეტები, რომლებიც ემოციებს კი არა, ადამიანური ისტორიებიდან საინტერესო ფაქტებს გვაწვდიან. პროფესიონალიზმი მათ საშუალებას აძლევს მაინც მიიქციონ მკითხველის ყურადღება, დაიმსახურონ კრიტიკოსთა და შემფასებელთა დადებითი განწყობა, ბოლოს და ბოლოს ხელოვანთა ანსამბლში იხსენიებოდნენ, მაგრამ მათ მიერ დახასიათებული სურათები, მათი ტკივილი და სიხარული მხოლოდ მოსმენილი, მშვენივრად გადმოცემული(თუმცა, არც ესაა ადვილი) ამბის დონეზე რჩება. ასეთი შემოქმედება ვერ ახერხებს ისე ააღელვოს მკითხველი, რომ სამუდამოდ ალბეჭდოს მის მეხსიერებაში წაკითხული და განცდილი ფაქტი. ეს გამორჩეულთა გზაა. ამგვარ პოეტთა რიცხვს მიეკუთვნებაგაბრიელა მისტრალი. მისთვის უცხოა ყალბი და ხელოვნურად გამოგონილი სევდა. სასიამოვნოა, როცა ნებისმიერი მწერალი თავისი ფანტაზიით ქმნის, იგონებს საინტერესო ამბავს და საკუთარ სამყაროს გვთავაზობს, მაგრამ არაფრად ვარგა ყალბი ემოციები, რომელთა ამოცნობა არცთუ ისე ძნელია კარგი მკითხველისთვის. პოეტი ლექსის „მოსაკაზმად“ კი არ „ჩივის“ რაიმეს, პირიქით, სურს პოეზიით უშეველოს სატკივარს. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მისი ცხოვრებისეული ისტორია ზედმიწევნით მისდევს მის შემოქმედებაში აღნერილ ტკივილებს; ამ შემთხვევაში, ამგვარ სიმართლეზე სრულიად არ ვსაუბრობთ. ჩვენ აქ უნდა ვიგულისხმოთ სწორედ ის ფაქტები და განცდები, რომლებიც ავტორის სულიერი თავგადასავალის, მისი ტრაგიზმისა თუ აღფრთოვანების საფუძველი და მიზეზია. ამის ერთი თვალსაჩინო მაგალითია გაბრიელა მისტრალის შემოქმედებიდან „დედის პოემები.“ უშვილო ქალმა შექმნა საოცარი ლექსები, სადაც მშობლის განცდებია აღნერილი არა მარტო საკუთარი ჩვილის მიმართ, არამედ მაშინაც,

როცა ქალი ბავშვის დაბადებას ელის. აქ გადმოცემული გრძნობები წუთით არ ტოვებს გამოგონილი ბედნიერების შთაბეჭდილებას: „მთელი ღამე წამებაში გავატარე, მთელ ღამეს ძაგძაგებდა და ბორგავდა ჩემი სხეული ჩემთვის საჩუქრის მოსართმევად. საფეხულებზე ცივ ოფლს მასხამს, სიკვდილის პირას ვარ. მაგრამ სადაა სიკვდილი?! ეს სიცოცხლეა!

შენ მოგიხმობ, უფალო, მარადიულო ლმობიერებავ, სათუთად მომწყვიტე იგი!

დაიბადე ჩემო პატარავ, რომ გამთენისას გაისმას ჩემი შეკველება და ჩიტების გალობას შეერიოს!“ (გაბრიელა მის-ტრალი, პოემები პროზად, მოთხრობები, მთარგმნელი — მ. გიგინეიშვილი, გამომცემლობა „საარი“, 2003, გვ; 15) — ნერს პოეტი.

მძაფრი შეგრძნებები, რომლითაც ეს პოემები გამოირჩევა, გვაოცებს გულაბდილობით. მიუხედავად იმისა, რომ ამ-ბავი გამონაგონია, მას იმგვარი ემოცია სდევს, რომ თავი-დან, თითქოს საჩოთიროდაც კი უდერს ქალის სურვილების ასეთი ხორცულებამა, მაგრამ თანდათან იხიბლები ავტორის „გამბედაობით“ და „გულწრფელობით“, მისი ოცნებები სი-ნამდვილედ ცოცხლდებიან:

„არა, ლმერთი სიბერნეს როგორ არგუნებდა ჩემს წი-ალს?! სწორედ უფალმა შემივსო წელი. ვგრძნობ, როგორ მეზრდება მკერდი, ზემოთ ინევს ნელა, როგორც წყალი პა-ტარა ტბორში. ძუძუები მიიფუვდება და ეს საიმედო დაპირე-ბასავითაა ჩემი პატარისოთვის. ვინ იქნებოდა ამ ქეყანად ჩემზე საცოდავი, ჩემი წიაღი რომ არ განაყოფიერებული-ყო?!!... (იქვე, გვ; 11)

გაბრიელა მისტრალის შემოქმედება დავალებულია მისი პროფესიდან თუ პირიქით... არ ვიცით. მასწავლებლობამ პოეტი ჩაახედა ბავშვის სულიერ სამყაროში, წამალა ზღ-ვარი მის უშვილობასა და მშობლის ოცნებას შორის. მისრ-ტალის პოეზიაში, სხვა საკითხებთან ერთად, ყველაზე ნათ-ლად ჩანს მასწავლებლის მიერ, მოსწავლის მიმართ გაცემუ-ლი სიკეთისა და სიბრძნის აუცილებლობა და ამ მოვლენის მარადიულობა; მისი ცვალებადობის შეუძლებლობა(ცოტაა

მოვლენა, რომლის შეცვლაც არ შეიძლება). მომავალი თაობის ზნეობრივი სრულყოფის მცდელობა ერთი მთავარი ფაქტორია, რომლის საშუალებითაც სიკეთე ბოროტებას უნდა დაუპირისპირდეს. ერთი შეხედვით, სიკეთესა და ბოროტებაზე საუბარი, თითქოს უკვე „მოსწყინდა“ თანამედროვე ლიტერატურულ სივრცეს, მაგრამ ვერ დავივიწყებთ იმ ფაქტს, რომ სწორედ სიკეთის ნაკლებობა ატრიალებს ყოველდღიურ, ხან სხვისი თვალისათვის შეუმჩნეველ, ხან კი, ისტორიის მსჯელობის საგნად ქცეულ რტაგედიას.

გაბრიელა მისტრალი დიდხანს ასწავლიდა ბავშვებს ჩილეს სოფლებსა და სხვადასხვა ქალაქებში. შემდგომში კითხულობდა ლიტერატურის კურსს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში და იყო მათი საპატიო დოქტორი ჩილესა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ესპანეთისა და იტალიაში.

მას მასწავლებლობა წმინდა საქმედ მიაჩნდა. გაბრიელა მისტრალის ღვაწლი ამ მხრივ არაფრით ჩამოუვარდება მის-სავე შემოქმედებას; საყვარელ საქმეშიც და შემოქმედება-შიც თანაბარი სიძლიერით იხარჯებოდა მის გულში გაჩენილი სიყვარული და სითბო. მისგან მოედინებოდა დადებითი ენერგია, რომელიც ყოველთვის საგრძნობია გვერდზე მყოფი ადამიანისთვის. პოეტი ახერხებდა გამოეკვება მოსწავლეების სულიერი სამყარო. ყოველდღე ცდილობდა დაეხვენა და დიად, მნიშვნელოვან მოვლენად ექცია თითოეული გაკვეთილი. მას დაწერილი აქვს მასწავლებლის ლოცვა, სადაც ღმერთს ევედრება მიუტევოს, რომ თავადაც მასწავლებლად იწოდება. სთხოვს, რომ განარიდოს „ყოველგვარ ძალმოსილებას“. ამონარიდი მისი ნაწარმოებიდან ზნეობრივი სიმაღლის ისეთ ფაქტს ქმნის, რომ გაოცებულიც კი რჩება მკითხველი, საქმისა და პრობლემის მიმართ ასეთი ფაქტიზი დამოკიდებულებით: „უფალო მიბოძე სულგრძელობა... მომმადლე ნიჭი სიყვარულისა, შემაძლებინე, რომ დედისა მჯობ დედად გავუხდე, დედასავით შევითვისო და დავიცვა ისინი, ვინც არ არის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი ჩემი. მიბოძე ძალა, რომ ჩემი ლექსივით დაგვხვენო და სრულვყო რომელიმე გოგონა ჩემს მონა-

ფეთაგან“... (იქვე; გვ 39).

გაბრიელა მისტრალის შემოქმედებიდან უნდა აღინიშნოს მისი „სასკოლო მოთხოვბები“, სადაც ის მონდომებით უხსნის ბავშვებს, რატომ აქვს ლერწამს ღრუ, რატომ არის ვარდი ეკლიანი... ავტორი საინტერესო პერსონაჟებად აცოცხლებს ყვავილებსა და ბალახებს. მცენარეთა საუბარში ყოველთვის საჩინოს ხდის, რომ ყველაფერში უფლის ხელი ურვია.

„მასნავლებლის ათი მცნება“, რომელიც გაბრიელა მისრტალის მოქალაქეობრივ კრედოს წარმოადგენს, ყოველი ფრაზის წაკითხვის დროს გვიდასტურებს, რომ ავტორის გულში დაუცხრობელი სიყვარულის კოცონი გიზგიზებს. პოეტი მთელი სულით და გულით ემსახურება ბავშვების აღზრდას და ეს მისთვის განგების საჩუქარივით წმინდა და მოსაფრთხილებელი რამ არის. „ასწავლე ისე, რომ გახსოვდეს მშვენიერება, რადგან იგი დედა ყოველივესი; გახსოვდეს შენი პროფესია ხელობა კი არა, — ღვთისმსახურება“-ო(იქვე გვ; 41) წერს იგი.

საკუთარ მემკვიდრეს მონატრებულმა პოეტმა, მზრუნველობა იკისრა ნათესავ ყმაწვილზე — ხუან მიგელზე, რომელმაც მასთან ცხოვრების პერიოდში, 1943 წელს, მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო თავი მოიკლა. გაბრიელას გაახსენდა ახალგაზრდობისდროინდელი სიყვარული — რომეო ურეტა და მასთან დაკავშირებული ემოციები. ყმაწვილი რკინიგზელი მუშა იყო. მომავალ პოეტს 1906 წელს შეხვდა და ისინი ორ წელიწადში დაშორდნენ ერთმანეთს. 1909 წელს რომეო ურეტამ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. მის ჯიბეში გაბრიელა მისტრალის მიერ მიწერილი წერილი იპოვნეს. ეს ტრაგედია აისახა პოეტის პირველ კრებულშიც და გაბრიელას ცხოვრებასაც დიდი კვალი დაამჩნია. ის არ გათხოვილა და არც შვილი შესძენია. ვაიდეალებთ სიყვარულთან დაკავშირებულ გარდაცვლილ ადამიანებს. ძნელია მათ ვინმებ აჯობოს; მით უფრო, თუ მისი სიცოცხლე თვითმკვლელობით სრულდება და თან სატრფოს წერილი მიჰყვება საგზლად. ვინ დაჩრდილავდა ცოცხალთა შორის, ქალის ხსოვნაში აღბეჭდილ მის გრძნობებს და ემოციებს. ვინ

აჯობებდა სიყვარულში?, ვეღარავინ! ვინ შეაფასებდა ამ ტრაგედიას გაბრიელა მისტრალზე უკეთ, და ვინ მოახერხებდა საკუთარი სატრფოს სახელისა და თვითმეცვლელობის გაკეთილშობილებას, ვინ დაიჭრებოდა გულში სამარადჟამოდ? — მხოლოდ დიდი პოეტი.

ძნელია გენატრებოდეს და არ გყავდეს შვილი, ძნელია განწირული სიყვარული დაგდევდეს აჩრდილივით და არ დაითრგუნო, არ იყლოს შენში სიკეთის კეთების სურვილმა. ძნელია მუდმივად სხვისი შვილების გაკეთილშობილებასა და სრულყოფაზე ფიქრი, როცა საკუთარი ტრაგედია და დიდი შემოქმედება მუდმივ თანამგზავრებად აგდევნებიან. ამას გამორჩეული პიროვნებები ახერხებენ. ეს შესძლო გაბრიელა მისტრალმა. მისი შესანიშნავი პოეზია ძალიან ჰყავს მისი ცხოვრების გზას. ხელოვანთა შორის ბევრია, ვინც თავისი შემოქმედების გამო, უარი თქვა ახლობელთა და ძვირფას ადამიანთა სურვილებისათვის გაეწია ანგარიში. ხშირად მათ, გარშემო მყოფთა ბედნიერებაც შეუნირავთ. დატოვეს ფასეული და მნიშვნელოვანი ქმნილებები, თუმცა ვერ დაიცვეს გვერდით მდგომი ადამიანები ცხოვრებისეული სუსსისგან; ვერ მოიცალეს ახლობელთათვის, ვერ დაემსგავსნენ თავიანთ დიდებულ ქმნილებებს. მათ მხოლოდ შემოქმედებით გაიღეს ხარკი მემკვიდრეობისთვის. გაბრიელა მისტრალმა სხვა გზა აირჩია, დაიდი გზა, სიკეთისა და კეთილშობილების გზა. არაფერი რომ არ დაეწერა მისი პიროვნება მაინც დაიმსახურებდა ინტერესსა და სიყვარულს, რადგან სიკეთეს ერთი თვისება აქეს, ის ადრე თუ გვიან, ბუმერანგივით ბრუნდება უკან.

გაბრიელა მისრტალის შემოქმედებას კრიტიკოსთაგან დიდი შეფასებები ხვდა წილად. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს სხვადასტვა ენებზე და გამოცემულია პოეტის არაერთი წიგნი: „სიკვდილის სონეტები“, „სინაზე“, „სასონარკვეთილება“, „ეკლიანი ხე“, „პოემა თეთრ ღრუბლებზე“, „საწნახელი“...

მისტრალის პოეზია მიჩნეულია ლათინური ამერიკის „სულიერ მისნრაფებათა სიმბოლოდ“. მის შემოქმედებაში გვხვდება ყველა ის მნიშვნელოვანი თემა (ლვთის საგალო-

ბელი, დედის სახე, სამშობლო, ბუნება, მოგზაურობის დროს ნანახი უცხო ქვეყნის ღირსშესანიშნაობანი, უცხოელთა ყოფა და კულტურა, ხელოვნების დანიშნულება...), რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ავტორის პოეტური სამყაროს სრულყოფა. უნდა აღინიშნოს, რომ მისი სალექსო საზომიც ცვალებადია, გვთავაზობს სალექსო ფორმათა ვარიაციებს, ხშირად მიმართავს „პოეტურ პროზასაც“.

არ შეიძლება შეიქმნას მომავალი წარსულის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ გაბრიელა მისტრალი ზოგადსაკაცობრიო საზრუნავს ხშირად ეხება და ძნელია მისი განცდები მხოლოდ ჩილელ ხალხს მიაკუთვნო, მის შემოქმედებაში გამორჩეული სილამაზე შემოაქვს ისეთ ლექსებს, სადაც პოეტის წინაპართა ყოფა და გარემო იხატება.

„მზეო ინკების, მზევ მაიასი
ამერიკულო, მწიფე ნაყოფო,
მითხარი შენი მწველი მზერის ქვეშ
მუქი მაია როგორ ამყოფე,
მაგ ანთებული სხეულისათვის,
რომ გიჟდებოდა კიჩუას კაცი,
და ტანი ძველი აიმარასი,
როგორ შეღებე წითელი ცარცით“.

(„პიმი ტროპიკების მზეს“, მთარგმნელი ლია ჭავჭავაძე, ლიტერატურა და ხელოვნება, 1965; გვ. 57)

პოემაში ცოცხლდება ინკების, მაიას, კეჩუას ინდიელთა ტომები. მათი ფერადეკანიანი სხეულები, მოხატული სახეები. აქვეა ნაჩვენები ტომებად მცხოვრები ხალხის მისწრაფებები, მათი ხატები. მზე მისთვის „მწყემსია მაღალი“, ღვთაებაა, რომელსაც თავისი წინაპართა მსგავსად ეტრიფის ავტორი. მზე ხან წითელი შადრევანია, ხან წასვლა-მოსვლისას წითელ და თეთრ ხოხობს ჰგავს. აქ წითელი ფერი სიცხესთან, სიცოცხლესთან, თავისუფლებასთნ და ენერგიასთან არის ასლცირებული. ის მისთვის, როგორც ყველა ღვთაება, მარადიულობის სიმბოლოც არის. „ინკთა მოგვებივით სულაბორგებული“ უბრუნდება პოეტი წარსულს.

ავტორი გვიხატავს ინდიელთა ცეკვას, „ჩუმი სტვენით შეშფოთებულ ანაკონდებს“, ცისფერ ცამდე ასულ მანგოს, ყვავილებით სავსე მინდორს. ვხედავთ აყვავებულ იუკას და ბერნუშს, ინდიელთა ღარიბულ ქოხებს. გაბრიელა მისტრალი აქ თავისუფალია მსოფლიო სევდისგან, დაღლილი უბრუნდება მშობლიურ წიალს და სთხოვს მზეს დაავიწყოს უცხო მინაზე განცდილი სიმწარე, სადაც თაფლი წყალს ჰგავდა, ღვინო იყო „დაღლილი“ და მკვდარი ვარსკვლავი ედგა თავზე. ავტორი ხან მზეს მიმართავს და ხან მშობლიურ მინას. როგორც ჩანს, ეს მისთვის თანაბარი სიმაღლის „ხატებია“.

„ხარ მპრძანებელი ასე კეთილი,
მთიდან ჩანჩქერის ელვად ენთები,
განა ღმერთია შენებრ კეთილი,
დაგიჩოქებენ ყველა ღმერთები.

ვით შენს ვენახში ოქროს მარცვალი,
მოვალთ მინაზე სხივთა გუნდებად,
მოვალთ სხვაგვარი გულის ფანცქალით
და უკვდავება დაგვიბრუნდება.“

(იქვე, გვ. 66)

პოეტი მზეს ველის და წყაროების, ჭალების და მინდვრების რჩეულად აცხადებს. მის შემოქმედებას ამშვენებს პროზა, რომელსაც ჰქვია „ვნების მოტივები“. აქ სტიქიათა ცეცხლის და წყლის, აგრეთვე ქვების, ქვიშის, კოცნის, ზეთისხილის ხეების ბუნებაა გადმოცემული. ეს ნანარმოებები სწორედ ავტორის ნინაპართა მემკვიდრეობიდან უნდა იღებდეს სათავეს. აქ ცეცხლი შმაგი და სხარტია, ფერფლი მჩატე და ჩუმი, წყალი ჩქარი და მეხსიერების არმქონე. „ზღვის წყლისგან გვაქვს სისხლში მარილი და ჩვენივე სისხლით დატკბება ზღვა. ეს ნამდვილად მოხდება, მაგრამ არა უადრეს ჟამთა აღსასრულისა“-ო(გაბრიელა მისტრალი, პოემები პროზად, მოთხოვნები, 2003. გვ; 65), ასე ფიქრობს ავტორი.

სტიქიებზე მსჯელობის დროს, გამორჩეულია მისი შედარებები, ისინი საოცარ წარმოსახვებს ბადებს. გავიხსენოთ თუნდაც „ცეცხლი“. ის „ელვარე სამკაულებით ცეკვავს ტყეში და თან ფეხებში უღიტინებს ხეებს“; ცეცხლს „გარინდებიდან გამოჰყავს ლითონები... ადნობს ოქროს, რათა იხილოს მისი წვეთი — იდუმალი ღმერთების სისხლის ნაშეფი“. გაბრიელა მისტრალს თავადაც ცეცხლოვანი ბუნება აქვს, სწორედ ამიტომ, ამ ნაწარმოებში ცეცხლი მთელ სამყაროს მოსდებია, ის ყველგან არის: ტყეში და წყალთან, ქარხნებსა და ზეცაში, ადამიანთა გულებში, სადაც სიყვარულის და სიძულვილის ალი ბრიალებს. უჩვეულოა ამგვარი დახასიათებაც: „ცეცხლი სულინმინდისა — თეთრად მოგიზგიზე ორი მუგუზალი — მტრედის ორი ფრთა! ცეცხლი, პავლეზე რომ გადმოვიდა და განმსჭვალა იგი თხემით ტერფამდე!“ (გ. მისტრალი, მთარგმნელი მ. გიგინეიშვილი, გამომცემლობა „საარი“, 2003, გვ 62).

მსოფლიო კულტურული სივრცე პატივისცემითა და აღფრთოვანებით შესცექეროდა პოეტს. რაღათქმა უნდა, მზის კულტი და ინდიელთა ტომების ცხოვრება ცივილიზაციის მწვერვალს რომ არ წარმოადგენდა, მშვენივრად იცოდა; მაგრამ ისე, როგორც დიდ პიროვნებას ეკადრებოდა, მას ეყო გამბედაობა და საკუთარ შემოქმედებაში თავის წინაპართა სული გააცოცხლა, მათ ქოხში შევიდა, მათსავით მოუდრიკა მზეს თავი და იცეკვა... ინდიელივით იცეკვა ლექსებში... რითაც გვანიშნა: თუ ასე კარგი და მომხიბვლელი ვარ, იცოდეთ საიდანაც მოვდივარო... მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ იგივე პოეტი ამბობს: „მშვენიერება არ არის გრძნობისათვის სატყუარა, იგი საზრდოა სულისათვის. შენს ყოველ ქმნილებას კრძალვით შეეგება, რადგან, იგი ნაკლებია შენს ოცნებაზე, რომელიც არის ღვთაებრივი უბრალოება“. („ხელოვნების ათი მცნება“)

გაბრიელა მისტრალის გარდაცვალება 1957 წელს სამდღიანი გლოვით აღინიშნა ჩილეში და პოეტი ნიუ-იორკიდან დასაკრძალად მშობლიურ მიწა-წყალზე ჩამოასვენეს. „ხალხს დიდი მწუხარება დაატყდა თავს, თითქოს კორდილიერებს უზარმაზარი კლდე მოსწყდა და 7000 მეტრის სიმაღ-

ლიდან პირდაპირ ჩილელ ხალხს დაეცა გულზეო“ — წერდა პაბლო ნერუდა თავისი მასწავლებლისა და მეგობრის გარდაცვალებაზე. 1958 წელს ქალაქ სანტიაგოში გადაწყვდა გაბრიელა მისტრალის სახელობის ყოველწლიური ლიტერატურული კონკურსის დაწესება.

მზით ნასაზრდოები, ტროპიკულ მცენარეთა ნაყოფით გაუღენთილი, მწვანე, უზარმაზარ ფოთოლთა სილამაზეში დაბადებული, მისი ენერგიული, ლალი და გულწრფელი პოეზია, სითბოსა და ტრაგიზმს ერდროულად რომ იტევს, ღონიერი ტოტებისა და ყვავილებისგან დაწნულ, უშუალობისა და უბრალოების გვირგვინს იხდენს. ხშირად, აღტაცებით ასე მოიხსენიებდნენ — „ცეცხლოვანი და ღვთისმოსავი გაბრიელა“.

ემილი დიკინსონი — უცნობი და ახლოპელი

(რამდენიმე შტრიხი პოეტის ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან)

„სიცოცხლის მთელი სიხარული შემოქმედებაშია. ქმნიდე, ნიშნავს მოკლა სიკვდილი“ — წერდა რომენ როლანი. ქმნიდე, უეჭველია და არავისოთვის არის უცხო, რომ ნიშნავს აზროვნებდე; სხვაზე მეტად გტკიოდეს და გესმოდეს ამ წუთისოფლის წვრილმან საზრუნავთა ამაოება. ქმნიდე, ნიშნავს იტანჯებოდე ქვეყნისა და მოყვასთა ტკივილის, დაჩიქებული და გათელილი გულისხმიერების გამო. ქმნიდე, ნიშნავს ოცნებასა და რეალობას შორის, მეხსიერებაში გარინდულ ფიქრს ბავშვივით ზრდიდე, რომელიც სულიდან ყველაზე მნიშვნელოვან ნაპერნკალს ისესხებს და მერე ცეცხლივით აინთება. ქმნიდე, ნიშნავს იწვოდე.

მწერლის კალამმა იტვირთა სულისა და გონების მოძრაობის, დასაშვები და დაშვებული რეალობის ასახვა მხატვრული მეტყველების საშუალებით. პოეზია და მშვენიერება „იდენტურ“ ცნებებადაც კი არის მიჩნეული ხელოვნების მოყვარულთათვის. სანამ რომელიმე მწერლის სულში ჩახედვას ვეცდებით და მისი შემოქმედების მხატვრულ-ესთეტიკურ ან იდეურ მხარეს შევეხებით, გავიხსენოთ, რომ ლიტერატურათმცოდნეობა მონიდებულია თანამედროვეობის პოზიციიდან შეაფასოს თავისი კვლევის ობიექტი; ისიც ცნობილია, რომ ამ შეფასებისას, ბევრი რამ, საზოგადოებრივი გემოვნების გათვალისწინებითა და ცალკეულ კრიტიკისთა მიერ, ინდივიდუალურ და ობიექტურ მოტივთა ნაირსახოვნებით არის განპირობებული. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისათვის, მკვლევარის მიერ ნანარმოების სუბიექტური აღქმა და თანაგანცდა შემოქმედის ემოციებისა, ალბათ, უფრო საინტერესოც უნდა იყოს, ვიდრე „დაკანონებული“ შეხედულებები. ის, რაც ნამდვილად ფასეულია, მარად თანამედროვეა; ამიტომაც, ჭეშმარიტი პოეზია ყოველთვის ტოვებს ხელახალი წაკითხვისა

და გააზრებისათვის მზაობის სურვილს.

ემილი დიკინსონს, სულ რამდენიმე პოეტთან ერთად(ედგარ პო, უოლტ შიტმენი, ლონგფელდო...) მნიშვნელოვანი „მისია“ დაეკისრა ამერიკული მხატვრული აზროვნებისა და გემოვნების ჩამოყალიბებაში. დაიბადა 1830 წელს, ქალაქ ამშერსტმი, მასაჩუსეტსის შტატში. აქვე იცხოვრა და გარდაიცვალა 1886 წელს. ხელმოუწერელ ნეკროლოგში, პოეტს, უცნობმა „მარგალიტის ნიუარაში გამომწყვდეული ცეცხლოვანი სული უწოდა.“ ეს მეტაფრაზისი იმიტომ მოგვაგონდა, რომ ამ სიტყვების ავტორი, პოეტის, ერთი შეხედვით „უმოძრაო ყოფის“ მიღმა, ენერგიით და ემოციებით სავსე, აფორიაქტულ სიცოცხლეს ხედავს. ამის დასტური მსოფლიო ლიტერატურისთვის ემილი დიკინსონის გარდაცვალების შემდეგ გახდა საცნობი. საგულისხმოა ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ თავისი განმარტოებული ცხოვრების წესის გამო, როგორც მიჩნეულია, პოეტს არავითარი საერთო არ ჰქონია მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებთან; უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ვერც ერთმა ლიტერატურულმა მიმდინარეობამ ვერ მოახდინა ზეგავლენა მის პოეზიაში ლექსიკურ-ფორმობრივ თავისებურებასა და ფსიქოლოგიურ-ანალიტიკურ, ბრძნულ აზროვნებაზე. დიკინსონის შემოქმედებაში არ ასახულა არც იმ ჰერიოდში არსებული მნიშვნელოვანი ისტორიული თუ პოლიტიკური ყოფის საკითხები. პოეტი საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობით არის დაკავებული. მისი შემოქმედება ფილოსოფიური და მეტაფიზიკური ვარიაციებია; ნოვატორია პოეზიაში და ნაწილობრივ წინასწარმეტყველიც. ბუნება, ღმერთი, სიკვდილი და სიყვარული მისთვის ყველაზე საინტერესო მოვლენები და ძირითადი თემებია.

„მე დრო არ მყოფნის სიძულვილისთვის,

რადგან სიკვდილი, ვიცი, ანაზდად

მომაშთობს სადღაც და მაშინ მტრობას,

ვეღარ მოვასწრებ მთელ ქვეყანასთან.

არც სიყვარულის დრო მყოფნის, მაგრამ

რაკი ნიადაგ უნდა შრომობდე,

მე სიყვარულის ყველაზე მცირე
გარჯაც ჩამითრევს, ალბათ, ბოლომდე.“ (დიკინსონი,
მთარგმნელი გ.ნიშნიანიძე, 2005: 65)

თარგმანში ყურადღება არ ექცევა პოეტის დამოკიდებულებას სასვენი წიწნების მიმართ. ემილი დიკინსონი ტირეს იყენებს მძიმისა და ზოგჯერ წერტილის ნაცვლადაც კი. მისი ლექსები უსათაუროა; დიდი ასოთი წერს სტრიქონის პირველ და ყველა იმ სიტყვას, რომელსაც, პოეტის აზრით, მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება. ამგვარი ხერხით არის მის შემოქმედებაში ხაზგასმული ინტონაციური მახვილიც და არსიც; ვხვდებით რეტარდაციასაც. დიკინსონი ატარებს ენობრივ ექსპერიმენტებს, არღვევს სიტყვათა შეთანხმების წესს. ერთ-ერთი მკვლევარის დაკვირვებით, რითმებსაც უგულისყუროდ ეპყრობა. ხან პირველ სამ სტრიქონს საუკეთესოდ რითმავს და დანარჩენს ყურადღებას არ აქცევს, ხან საგანგებოდ იყენებს ცუდ რითმებს. „მან უგულვებელყო ზუსტი რითმა, იმიტომ კი არა, რომ ეზარებოდა შრომა და ფიქრი, არამედ იმიტომ, რომ ზუსტი რითმები, მისი აზრით, შემოქმედის შინაგანი სამყაროს კონსერვატულობას ადასტურებდნენ. ის ზუსტ რითმებს „პროზას“ უწოდებდა და კარგად გარითმულ ლექსებს — რითმების მონებს“ (ვაილდერი). მკვლევარისა და დიკინსონის აზრი ბევრი შემოქმედისათვის შეიძლება მიუღებელიც ალმოჩნდეს, მაგრამ პოეტი მხოლოდ საკუთარი შემოქმედების სამრეკვლოდან გვესაუბრება და იქ, ნამდვილად, თავად უკეთ იცის რა ურჩევნია.

ემილი დიკინსონის პოეზია ტრაგიკული ადამიანის მიერ დაწერილი სტრიქონებია. ის მთელ სამყაროს ეკუთვნის. მასში აისახება სულისმიერი კატასტროფები, სიმარტოვის შიში, ადამიანთა შორის გაუგებობრიბის შედეგად გაჩენილი საშინელი სევდა. იქნებ, სწორედ ამგვარმა ტკივილებმა აიძულა პოეტი უარი ეთქვა ხალხთან ურთიერთობაზე და მხოლოდ მიმოწერის საშუალებით დაკავშირებოდა მათ. ერთ-ერთი ლიტერატორი და გამომცემელი, რომელთანაც ხანგრძლივი მიმოწერა ჰქონდა ჰიგინსონია. ემილი სწორდ მის აზრებს ანიჭებდა უპირატესობას თავისი შემოქმედების შესახებ. რედაქტორს არ ეყო გამბედაობა და, ალბათ,

არც ნიჭი, ბოლომდე გამოეცნო მეგობრის ტალანტი და მის ხელთ არსებული ლექსები ავტორის სიცოცხლეში ეღიარებინა ან დაებეჭდა. „შემაცბუნებელი იყო მისი სტილი — რაღაც თამაშის მსგავსი — ყოველდღიურობისა და მარადიულობის ერთ სიბრტყეზე დაყენება... მკითხველისათვის მოულოდნელი შედარებების გამოყენება, ახალი, მკითხველისათვის უჩვეულო სისტემა მხატვრული სახეებისა... სრულიად მოულოდნელი, შეუდარებელი მეტაფორები და ეპითეტებით(მაგალითად, ბანქოს გამშლელი ლმერთი, ანდა სატრაოს წასვლა, აღნერილი როგორც მათემატიკური მოქმედება — გამოკლება), არაზუსტი რითმები...“(კობაიძე 2005: 11). ემილი დიკინსონმა, როცა მოკრძალებული კითხვით მიმართა რედაქტორს — ცოცხლობდა თუ არა მისი პოეზია — საპასუხო ბარათით, მართლწერის შესახებ მის მიერ გამოთქმული შენიშვნები მიიღო. პოეტი მაინც გულითად მიმოწერას აგრძელებდა ჰიგინსონთან და წერილებში არსად ჩანს მისი გულისტკივილი დაუბეჭდავი ლექსების გამო; მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ასეთ მგრძნობიარე, მოკრძალებული, მარტოსული და ღრმა განცდების მქონე პიროვნების განწყობილებაზე ამას უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა. ცნობილია ის ფაქტიც, რომ პოეტს მიმოწერა ჰქონდა სამუელ ბოულზთან. მან გამოაქვეყნა ლიტერატურული წერილი, სადაც მოიხსენია „მარტოხელა ქალის ავადმყოფური პოეზია“. დიკინსონმა ეს მძიმდ განიცადა; თუმცა, არც მასთან შეუწყვეტია ურთიერთობა. თუ ვინმეს გამოუცდია რამხელა სიხარულია, როცა გეგულება ადამიანი, ვისაც გულს გადაუშლი და ენდობი, ადვილად მიხვდება რა მტკივნეული შეიძლება აღმოჩნდეს მისგან მოყენებული ამგვარი ჭრილობა. ამან შეიძლება სული მოგინამლოს და სასონარკვეთამდე მიგიყვანოს.

პოეტს განუხორციელებელი და უიღბლო სიყვარულის ტკივილებიც არ მოჰკლებია. მისი შემოქმედების შთაგონების ერთ-ერთი წყარო მოძღვარი უოდსვორთი იყო. მასთან განშორებაც (სამუშაოს გამო ის სან-ფრანცისკოში გადავიდა საცხოვრებლად) და ამ პიროვნების გარდაცვალებაც ემთხვევა იმ წლებს, როცა ემილიმ საბოლოოდ გამოიკეტა

თავისი სახლის კარი და მთლიანად შემოქმედებას უძღვნა დარჩენილი სიცოცხლე.

„რა პატარაა კუბო,
სამეფო მტკიცე საზღვრებით,
სამოთხის მოქალაქენი
ამ სივიწროვეს არ გრძნობენ.

.....

და თუ ერთადერთ მეგობარს
ანდობ პანია მღვიმეს —
ნუ ელი სულის სიმშვიდეს —
და ნურც სიახლის იმედს.“ (დიკინსონი მთარგმნელი დ.ინწკირველი, 1981: 25)

ქალი, რომლის პოეზიაც ყველაზე ხშირად სიკვდილსა და სიყვარულს დასტრიალებდა, რა გასაკვირია, რომ ადგილად ვერ გადაიტანდა, თუნდაც „ნარმოსახვითი“, მიუწვდომელი ადამიანის დაკარგვას. მკვლევართა და ემილი დიკინსონის თანამედროვეთა აზრით, ისინი ორჯერ თუ სამჯერ შეხვედრიან ერთმანეთს; მხოლოდ მიმოწერა ასულდგმულებდა პოეტის შთაგონებას. ვფიქრობ, ამგვარი ფაქტი და განსაკუთრებით „ამგვარ“ შემთხვევაში, მნიშვნელოვან დასკვნას ვერ გაგვაკეთებინებს გრძნობათა სიმძაფრისა და სიძლიერის შესახებ. აქ მთავარია პიროვნული ფაქტორი. მთავარია, როგორ პიროვნებას უყვარდა ან, თუნდაც, ეგონა, რომ უყვარდა, ეგ სულერთია. იქნებ, როცა ადამიანისგან ხელშესახებს ვერაფერს ღებულობ, ვერც თავად ეხები, არც ელი, რომ ოდესმე ყველაფერი „კარგად“ იქნება და მაინც გიყვარს, ესაა სწორედ სიყვარული... ვინ იცის?! ყველაზე დიდი ადამიანური დღესასწაული სასიცოცხლო ენერგიაა და ის ქაღალდზე დაწერილი ბარათებით გასულდგმულებს თუ ათ მემკვიდრეს შეგძენს, რა მნიშვნელობა აქვს ემილი დიკინსონის მსგავსი ემოციური, მოაზროვნე და გონიერი პიროვნებისთვის. პოეტის ტრაგედია, რაღა თქმა უნდა, აისახა მის შემოქმედებაშიც. 1861 წელს ან შემდგომ შექმნილი ლექსები განსაკუთრებული ტრაგიზმით გამოირჩევა.

ამ თარიღიდან იწყება მისთვის შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდიც. მის პოეზიაში სჭარბობს სიტყვები: „გოლგოთა“, „დასაფლავების დღე“, „სიბნელე“. პოეტი სიტყვას „დიდ ტრაგედიას“ უწოდებს. ის ფიქრობს, რომ „სიკვდილსა და სიცოცხლეს, ამ უდიდეს გიგანტებს სძინავთ, ხოლო წვრილფეხა ამბეჭი კი, ბრმა შემთხვევების იმედად წარმართავენ ყველაფერს.“

ემილი დიკინსონი უძლიერესი ხასიათისა და უფაქიზესი გრძნობების პიროვნებაა. ვერ აიტანა ამდენი ჭრილობა მისმა გულმა; ხასიათმა კი მისცა შესაძლებლობა, თეთრი ხელთათმანი „გადაეგდო“ მთელი ქვეყნისთვის და დუელში გამოიწვია იგი; მაინც ველარავინ დაჭრიდა... ისეთ საფარველში გაეხვა, ისეთი ფარი აიფარა, რომლის გაკვეთაც სიცოცხლის ბოლომდე ვერავინ შეძლო.

1862 წლის შემდეგ პოეტი მამისეული კარ-მიდამოდან თითქმის აღარ გამოდიოდა. ის ხშირად ტკბილეულით სავსე კალათს ჩამოუშვებდა ხოლმე ბავშვებისათვის თავისი სახლის ფანჯრიდან ისე, რომ მხოლოდ ხელები მოუჩანდა. მის სახეს კი ვერავინ ხედავდა. მოსულ სტუმარსაც სხვა ოთხიდან ესაუბრებოდა. მუდამ თეთრი სამოსი ეცვა. „მოსცილდა“ ამ უხეშ რეალობას და თავად იცავდა საკუთარ სულიერ სამყაროს, ქვეყნად გამეფებული უხეშობისგან.

უცხოთვალისათვის იყო გარემოს გარიდებული, ჩაკეტილიადამიანი. ადგილობრივი მცხოვრებლები „ექსცენტრიულ ქალსაც“ კი უწოდებდნენ. სიცოცხლეში ბევრი უღირსი რამ უსაფუძვლოდ დასწამეს, მაგრამ მის გულში დაგუბებული ცეცხლი დღესაც ათბობს მკითხველს და შვენის ისტორიას. გასაჭირის დროს მისი პოეზია გვაგრძნობინებს, რომ არ ვართ მარტონი, რომ შეიძლება ტკივილს გაუძლო ისე, რომ მოთქმა არავის ესმოდეს; მიუხედავად მძიმე ნერვიული დაავადებისა, არ ეშინოდა სიკვდილის, რადგან სიცოცხლეშივე დაამარცხა ის. ამიტომ საუბრობს ასე თავისუფლად უკვდავებაზეც:

„რადგან მე სიკვდილს ვერ დავუცდიდი —
თვითონ მელოდა აუჩქარებლად.

ჩემთან შეჩერდა – ეტლში ჩავსხედით
მხოლოდ ჩვენ ორნი და უკვდავება.

ნელა წავედით — ის არ ჩქარობდა
და მექცეოდა ისე თავაზით,
რომ ყველა საქმე და უსაქმობა
მისი გულისთვის განზე გადავდე — “(დიკინსონი,
მთარგმნელი მ.კობაიძე, 2005: 37)

ემილი დიკინსონის შემოქმედება დღემდე გვავსებს იმ ენერგიით, რაც აუცილებელია მოაზროვნე ადამიანის სულისათვის; მაგრამ რა დაუტოვა ქვეყანას იმ კაცმა, რომელიც მის გვერდით მოთუსფუსე და ყოველდღიური ყოფით გართული, დაფასებული და მისაღები იყო საზოგადოებისათვის!?

„სიტყვა „აქტივობა“ საკმაოდ ორაზროვანია. თანამედროვეს გაგებით, სიტყვა „აქტივობა“ ჩვეულებრივ გულისხმობს ქმედებას, რომელიც გარკვეული ენერგიის დახარჯვის გზით იწვევს ცვლილებას არსებულ გარემოში. ამდენად, ადამიანი აქტიურად ითვლება, თუკი იგი დაკავებულია ბუნებით, ეუფლება მედიცინას, მუშაობს კონვეირზე, ამზადებს მაგიდებს ან მისდევს სპორტს. თითოეულ ამ აქტივობას საერთო აქვს ის, რომ ყველა ისინი მიმართულია გარეგანი მზაობისაკენ; მაგრამ, რატომძაც არავინ ითვალისწინებს აქტივობის მოტივს. მაგალითისთვის განვიხილოთ ადამიანი, რომელსაც საფრთხისა და სიმარტოვის ძლიერი განცდა აიძულებს შეუსვენებლივ იმუშაოს; ან, ადამიანი, რომელსაც ამოძრავებს პატივმოყვარეობა თუ ფულის სიყვარული. ყველა ამ შემთხვევაში, პიროვნება ვნების მონაა და მისი „აქტივობა“ სინამდვილეში „პასიურობაა,“ რადგან იგი იძულებულია ასე მოიქცეს, იგი მსხვერპლია და არა „აქტიორი.“ მეორეს მხრივ, ადამიანი, რომელიც მშვიდად ზის, ჭვრეტს, რომელსაც არავითარი სხვა მიზანი არ გააჩნია, გარდა საკუთარ თავში ჩაღრმავებისა და მისი სამყაროსთან ერთობის გაცნობიერებისა — „პასიურადაა“ მიჩნეული, რადგან იგი არაფერს „აკეთებს,“ სინამდვილეში

კონცენტრირებული მედიტაციის, ჭვრეტის ამგვარი მდგომარეობა, უმაღლესი დონის აქტივობაა. ეს არის სულის აქტივობა, რომელიც მხოლოდ შინაგანი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პირობებში მიიღწევა“ (ფრომი 1991: 273). ხშირად სწორედ ასე მოაზროვნე პიროვნებები სძენებ სამყაროს განსაკუთრებულ ხიბლს. მათი ფიქრები ამ სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობის რთულ პროცესს შერწყმია. მათი თითქოს შეუმჩნეველი ცხოვრების წესი, სულიერი ძალა, ამქვეყნიურ წვრილმანებზე ამაღლება, განსაკუთრებული წმინდა ენერგეტიკით გამოირჩევა და სასიცოცხლო მნიშვნელობის არის; მით უფრო, თუ ამგვარი პიროვნება ხელოვანია. ყველაზე საინტერესოა, რომ თვით ხელოვანთა შორისაც ძალაზე ცოტა მოიძებნება, ვინც უარი თქვა ან უარ იტყუოდა ამქვეყნიურ დიდებაზე, ასეთი გამორჩეული პიროვნება და პოეტი სწორედ ემილი დიკინსონი იყო, რომელმაც მოიპოვა მინაგანი თავისუფლება, გარემისთან „ურთიერთობა“ შეწყვიტა, განმარტოვდა, ჩაიცვა თეთრი სამოსი და თავადვე იცოდა, რომ ამაყად შეეძლო მიემართა მთელი სამყაროსთვის:

„ამ ბარათს შენ გწერ, სამყაროვ – თუმცა
ცნობილთა შორის არ გეგულები —
გაგიზიარებ, რაც კი ბუნებამ
გამანდო მწყაზარ დიდებულებით —

უხილავ ხელებს მიუვა ამბად —
მობარებული უბრალო სიტყვა
და მისი ტრფობა თუ განგიცდია —
შენ – ჩემებურო, გამიგებ, ალბათ.“ (დიკინსონი, მთარგმნელი დ.ინწკირველი, 2005: 25)

პოეტი ერთ—ერთ წერილში წერს: „თუ დიდება მიწერია, სულ ერთია, ვერსად გავექცევი, თუ არა — და, ნადირობაში გრძელ დღეს უქმად დავაღამებ და საკუთარი მაძებარიც კი ამითვალნუნებს. მიჯობს უსახელო დავრჩე “-ო(ინწკირველი 1981: 76).“

ემილი დიკინსონის პოეზიაზე როცა ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ მისი დამოკიდებულება ზეციური სამყაროს მიმართ. პოეტი მიჩნევს, რომ ღმერთთან არ უსაუბრია, მაგრამ „ნათლად ხედავს მის გზა — კვალს.“

„გვიანლა იყო კაცისთვის უკვე
და ლვთიცთვის მაინც კვლავ იყო ადრე,
როცა შექმნის დროს გაგვნირეს უცებ
და ჩვენთვის მხოლოდ ლოცვები დათმეს.“ (დიკინსონი,
მთარგმნელი გ.ნიშნიანიძე, 2005: 63)

მის პოეზიაში ხშირად არის მოხსენიებული ღმერთი. ის ხან „ცნობილი მღვდელია“, ხან „ძველი მეზობელი“ და ხან „ბანკირი“ (ალბათ მეუნჯეს გულისხმობს ამ შემთხვევაში ავტორი). გვხვდებიან წმინდანები, სერაფიმები ანგელოზები... უფლის ამგვარი, უჩვეულო ეპითეტებით მოხსენიება სრულიადაც არ გულისხმობს ავტორის ათეისტობას; ეს მხოლოდ პოეტური გაძედულებაა. ემილი დიკინსონის ცხოვრებაც და შემოქმედებაც მხოლოდ იმის დასტურია, რომ, აღიარებდა ზეციურ სამყაროს. თავად მორნმუნეთა ოჯახში გაიზარდა. პოეტის მამა მკაცრად იცავდა ყველა იმ ჩვეულებას, რაც პურიტანელთათვის იყო დამახასიათებელი. ემილი არ ეწინააღმდეგებოდა წინაპრების რწმენას და ცხოვრების წესს, თუმცა საეკლესიო დოგმების მიმართ პროტესტის გრძნობა ნამდვილად გააჩნდა. ის ხშირად საქმიანობდა ოჯახში. იყო მოწესრიგობული და შრომისმოყვარე ადამიანი. როგორც ჩანს, მისი ყოფა და სულში ანთებული ცეცხლი სრულიად განსხვავებულ „კალაპოტში“ მიედინებოდა; გარდა ამისა, არ ტრიალებდა იმ საზოგადოებაში, ვის გვერდითაც საინტერესო იქნებოდა მისთვის ამქვეყნიყრი ყოფა. პოეტის ნერვიულ დაავადებას ბიძგი, შესაძლოა, ამანაც მისცა, თუმცა მის ფსიქიკას მაინც ვერაფერი დააკლო. ემილი დიკინსონმა საკუთარი სამყარო შექმნა. ამას პოეტის სულიერი ტანჯვა და განმარტოება დასჭირდა. მოკრძალებულ ცხოვრების წესს და მიდრეკილებას „უჩინარი ყოფისენ“ მისი მორნმუნეობრივი მრნამსიც აძლიერებდა.

ეს თემა ორიგინალურად წარმოადგინა კიდეც შემოქმედებაში: მრავალსპექტრიანი ფანტაზიებით, მდიდარი აზროვნებით და ექსტაზით. „რადგან გარე სამყარო ხელიდან უსხლტება პოეტს, დიკინსონი უბრუნდება თავის ერთადერთ რეალობას — შინაგან სამყაროს; ციკლი იმ ლექსებისა, სადაც განხორციელებულია ადამიანური ემოციების ორი პოლუსი — ექსტაზი და სასოწარკვეთა, ბევრად მნიშვნელოვანი და მრავალმხრივია მის შემოქმედებაში, ვიდრე შედარებით განხონასწორებული ფრაზებით გადმოცემული სტრიქონები“ (დიკინსონი ენციკლოპედია „Кругосвет“). ექტაზი და სასოწარკვეთა განუყოფელია დაუსრულებელი მოლოდინის განცდისაგან, რასაც ემილი დიკინსონის პოეზიაში შემოაქვს სხვა თემა — იმედი ადამიანის უკვდავების შესახებ და საბოლოოდ, ამგვარი მედიტაციებით აღწევს შემოქმედებით მწვერვალებს:

„მიიცვალაო — ისეთზე მითხრეს —
მშვიდად შევიძლებთ სიკვდილს მე და შენ —
თუ გაიხსენებ — ვის უცხოვრია —
ვერ დაეჭვდები უკვდავებაში.“ (დიკინსონი, მთარგმნელი, დ.ინწკირველი, 1981: 31)

ემილი დიკინსონის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე საუბრის დროს გვერდს ვერ ავუვლით თეთრი და ნითელი ფერების კატეგორიას. თეთრ ფერს, მისთვის, ყოველთვის პოზიტიური მნიშვნელობა აქვს. წითელი კი ხან პოზიტიურ, ხან ნეგატიურ მოვლენებს უკავშირდება. პოეტი ფერთა ზუსტი ან გადატანითი მნიშვნელობით ახერხებს მისთვის სასურველი მხატვრული სახე შექმნას. ფსიქოლოგების განმარტებითაც თეთრი სისუფთავის, სულიერი სინმინდის, პრობლემათა მოგვარების, დასაწყისისა და ცხოვრებაში სიახლის განცდის აღმნიშვნელი ფერია.

პოეტისათვის „თეთრი ფრთხები“ აღმაფრენას გამოხატავს, „თოვლი თმაში“ — ჭაღარას, თეთრი სამოსი: „თეთრი ქუდი“ და „თეთრი კაბა“ ხელოვანთა ან რჩეულთა სიმბოლოდ აქვს მიჩნეული. გარდა ამისა, ეს მისთვის სიმშვიდის

და იმედის მანიშნებელია. ემილი დიკინსონის შემოქმედებაში ამ ფერს ფილოსოფიური დატვირთვაც აქვს — „გარდაცვლილი იმოსება თეთრ საბურველში.“ სიკვდილთან პოეტები ყოველთვის შავ ან მუქ ფერს უფრო ახსენებენ, აქ კი პირიქით არის, ალბათ იმიტომ, რომ ემილი დიკინსონისათვის სიკვდილი არასდროს იყო საშიში: „მე მეშინოდეს! ვისი? — სიკვდილის/? თვითონ ვინ არის?“ (დიკინსონი 2005: 99)

— კითხულობს ავტორი და ამავე ლექსში გვპასუხობს, რომ სიკვდილზე მეტად მამამისის კარის მსახურის ეშინოდა; ყველაზე მეტად კი — სიცოცხლის. ასე რომ, რადგან პოეტის წარმოდგენაში სიკვდილი სიცოცხლესთან შედარებით ზეციურ, უფრო ამაღლებულ მდგომარეობაში ყოფნას გულისხმობს, ამიტომაც ასოცირებულია ავტორისთვის ნათელ ფერთან.

წითელი ფერი პოეტისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია ვიდრე თეთრი, მაგრამ სხვა ფერებთან შედარებით, მაინც მეტი შინაარსობრივი დატვირთვა ენიჭება. წითელი ფერი, ლექსებში, ხან სიყვარულს აღნიშნავს, ხან ოჯახის კერას, ხან სახლს, ხან ჯოჯოხეთს და ხან ხანდარს... სასიცოცხლო ძალას, შემოდგომას... როგორც ჩანს წითელი ფერის მიმართ მერყევი, არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდა ავტორს.

„მე რომ მოვკვდები, გულწითელები
თუკი დაბრუნდნენ კიდევ,
დაუგდე ფინჩხა ჩემს სამახსოვროდ
მათგან ყველაზე წითელს.“ (დიკინსონი, მთარგმნელი გ.ნიშნიანიძე, 2005: 81)

ემილი დიკინსონის კუბო მისი ანდერძის თანახმად, ცენტრალურ გზაზე არ ჩაუტარებიათ. პატარა ბალის გავლით მიიტანეს სასაფლაომდე. განგებამ ტალანტი და სიმარტოვე არგუნა. პოეტმა უსაყვედუროდ მიიღო ის. „ტრაგედია დიდი პიროვნებების პრივილეგიააო.“ — ნერდა ჰეგელი.

დაიბადა ადვოკატის ოჯახში, ჰყავდა და-ძმა, სწავლობდა კოლეჯში და სემინარიაში. ახალგაზრდობაში ყოველთ-

ვის მოხდენილად ეცვა და თმაზე ან კაბაზე მუდამ ყვავილები ეკეთა. დატოვა 1800-ზე მეტი ლექსი. თარგმნილია სხვა-დასხვა ენაზე. იყო მომცრო ტანის და ჰელონის დიდი თვალები. ის მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა.

დამოწმებანი:

1. ვებსტერი 1995: ვებსტერის ლიტერატურის ლექსიკონი. სპრინგფილდი, ერთიამ, 1995.
2. ვაილდერი: ვაილდერი ტორნტონი: ემილი დიკინსონი [tp://www.lib.ru/poetiaq/dikinson/shit](http://www.lib.ru/poetiaq/dikinson/shit)
3. დიკინსონი 2005: დიკინსონი ემილი, რჩეული ლირიკა. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“ 2005. (დიკინსონი 2005 ა: 65), (დიკინსონი 2005 ბ: 37), (დიკინსონი 2005 გ: 25), (დიკინსონი 2005 დ: 63), (დიკინსონი 2005 ე: 99), (დიკინსონი 2005 ვ: 81).
4. დიკინსონი 1981: დიკინსონი ემილი, ლექსები. ბათუმი: გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1981. (დიკინსონი 1981 ა: 25), (დიკინსონი 1981 ბ: 31).
5. ინნკირველი 1981: ინნკირველი დ. ემილი დიკინსონი. ბათუმი: გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1981.
6. კობაიძე 2005: კობაიძე მ. ემილი დიკინსონი. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“, 2005.
7. ფრომი 1991: ფრომი ე. სიყვარულის ხელოვნება, ჟ. „ლიტერატურა და ხელოვნება“. ჟურნალიკ, 1991.
8. Энциклопедия > Кругосвет ~ 2006, <http://www.krugosvet.ru/articles/89/1008942>

„საქართველო ოამაზო...“

(გვირგვინოსნები ანა კალანდაძის შემოქმედებაში)

„ქარი გიმლერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძენნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?“....(კალანდაძე 1985: 11)

ვისაც ქართული პოეზია უყვარს, მათ შორის ყველას თავისი ანა კალანდაძე ჰყავს: ჩემთვის ის ძალიან სათუთა, მოკრძალებული და გულჩჩათხრობილი. პოეტის დახვეწილი სამწერლო ენა გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს, თუმცა, ამჟამად მხოლოდ ორიოდე სიტყვით შევჩერდებით ამ თემაზე: „ყველაფერს „მდაბიური“ ენით ვერ გადმოსცემ და არც ყველაფერი ითქმის „ამაღლებულით“ — ამას უჩვენოდაც ჩინებულად აწესრიგებს „ის“, რაც შთაგონებით გვწყალობსო — ამბობს თავად. პოეტი ლექსებში ძველ ქართულ სიტყვებს იმგვარ მნიშვნელობას ანიჭებს, რომ მისი პოეზია, განცდათა სიმძაფრის მიუხედავად არ კარგავს არც მთლიანობას და არც ჰარმონიულობას. ძველი ენობრივი ფორმების გაცოცხლებით ავტორი ამტკიცებს, რომ ენა შეიძლება ხელახლა გაამდიდროს შემოქმედმა. პოეტი უბრუნებს ზოგიერთ სიტყვას „ჩამორთმეულ ღირსებას“ და თავის ლექსებში ერთდროულად მუხტავს აზრითაც, მოულოდნელობის ეფექტითაც და იდუმალებითაც. „თავიდანვე კარგად იყო შენიშნული, რომ ანა კალანდაძის პოეზია ურბანისტული არ არის. მაგრამ ის არც სოფლის პოეზიაა, თავისი ფერადი მეტაფორებითა და მსუყე ენით. ანა კალანდაძის პოეტური ენა სენაკის სიცივეშია თითქოს დაბადებული და ამიტომაც ოდნავ მკაცრია და სიმარტოვეში გაზრდილი ყვავილივით ფართოდ (და არა ლალად) გაშლილი რტოები აქვს. ანა კალანდაძის პოეტური ენის აკვანი ქართული წიგნია, სადაც გიორგი მერჩულეს, უამთააღმწ-

ერლისა და გალაკტიონ ტაბიძის ლოგიკური ერთიანობით
შეკრული სამყაროა გადაშლილი“... (ჭილაძე 2005: 252)

XX საუკუნეში ანა კალანდაძემ მოიტანა გამორჩეული სათქმელი და შეუდგა უძნელეს და უმშვენიერეს „აღმართს“. თავად ამბობს: „გზათა დამღალეს მავალთა ცერადო“, გრძნობების გადასარჩენად „სციოლა და ქარში იდგა“, „გული დაიქანცა“, მაგრამ ფერადი გაზაფხულებიც ბევრი ნახა: „ფრთაგაშლილი მთები“ და „სხივგაშლილი სერები“, თუ დარღობდა ყვავილს შესჩიოდა „ცისფერთვალებიანს“. გაურბოდა სიცივეს და ბოროტებას, მუდამ დაეძებდა „უსახო მშვენიერებას“.

გამორჩეულად გვიხასიათებს ავტორის ბუნებას ის ლექსები, სადაც პოეტი უხმობს უხილავ სასწაულს, იმედს. მას სურს ისეთი რამ აღმოაჩინოს, რისი არსებობაც ხელშეუხებლად და თვალშეუვლებლადაც სწამს; ამგვარი რამის დაჯერება ხომ აუცილებელია დიად პრობლემებზე დაფიქრებული ადამიანისთვის. როცა მის სტრიქონებს კითხულობ კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ სიკეთე ბოროტებაზე ძლიერია, მარტო აღარ ხარ და ნაკლებად გეშინია ცხოვრებისეული სუსხის.

„უსახო ქმნილხარ მშვენიერებავ,
დიდება შენი ქართაგან შლილა...
აყვავდებოდი ადრე გაზაფხულს
ქვეყანას ზედა და ცათა შინა“... (კალანდაძე 1985: 232)

„ანა კალანდაძე თავისი ლექსით განასახიერებდა სულისმიერი სიმაღლისა და უანგარობის იდეალს. თავისი ცხოვრების წესით ის იყო და არის გაფრთხილება მათთვისაც, ვინც დღემდე ვერა და ვერ დასძლია მდაბალ, ბინიერ ცდუნებებს“. (ასათიანი გვ: 355)

სანამ ანა კალანსაძის შემოქმედების თემატურ მრავალფეროვნებას შევეხებოდეთ, ცალკე გვინდა მოვიხსენიოთ მისი პოეზიის განწყობილებითი ხასიათის ლექსებისათვის დამახასიათებელი თვისება, როცა პოეტი არ გვიმხელს თავისი დარღის ან სიხარულის მიზეზს და გულწრფელი

განცდით და ჩვეული სიმშვიდით გვაჯერებს, რომ საამისო საბაბი ნამდვილად არსებობს, ამიტომაც მკითხველი მისგან სრულიად აღარ ითხოვს ლირიული „ფაქტების“ დაკონკრეტებას.

სამშობლოს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პოეტის შემოქმედებაში. საქართველო მის სამფლობელოში ზღაპრული ფერებისა და ბუნების სამყაროა, სადაც ყოველ კუთხეს: გურია იქნება ეს თუ ქართლი, ხევსურეთი თუ თუშეთი... გამორჩეული მიმზიდველობა აქვს თავისი ისტორიისა და კოლორიტულობის გამო. ანასთვის ძვირფასია ქართული მიწის ყოველი მტკაველი, ციხე თუ ქალაქი, მცენარე, მდინარე... თავისი წარსულით და ანმყოთი, რაღათქმა უნდა, ადამიანებით. პატრიოტულ თემაზე შექმნილი ლექსები, ისევე როგორც მთელი მისი პოეზია, შორს არის პათეტიკური შეძახილებისაგან, პირდაპირი მოწოდებებისაგან. ავტორი სამშობლოს ხშირად განიხილავს ბუნებასთან ერთად და ამიტომ ანა კალანდაძის შემოქმედებისთვის დამახასიათებელია ორთემიანობაც. ანა კალანდაძის პატრიოტულ ლექსებშიც შეგვიძლია ცალკე გამოვყოთ საქართველოს ისტორიული წარსული, ეროვნულ გმირთა და მოწამეთა სახეები, საქართველოს კუთხეები...

მნელია სამშობლოს სიყვარულით გულგამთბარი წერდე ლექსს და ზოგჯერ ზომიერების გრძნობამ არ გიღალატოს. ანა კალანდაძეს ეადვილება ემოციური და იმავდროულად გადაუჭარბებელი ფრაზებით სტრიქონების ამეტყველება.

პოეტის მიერ დახატული მრავალფეროვანი სივრციდან გვინდა გამოვარჩიოთ ქართველ გვირგვინოსანთა სახეები. პოეტი თითოეულ მათგანს, მათ მიერ განეული ღვაწლისა და ეპოქის შესაბამისად გვიხასიათებს. ანა დიდი სიფრთხილით ეკიდება ყოველ ფრაზას. მას შესწევს უნარი მოგვხიბლოს იმით, რითაც თავადვეა აღფრთოვანებული.

შეუდარებელია თამარ მეფის სახე ლექსში „შორია თამარ“. აქ ძალზე ოსტატურად იცვლება ინტონაციები. დინამიურ თხრობას ენაცვლება რიტმული.

„მზის ღიმილი ალაჩინა ცამან,
ვარდს აღმოხდა ხმაი საოცარი
ფეხშიშველი მიდიოდა თამარ...
დედოფალო საით მიიჩქარი?
ძონისფერად ირიჟრაჟა ცამან
და პეპელას აღვიძებდა ქარი...“ (კალანდაძე 1985:
65)

ლექსში ფეხშიშველი დედოფალი წინ უძლვის ლაშქარს, რომელიც თურქთა წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადება. ასეთი თვითგვემით მხნეობას და ოწენას მატებდა თავის მებრძოლებს, შემდეგ კი გათენებამდე ლოცულობდა. პოეტ-ური ხილვებისა და ისტორიული ფაქტების გამომზეურებით ანა კალანდაძე თამარის ეპოქის საქართველოს ხატავს. მის ფერწერულ წარმოსახვებს არ აქვს საზღვარი. ლექსი ვრცელია. აქ ნაჩვენები დრო და სივრცე რუქ-ად-დინის წინააღმდეგ ქართველთა წარმატებული ბრძოლა, საქართველის ბუნება, მისი სურნელი, ბებერ მთაზე შემჯდარი არნივი, ნისლით დაფარული მთები, პეპელა... ლექსში ინტონაციათა ცვლილებები, ხან დინამიური და ხან რიტმული მუსიკა, იქვე მყოფი ადამიანის განცდით გვავსებს; გადავყავართ სხვა ეპოქაში.

მისი სარწმუნოებრივი მეფეური ღვანლისა და ძლიერების გამო თამარზე ხალხში უამრავი თქმულება გაჩნდა. ერთ-ერთ მათგანში, ტაძარში შესვლისას, როცა ლოცვას იწყებს თამარ მეფე ფილაქანზე კი არ დგას, ზეანეულია, ჰაერშია გაჩერებული, ამაღლებული. ეს ნიშნავს, რომ სიცოცხლეშივე, მეფეს ქართველი ხალხი როგორც წმინდანს, ისე შეპყურებდა... „შორია თამარ“ ვრცელი ლექსია. აქ ანა ხშირად ცვლის როგორც სალექსო საზომს, ასევე განწყობილებას, რათა არ დაირღვეს შინაარსის შესაფერისი სტრიქონთა მუხტი და ემოციური სიზუსტე. შეუმცდარია პოეტის ემოციური მინიშნებები: რადგან ქართველთა ლაშქარს გამარჯვება უნდა ხვდეს წილად, ამიტომ ავტორი ხატავს ნათელ დილას, სადაც მზე იქრება „ნაძვის სამეფოში“. დედოფლის გასავლელ გზაზე ნათელი და ხასხასა ფერები, სიცოცხ-

ლისუნარიანი და მოძრავი ბუნება გვიქმნის შესაფერის განწყობილებას: „რტოს არხევდა, ნამს იშრობდა ნაძვი“... პოეტს არ ავიწყდება, რომ მეფე ქალია და სწორედ ქალის მთავარ ღირსებას — სინაზეს უქებს თამარს. პოეტი ცოტა ხნით აჩერებს თანმიმდევრულ თხრობას და ცეცხლმოდებულ ყაყაჩოთა შორის მიმავალ მეფეს გვიხასიათებს:

„დედოფალსაც როგორ გაეცინა,

როს ჰეპელა აუფრინდა წინა

ჭრელი, პანანინა...“ (იქვე)

ცხადია, მამაკაცი რომ ყოფილიყო მეფე ან ჯარის წინამდლოლი, პეპლის გაფრენა არ გააცინებდა და არც ყაყაჩოების ხიბლი დასჭირდებოდა მის დასახასიათებლად ანას. ამგავარი ღირიზმი ადვილი მისაღწევი არ არის იმ შემართებით დაწერილ ლექსში, სადაც სამხედრო გამარჯვებისა და საბრძოლო მზაობის მუხტი იგრძნობა, მაგრამ ავტორი საოცარი „ოსტატი“ და ნამდვილი შემოქმედია, იცის ლირიკულ ფერთა სილამაზეს როგორ გვაზიაროს.

ანა კალანდაძის პოეზიას არ ახასიათებს შემთხვევითობები და უმიზნოდ მოხმობილი ფრაზები. მიუხედავად იმისა, რომ ლექსი ძალიან ვრცელია, აქაც კი ყველა სტრიქონს მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება. საგანგებოდ არის აღნერილი მეფის ლოცვა. ტაძარში მყოფი თამარი ბრძოლის წინ, გათენებამდე მამულს ავედრებს ღმერთს. ცნობილია, რომ თამარ მეფე ნებისმიერი მნიშვნელოვანი საქმის დაწყებამდე და გადაწყვეტამდე გულმურეალდ ლოცულობდა. პოეტმა მისი სახასიათო თვისება და ისტორიული ფაქტი არ დაივიწყა. თავად ანასთვისაც ყოველთვის სარწმუნო იყო, რომ უფლის ნების გარეშე ამაო იქნებოდა ნებისმიერი მცდელობა. მან იცის, რომ რწმენის გარეშე წარმოუდგენელია სიმტკიცე, სიყვარული და გამარჯვება.

ლექსში ნუქარდინის დამარცხების შემდეგ სტრიქონებს ძლიერი უღერადობა ემატება. მათი მოსმენის დროს მკითხველში ილვიძებს სიამაყის გრძნობა ჩვენი წარსულის გამო. ეს ადგილი ლექსში გამოირჩევა ენერგიული ინტონაციით, რიტმით, მას „ვაჟუაცური ხმის“ ელფერიც კი დაჰკრავს,

რაც (თუ ორიოდე ლექსს არ ჩავთვლით) უჩვეულოა ანას
პოეზიისთვის:

„შენ მოდიოდი ხატების ლენვად,
ჩვენს ალსაგველად პირისგან მიწის...
ქართველს ჯავშანი აკვანში ეცვა,
მან ხმლის ხმარება აკვანში იცის...
გეზლო, ნუქარდინ, ბოროტს და თამამს,
ქართველი ხალხი უნდოა მტერთან...
სუსტია თამარ, მძღავტია თამარ
და არცა ლირს ხარ მის ფეხთა მტვერთა“. (კალანდაძე
1985: 67)

ქართულ პოეზიაში ხშირად ისმის ნანინა, ვხედავთ
ქართველი დედის სახეს, მომავლის იმედს, ჩვილ ბავშვს,
მაგრამ ანა აქაც ორიგინალურია: „ქართველს ჯავშანი აკ-
ვანში ეცვა“ — ამბობს პოეტი. ეს თამამი, ვაჟკაცური და
ამავე დროს ლალად დაწერილი სიტყვებია; ურუანტელის
მომგვრელი, საკუთარი ჯიშისა და გენის შემახსენებელი.

სამაგიეროს მიზნვადა და დაუნდობელი ქმედება მიუღებე-
ლია ანასთვის, მაგრამ, როცა დალუპვა ემუქრება საქართ-
ველოს, საქმე სხვაგვარადაა: თურქთა დამარცხების მომ-
სწრე მეფეს „მზე აღმოხდება“ ბაგეთაგან.

ანა კალანდაძის შემოქმედებაში საქართველოს ის-
ტორიულ წარსულსა და თამარის სახელს ეძღვნება კიდევ
რამდენიმე ლექსი, ზოგი სიუჟეტიანია, როგორიცაა: „ქილე
თაფა — თავების გორა“. აქ თამარი შებმია ურჯულო თა-
თრებს და მათგან ამბის წამდებიც კი არ დაუტოვებია.
ლექსი სიუჟეტიანია და თხრობა ჩვეულებრივად მიჰყვება
შინაარსს, ხოლო ლექსებს: „კელაპტრის ალი ქარებს მი-
ჰყვება“ და „რეკენ ზრებს“, (რომელშიც პოეტი იხსენებს ბა-
სიანის ბრძოლას), უფრო ფრაგმენტული სახე აქვთ:

„რეკენ ზარები რეკენ,
სიზმარია თუ ცხადი?
ჩაესვენება ჩემს წინ
დიდი თამარის ხატი“. (გვ. 287)

აქვე გვინდა გავიხსენოთ ლექსი „მარიამ დედოფლის ფრესკასთან“. წარსულიდან გამოგვცერის ღვთისმოსავი დედოფლის „სიბრძნით ნაშუქითვალები“. ავტორი სულ რამდენიმე სტრიქონით გადმოგვცემს მარიამის სულისკვეთებას, გულისთქმას, რომელიც პოეტური წარმოსახვის შედეგად „უამთა სილრმეებიდან“ გვესაუბრება:

„უნდა შეკეთდეს სვეტიცხოველი,
ალდგეს ქართული წესი და რიგი,
უნდა ისმოდეს ქართული სიტყვა
გადაიწეროს ქართული წიგნი!“ (კალანდაძე 1985: 300)

ეს ანა კალანდაძის ოცნებებიცაა, მაგრამ ამ სურვილთა გასამხელად მაინც ღვანლმოსილ საქართველოს დედოფლს უხმობს, მის სასოებას ეყრდნობა. ამით ადასტურებს პატივისცემას დიდი წინაპრების მიმართ და წარსულის წმინდა ხატებიც ახლოს მოაქვს ჩვენს სინამდვილესთან.

ზოგიერთი მკვლევარი რატომღაც მიიჩნევს, რომ პოეზია ხშირ შემთხვევაში კონკრეტულის კი არა, უფრო აბსტრაქტული აზროვნების სფეროა; ამგვარი დამოკიდებულება გაიტაცებს ხოლმე რომელიმე ავტორს და უმიზნო, „უმისამართო“ ემოციების ტყვეობაში აქცევს. ანა კალანდაძე დიდი ლირიკოსია და იმავდროულად ეხება ისეთ რეალობას, რომლის საშუალებითაც ახერხებს ნებისმიერი კონკრეტული თემა ადამიანის ცოდნასა და სულიერებას ერთნაირად ამსახუროს. მეფეთა სახეებს ბევრი ლექსი ეძღვნება ქართულ ლიტერატურაში. პოეტი თავიდან გვახსენებს მათ და ეს ერარაერთხელ გაგონილი ამბის მოყირჭების შეგრძნებას კი არ ტოვებს, არამედ „პოეტურ აქსიომებად“ ცხადდება, რომელთა აუცილებლობას მტკიცება აღარ სჭირდება.

საქართველოს ჰყავდა ერთი დიდებული დედოფლალი, რომლის მსგავსიც, ალბათ, საერათოდ არ მოიძებნება მსოფლიო ისტორიაში. მისი ღვანლი და სამშობლოსათვის ჩადენილი გმირობა შეუფასებელი სასწაულია. სწორედ მას ეძღვნება ლექსი — „ქეთევან დედოფალი“:

„რვალის ქვაბი გადმოეგდო ქონდაქარსა,
ლილინებდა კაცთა გრძნობის ქონდაქარი ...
ლურჯი ბაგით თქმული ლოცვა გაჰყვა ქარსა
ქროდა ქარი ...
ცეცხლით სწვავდნენ
ტანთშეძარცულ დედოფალსა
უდრევ იყო დედოფალი!“ (კალანდაძე 1985: 79)

პოეტი გვიხატავს წმინდანის პორტრეტს გაშლილ თმით,
გულზე დადებული თეთრი ხელით. იგი სიკვდილის წინ უკა-
ნასკნელად ლოცულობს. ანა კალანდაძე რამდენიმე მინიშ-
ნებით აღნერს მის მშვენიერებას. წარმოუდგენელ სიმტ-
კიცესა და ნებისყოფას მოითხოვდა დედოფლისაგან სამ-
შობლო. მის საქციელს შეჰყურებდა მთელი საქართველო
— „უდრევ იყო დედოფალი“. რწმენისა და მამულისთვის
ქეთევან დედოფალი ცეცხლში დაწვეს. მისი უკან დახევა
ქართველი ხალხის გულის გატეხას ნიშნავდა. ამიტომ ამ-
ბობს ავტორი:

„ცხელი შანთი მიუტანეს ბროილს მკერდთან,
ცხელი რკინა,
საქართველოს გულს, რომ კვეთდა“
და ვერ გაკვეთა...“

ეს ის შემთხვევაა, როცა ადამიანის უძლიერესი ენერ-
გია, მისი ლირსება, დიდებულება, ზნეობა და მშვენიერება
იმდენად „მაღალი“ და თვალისმომჭრელია, რომ ყველაზე
მძლავრი ძალადობა და ძალმომრეობა უძლურია მის წი-
ნაშე; უკან ვერაფერი დაახევინებს. ჩვენ მცირერიცხოვანი
ერი ვართ, თორემ ასეთი დედოფალი ფრანგებს, გერმანე-
ლებს, ან ინგლისელებს რომ ჰყოლოდათ, მისი სახელი მთელ
მსოფლიოში გამორჩეულად სახსენებელი იქნებოდა ბევრი
მკვლევარისთვის თუ მწერლისათვის.

ფეხტის დროსაც და ბრძოლის ველზეც თანაბარ შერკი-
ნებაში ჩადენილი გმირობა სულ სხვაა, ხოლო როცა წინას-
წარ იცი, რა გელის, გამიზნულად და შეგნებით იტვირთებ
წამების გვირგვინს, ამის გაძლებას მარტო რწმენა და ფიზი-
კური მხნეობა კი არა, დაუძლეველი ფსიქიკაც სჭირდება.

ქეთევანმა სძლია და გაანადგურა თავისი ჯალათები...

ანა კალანდაძემ ლექსის ფორმით, თხრობის სტილით თითქოს ქეთევან დედოფლის შესაფერისი სიმშვიდე და სიბრძნე ჩააქსოვა სტრიქონებში. აქ უფრო აღტაცებას კი არა, ამ ღირსებაშეფერებული ქართველი პოეტის სულისკვეთებას ვხედავთ, რომელიც დინჯი ფრაზებით გვესაუბრება. ეს იმას ნიშნავს, რომ ანა კალანდაძეს არ უკვირს არსებული ფაქტი, ის ფიქრობს, რომ ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო და ამაში საოცარი არაფერია.

ქეთევან დედოფალსვე ეძღვნება ლექსი „მას ალავერდის დიდებულ ტაძარს“, ოღონდ ახლა მას ვხედავთ უკვე წმინდანს, ამაღლებულს — კალთა სავსე აქვს თეთრი ვარდებით და ციდან მიწისკენ მოემართება.

სულ სხვაგვარია ლექსები, როცა პოეტის სულში ზეიმია. ქარი კი არ უბერავს, მზე იხედება მზის ქალაქში, მართალია, ამ ბრძოლაში მეფე მარცხდება, მაგრამ ის არ არის შენირული. მის სიცოცხლეში ხმალი ხელიდან ვერ გააგდებინეს, სანამ თვითონ არ გადადო გვერდზე.

„მზემ აინია ფეხის წვერებზე,
მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა,
იდგა თბილისი, როგორც ერეკლე,
ხმალშემართული ნარის ციხესთან...“ (კალანდაძე 1985: 20).

ლექსი ერთდროულად ეძღვნება ერეკლე მეფეს, სამშობლოს, თბილისს, საერთოდ ქართველი ხალხის ამოუნურავენერგას და ბრძოლას საქართველოსთვის. წარმოუდგენელია ჩვენს ისტორიას მიუბრუნდეთ და არ შეგვახსენოს თავი ერეკლე II-მ. ის სიცოცხლეშივე ქართველებისთვის ლეგენდად ქცეულა. მის სახელთან არის დაკავშირებული არაერთი ხალხური ლექსი. მებრძოლთა შორის უძლიერესი და მეფეთა შორის ყველაზე ახლობელი ხალხისათვის; ბოლოს კი, განწირული საკუთარი სისხლ-ხორცისაგან. აი, მისი პორტრეტის ზოგიერთი შტრიხი. ანას უყვარს ერეკლე მეფე და მას არაერთი ლექსი უძღვნა: „მტერზე მივიდეთ“,

„უცხო ჩვენება თოვლიან მთების“, „ძველი სახლის კიბეებზე“, „ასპინძას მიდის მეფე ერეკლე“, „აქ სულ ახლოა“, „მესმის შორეულ ცხენთა ჭიხვინი“. ამ ლექსებში ქართველთა მხედრობა ყოველთვის გამარჯვებულია. ანა კალანდაძე ხან კრწანისის ბრძოლის ველზე აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ დარაზმულ მეფის ლაშქარს იხსენებს, ხან მის მიერ საუცხოოდ აღწერილ ასპინძის ბრძოლის სურათებს, სადაც ერეკლე მეფე თათრების წინააღმდეგ იბრძოდა. ისტორიულ თემებს ავტორი საქართველოს გეოგრაფიული სახელებით ამდიდრებს. ლექსებში გვხვდება: საათაბაგო, აწყური, ხერთვისი.... იქ, სადაც ქართველ მეომრებს გამარჯვება ელით, მათ გასავლელ გზას სინათლე და ლალი განწყობილება ერთვის თან. „მზე კელაპტარობს იმათ მახვილზე“... ანასთვის ასე საყვარელი მზე, რომელიც თითქოს კულტად ქცეულა მის პოეზიაში, რადგან ის არა მარტო სინათლის და სითბოს, არამედ გამარჯვების, ამაღლებისა და ბედნიერების სიმბოლოც არის.

ანა კალანდაძის პოეზიისთვის ნაკლებად დამახასიათებელია — თხრობას და ამბავს შინაარსობლივად და მიზანმიმართულად გაჰყვეს. ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის გაუდერებით და ემოციური აღმაფრენით ციცინათელასავით გააბრწყინებს ხოლმე მხატვრულ სახეებს, რითაც ქმნის „მონუმენტურ პიროვნებათა“ პორტრეტებს.

„ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში
და მიაშურეს ლილისფერ მთათა...
ასეთი დარი თუ იყო მაშინ,
ოდეს თბილისის აიკლეს სპარსთა?“ (იქვე)

„... მიუხედავად ლექსისა მგვარიფინალისა, მთლიანი განწყობილება და მხატვრული დინამიკა იმაზე მიუთითებს, რომ დამარცხების შემთხვევაშიც თავდახსნისა და მომავლის ზეიმის შინაგანი რწმენა უფლებას იძლევა მტერს მორალურად ზევიდან უყურო და შინაგანად გამარჯვებული ადამიანის სულისკვეთებით იცხოვრო“ (კანკავა 1968: 106).

შემთხვევითი არ არის, რომ ანა კალანდაძის პოეზიის

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ისტორიული თემა. მან იცის, რომ წარსულის გარეშე არ არსებობს დღევანდელი დღე, ერის მომავალი, ამიტომ ერის საფიქრალისაგან გამო-ცალკევებული პოეზია უცხოა მისთვის. დიდი ილია ამბობ-და: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას დაიგინწყებს რა არის ისტორია? იგია მთხოვნელი მისი, თუ რანი ვიყავით რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კიდევაც...“

უკეთესნი და უდიდესნი მოქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან რა, თუ არა ერის გულისნადებისა და წყურვილის გამომეტყველნი“ - ა. ასეთი ლირსეული შვილი ბევრი ჰყო-ლია საქართველოს, მაგრამ სულ სხვაა დავითი. მას ხალხმა თავისი ღვანწლისა და დამსახურების გამო აღმაშენებელი უწოდა. მეფემ გააერთიანა და გასწია საქართველოს საზ-ლვრები „ნიკოფილიდან დარუბანდამდე“ და ვიცით, რა გა-ძლიერებული სამშობლო დატოვა. ამ უბადლო მეომრსა და მხედარობთავრს, ღვთისნიერ მეფეს არაერთი ლექსი უძ-ღვნა ანა კალანდაძემ. ესენია: „აღმაშენებელს, მეფეს და სარდალს“, „ამხედრებულა თვის ბედაურზე“, „ბრძოლით ბრუნდება ლაშქარი“ და „ფეხი დამადგით“ ... დასახელებულ პირველ სამ ლექსში, ავტორი გვიხატავს მეომარ რაინდს, ხან გელათის საყდარზე გამოსახულს, ხან თავის ბედაურზე ამხედრებულს, რომელსაც „ჯაჭვი აცვია, უპყრია ხმალი“ და საბრძოლველად შემართული მიიჩქარის კახეთისაკენ ქართული სოფლების დასახსნელად. დავით მეფის მხე-დართმთავრული ნიჭისა და გონიერების გამო „ყველამ წერ-ილი წაიღო, ვინც ჩვენთან ბრძოლით მოვიდა!“

ლექსი „ფეხი დამადგით“, ნამდვილად გამორჩეულია და შევჩერდეთ მასზე:

„ფეხი დამადგით,
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,
წყალობა ჰყავით,
საქართველოის ყოვლის მპყრობელმან
ვისურვე დავით...“ (კალანდაძე 1985: 146)

ასე ისურვა, ასე დაიბარა დავით აღმაშენებელმა. მას დიდი გავლენა ჰქონდა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე და არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება იზიდა ადრეული სიჭაბუკიდან. დავითი უძლიერესი იყო მეფეთა შორის; მაგრამ თავისი ბუნებით მხოლოდ მებრძოლი და ქვეყნის მბრძანებელი არ ყოფილა... იყო მნიშვნელოვანი ძეგლის „გალობანი სინანულისანის“ ავტორიც, გულმონ्यალე და ლმობიერი კაცი, ღვთისნიერი, ქრისტიანი, ანგარიშს უნდა სხვა ეროვნებათა სარწმუნოებასაც, ამიტომ შედიოდა სომხურ ეკლესიებშიც, მეჩეთშიც, დავრდომილთა და უპატრონოთავის აშენებდა სამკურნალო სახლებს. მეფის გონიერებასთან ერთად, მისი დიდბუნებოვნება დაგვიხატა პოეტმა.

მეფე ითხოვს ფეხით გაცვითოს შთამომავლობამ მისი საფლავის ლოდი. „როდესაც ჩემი აღსასრულის უამი დადგეს... სხუამან მიიღოს სკიპტრაი, სხუასა შეუდგნენ სპანი, მაშინ შემინყალე მსაჯულო ჩემო!... მართალნი ნეტარებდნენ, ცოდვილთა ჰეგუემდეს ცეცხლი, - მაშინ შემინყალე, იესო ჩემო!“ — წერს დავითი. ასეთი ზნეობრივი სმალლე თითქოს მიუწვდომელია ჩვეულებრივი მოკვდავისთვის. ამიტომ განცვიფრებული პოეტი ეკითხება მეფეს:

„—ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო, მიუტევები?“-ო. მისი თავმდაბლობით მოხიბლული ავტორი თვითონვე გვაძლვს პასუხს თავის შეკითხვაზე:

„თუ, ეს მაღალთა თავმდაბლობაა
ოდით და ოდით?

თუ ცოდვლი ხარ, მაშინ, მეფეო,
რაღა ქნან ცოდვილთ?“... (იქვე)

ლექსს მონოლოგის სახე აქვს, ამით ავტორს ახლოს მივყვართ სასურველ გმირთან, მის სულიერ სამყაროსთან, არსებულ მოვლენებთან და თითქოს აცოცხლებს იმ დროს, რომელიც ისტორიის ხავსიან სივრცეებს მიუსაკუთრებია.

პოეტი გაურბის მაღალფარდოვან სიტყვათა სიჭარბეს და მეფეთა დიადების გამოსახატავად ძველი ქართული მეტყველების ფორმებს იყენებს; არა იმიტომ რომ თანამედროვე ქართული ენა უძლურია, არამედ, აღბათ იმიტომ,

რომ წარსული ყოველთვის უწყობს ხელს რაიმეს გაიდეალებას.

ანა კალანდაძის პოეზიაში უნდა გამოვარჩიოთ კიდევ ერთი „გვირგვინოსანი“. ეს გახლავთ საქართველოს ბუნების შვილი, ანას „რჩეული“ არჯაკელი ხვიარა. მასთან გასაუბრება იქნებ იმის ნიშანიცაა, რომ პოეტი გულში ისეთ სევდას ატარებს, რომლის გამხელაც უცხოსთვის წარმოუდგენელია; იქნებ ანას ლირიული ორეული მოწყურებულია თავის ენაზე მოსაუბრე ადამიანს და ახლა მასთან დამლაპარაკებელი, მისი გულის ნადების გამგონი სხვა არავინაა, თუ არა ეს პატარა მთის ყვავილი. პოეტისთვის ხომ აუცილებელია ზეგრძნობადი ბუნების მეგობარი, მისთვის არ არის საკმარისი ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ავ-კარგი. ის გაქცევია ადამიანს და მიბრუნებია ბუნებას — თავად შემოქმედს, რომელიც პასუხს თუ ვერ დაუბრუნებს, არც განსჯის და არც გაუგებრობის სუსხით შეაციებს, დაატკბობს კიდეც მშვენიერების ხილვით.

„ — თქვი არჯაკელო ხვიარა,
ქსანზე ვინ ჩამოიარა?
— რა ვი, ღრუბლებზე ვფიქრობდი
და არა გამიგია რა...“ (კალანდაძე 1985: 102)

ჩვენი ისტორიული წარსულის დიადი დღეები და გამარჯვებები განსაკუთრებით ძვირფასია პოეტისთვის, ამოტომაც ხშირად ახსენებს მკითხველს ქართველთა გმირობისა და გამარჯვებების ამბებს. ანას პოეზიას არ ახასიათებს დიდაქტიკური მოწყდებები, ის არასდროს ახვევს მკითხველს თავის აზრს, არ მსჯელობს გადაჭრით და მიზანდასახულად რაიმე საგანზე, მაგრამ თავისი დამოკიდებულებით მაინც ახერხებს საქართველოს ბეჭ-ილბალზე ჩააფიქროს მკითხველი, რითაც უდიდეს მისიას ასრულებს ერის წინაშე. პოეტი გვარწმუნებს, რომ სამშობლოს გულისთვის გაჭირვების ატანა და მსხვერპლის გაღება ადამიანის უდიდესი ღირსებაა. ის ცდილობს თავის პოეზიაში ვარსკვლავებივით გააბრწყინოს ჩვენი წარსულის მნიშვნელოვანი

წარმატებები და სულის მოსათქმელად ჩვენც იქ გვეპატი-
ჟება, რათა უფრო იმედიანად შევხედოთ მომავალს. პოეტს
ეამაყება, რომ, ერთ დროს, საქართველო იყო ძლიერი და
„კურაპალატის ლაშქარს ელოდა ცეცხლმოდებული ბიზან-
ტიონი“.

დამოწმებანი:

კალანდაძე 1985: კალანდაძე ანა, ლექსები. გამომცემლო-
ბა „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1985.(კალანდაძე 1985: ა: 11, ბ:
232, გ: 65, დ: 67, ე: 287, ვ: 300, ზ: 79, თ: 20 ი: 146, კ: 102).

ასათიანი: ასათიანი გ. თხტომეული, ტ3, გამომცემლობა
„ნეოსტუდია“.

კანკავა 1968: კანკავა გ. უურნალი „ცისკარი“ 7, 1968.

ჭილაძე 2005: ჭილაძე თამაზ, „პირველად იყო სიტყვა“,
რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, ტ. 1, გამომცემლობა „საქართ-
ველოს მაცნე“, 2005.

„არაპეთის სურნელოვანი ბალახები“

დრამატურგიის პრობლემათაგან დღემდე აქტუალურია გარემო პირობების გამო, ტრაგიკულ სინამდვილეში აღმოჩენილი ადამიანის ყოფა, ბრძოლა მისთვის მნიშვნელოვანი ფასეულობების შესანარჩუნებლად და სულიერი სიმარტოვის დაძლევის მცდელობა.

პიესაში: „არაპეთის სურნელოვანი ბალახები“, სწორედ ამ მოვლენებზე გვესაუბრება ავტორი და გვახსენებს, რომ ცხოვრებანართმეული ადამიანისთვის სიკვდილი ნაკლებად საზიანოა, ვიდრე უაზრო არსებობა.

2007 წელს, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის თეატრმა(თეატრი „ვერიკო“) წარმოადგინა თამაზ ჭილაძის პიესა „არაპეთის სურნელოვანი ბალახები“. პრემიერა შესანიშნავი იყო. სპექტაკლი დადგა და მთავარი როლი თავადვე ითამაშა სოფიკო ჭიაურელმა. ეს მისი ბოლო როლი გახლავთ. პიესის ავტორზე სიტყვას არ გავაგრძელებ, რადგან მის გამორჩეულ შემოქმედებას უკვე კარგა ხანია იცნობს ნამდვილი მკითხველი. წინასწარ უნდა მოგახსენოთ, რომ სპექტაკლის განსჯა-განხილვას სულ არ ვაჰირებ. უბრალოდ მინდა მოვიგონო, რომ ეს იყო ქალბატონის სოფიკოს კიდევ ერთი დიდი წარმატება და ამ რთული და საინტერესო პიესის გმირის გაცოცხლების, უფრო სწორედ კი, მაყურებლის გაოცების წარმატებული ცდა.

პატარა სცენაზე წარმოდგენილი იყო სახლ-მუზეუმის მსგავსი ოთახი. მოგეხსენებათ ამ თეატრის დარბაზი მომცროა. მაყურებელსა და მსახიობებს შორის სივრცეს ქმნიდა გამჭვირვალე ფარდა, რომლის მიღმაც თამაშობდნენ მსახიობები; სოფიკო ჭიაურელმა ახსნა, თუ რა იდეური დატვირთვა მოიაზრებოდა ამ ჩანაფიქრში, მაგრამ უამისოდაც, შემსრულებლებსა და დამსწრეთა შორის ამგვარად შექმნილი დისტანცია თავისებურ ხიბლს მატებდა სპექტაკლს.

წელან მე თამაში ვახსენე... სასიამოვნოა, როცა კარ-

გად შესრულებულ როლს გვთავაზობს პროფესიონალი და წარმოდგენის შემდეგ ისმის მაყურებელთა შეფასებები: „რა კარგად ითამაშა“; „ეს როლი თითქოს მისთვისაა დაწერილი“; „აი დღეს უკეთ გამოუვიდა“ და ასე შემდეგ, მაგრამ ანასტასიას როლის შემსრულებელი მსახიობის ტალანტს მე თამაშს ვერ დავარქემვ. ეს იყო სინამდვილე. ერთი წუთით არ მქონია იმის განცდა, რომ ვუყურებდი დადგმულ, მაყურებლისთვის საგანგებოდ მომზადებულ მასალას. მეგონა ვიჯექი იმავე ოთახში და ვისმერდი ანასტასიასა და მისი რძლის პაექრობას. ყველაფერი იქვე ხდებოდა, ბუნებრივად, ჩვენს თვალწინ და არა სცენაზე. ვხედავდი ორ მარტოსულ ადამიანს და თითქოს მათთან ვიყავი მისული სტუმრად. ანასტასიად ქცეული ქალბატონი სოფიკო ჰყვებოდა თავის წარსულზე, უხმობდა რძალს — მარიამს, მათი ყოფა ციხის საკანში იძულებით შეყრილ ადამიანებს უფრო ჰყავდა, ვიდრე ოჯახის სურათს. ქალებს არ უყვარდათ ერთმანეთი; თუმცა, მოკვდავთა დაუწერელი კანონის თანახმად, მაინც ერთად ყოფნა ერჩიათ. დიახ, მიუხედავად ურთიერთდაუნდობელი საუბრებისა, მათ მაინც თავად გადაეწყვიტათ ერთად ცხოვრება, რადგან სიმარტოვე ისეთი ურჩხულია, რომელიც ხშირ შემთხვევაში, თავად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, „საკუთარი“ ნებით მოგათავსებს იქ, საიდანაც თითქოს ძალიან ადვილია თავის დაღწევა. ცხოვრებაში კი, ამგვარი ვითარებიდან წასვლის „ვაჟუაცობა“ ძალიან ცოტას აქვს... სწორედ ამ დაუნდობელ სიმართლეზე მოგვითხრობს ავტორი. მწერლის თითოეული აზრი და ჩანაფიქრი(თუკი ამის ამოცნობის პრეტენზია შეიძლება გვქონდეს) წარმოუდგენელი სიზუსტით სრულდებოდა. სოფიკო ჭიაურელმა მოახერხა და გულსა და სხეულში ჩაისახლა ანასტასიას ცხოვრება, ყოფა. მისი გმირი იყო ძალიან მართალი და ახლობელი, სინამდვილის წინაშე თვალახელილი და გმირულად ტრაგიკული, ნაშრომი, ნაბრძოლი და წაოცნებარი.

სცენაზე იდგა, უფრო სწორედ, ჩვენს გვერდით იმყოფებოდა ორი უბედური ქალი. მათ ჯერ კიდევ უნდოდათ, ბრძოლა გამოეცხადებინათ ცხოვრებისათვის, მაგრამ

ეს აღარ გამოვიდოდა: გარს მყოფი, ჩამობნელებული და გაუბედურებული სამყარო მათ არ მისცემდა საშუალებას მომავალზე ეფიქრათ, არა იმიტომ, რომ ისინი ასაკოვანი ადამიანები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ არაადამიანური იყო მათი ყოფა და საცხოვრებელი გარემო: ქუჩაში ტყვიერის ზუზუნი, უწყლობა და უსინათლობა, გარეთ არა თუ გასვლის, არამედ გახედვის შემთხვევაში ადამიანს, და, განსაკუთრებით — ქალს, ცხოვრების უფლებას უტოვებდეს. მათი ხელით მოსახლესრიგებელი და მათვის საინტერესო აღარაფერი დარჩენილიყო, ამიტომ ებრძოდნენ ისინი ერთმანეთს. სწორედ ეს ურთიერთპაექრობა მიუთითებს იმაზე, რომ ქალებს ჯერ კიდევ შერჩენოდათ ენერგია, რომელიც უაზროდ იხარჯებოდა და ეს, ასეთი ყოფის მიერ თავსმოხვეული ტრაგედია უფრო იყო, ვიდრე ასაკობრივი უბედურება. ადამიანს თუ მისცემ უფლებას, და თუ ის ნამდვილად ადამიანია, ამ სიტყვის სრული გაგებით, წესით ბოლომდე, თუნდაც თავისი ოცნებით და წარმოსახვით, ცოცხალი უნდა დარჩეს, სწორედ ამის დასტურია ავტორის შეუდარებლად ლამაზი სიტყვები, რომლებიც ზოგ მსმენელს ირონიისა და მხიარულების საბაძსაც მისცემდა, რომ არ ყოფილიყო მსახიობის შთამბქდავი და ზუსტი ემოცია ამ ფრაზის წარმოთქმის დროს: „ჯულიეტას როლი ასი წლის ქალისთვის არის დაწერილი, ჯულიეტას ასაკი არა აქვს“. ამით მნერალი ეფერება უველა ქალს და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ადამიანს(თუ ის სულიერად არ მოკლეს), ცხოვრების ბოლომდე უფრთხიალებს გულში ოცნების ყველაზე ლამაზი ნარჩენი, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სურს იყოს ჯულიეტა. ამ სახელს ახლა სიმბოლური და ზოგადი დატვირთვა დავაკისრეთ, მაგრამ ალბათ გვაპატიებს ავტორი.

ჩვენ თვალწინ ორი ქალბატონია; მათგან ერთმა — ანასტასიამ მოახერხა ეცხოვრა საკუთარი ცხოვრებით, მეორემ — მარიამმა კი ვერა(უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მან მოახერხა ეარსება ან ეცხოვრა სხვისი ცხოვრებით). სწორედ ამიტომ, ანასტასია თრგუნავს მარიამს, მიუხედავად იმისა, რომ მისივე მოსავლელია; ამის გამოა ის

უფრო მედიდურიც, ამაყიც და გაბედული აზრების მქონეც და არა იმიტომ, რომ მარიამზე 20 წლით უფროსი ან მისი დედამთილია. ანასტასია, რაც მარიამს სისულელედ შეიძლება მოეჩვენოს, იმასაც თავშეუკავებლად და უპრობლემოდ ამბობს. ის ტრაგიკული პიროვნებაა, სამაგიეროდ — თავისუფალი და ლალი. ასეთი ადამიანი კი ყველანაირ შემთხვევაში ნაკლებად საცოდავია, რადგან შეუძლია სიკვდილს შეეგუოს, მაგრამ მისთვის უცხო იქნება დალუპვა და გადაგვარება. ამგვარი ადამიანისათვის სიკვდილი ნაკლებად საზიანოა, ვიდრე უაზრო არსებობა; სწორედ ამიტომ თამაშობს ანასტასია სასცენო როლებიდან ნაწყვეტებს, იკეტება თავის სამყაროში და ცდილობს თავი გადაირჩინოს. ყოფილი მსახიობი ქალი, როცა როლს არ იმეორებს მაინც აგრძელებს თავისთვის თამაშს. ამ ფორმით ის რძალე ესაუბრება, თუმცა მშვენივრად იცის, რომ მარიამის მსგავს ადამიანებს სანახევროდაც არ ესმით მისი ცხოვრებისული „ფილოსოფიის“. თქვენ უნდა ნახოთ რა ეშით ამბობდა ქალბატონი სოფიკო ავტორისეულ, ერთი შეხედვით ტრაგიკომიკულ სიტყვებს: „დღევანდელი ადამიანი ჩემო მარიამ, ტრაგედიისათვის არ არის გაჩენილი. სანამ დღევანდელი ოიდიპოსი თავისი ხელით თვალებს დაითხრიდეს, ანუ სანამ ტრაგედიის ფინალამდე ჩავიდოდეს, ინფარქტით მოკვდება...“

მარიამის როლს ასრულებდა ნინო ბურდული. „შენ ბებერი დაიბადე, სულ ბებერი იყავი“ — აი სიტყვები, რომლებიც (მხოლოდ საკუთარ აზრს ვგულისხმობთ) ყველაზე კარგად ახასიათებდა ამ გმირს. ის მობუზული, დათრგუნული, ვითომ ადამიანთა მიერ დაკანონებული ჩარჩოების მოყვარული ქალია. სინამდვილეში კი, სწორედ მან გაბედა და საკუთარი ხელით დაახრჩო ქმარი, რადგან ჩათვალა, რომ ტანჯვისაგან იხსნიდა. მიუხედავად ამისა, როგორც ამგვარ ადამიანებს სჩვევიათ ხოლმე, მარიამი ხშირად ახსენებდა ანასტასიას, რომ რამდენიმე ქმარი ჰყავდა და თანაც უყურადღებო იყო მათ მიმართ. იმასაც კი ახსენებდა, რომ მისმა ერთ-ერთმა ქმარმა თავი ჩამოიხრჩო. ნინო ბურდულის გმირი ანასტასიას ანტიპოდია. ამიტომაც მსახიობის

გამოხედვა, რომ მარიამი ნაცნობიც კი, სრულიად სხვაგვარი იყო. ნინო ბურდული თავისი გმირის სახასიათო თვისებების გამოსამზეურებლად საინტერესო ინტონაციებსა და უესტიკულაციას გვთავაზობს; ის შესანიშნავი პარტნიორია. სახიობი ისე ძერწავს პერსონაჟის სახეს, რომ მარიამი ნაცნობიც კი გვიჩვის.

მე უკვე მოგახსენეთ, რომ პიესა საკმაოდ რთულია. ნაირგვარი ემოციები ერთმანეთში ისეა გადაწეული, რომ ერთსა და იმავე აბზაცში შეიძლება ერთდროულად შეგვხვდეს ტრაგედია, ირონია, ბრალდება, კომიზმის ნიშნებიც კი. ამ ყოველივეს ფონზე ავტორი იქვე, საოცარი ოსტატობით ხსნის ცხოვრებისეული სიბრძნის ზოგიერთ დეტალს და ეს ხდება ყოველგვარი დიდაქტიკისა და ჭკუის დარიგების, მე ვიტყოდი ანტიდიდაქტიკური საშუალებებითაც კი. მაგალითისათვის მოვიყვან ამ პიესიდან ერთ აბზაცს, სადაც ანასტასია თავისი ქმრის თვითმკვლელობის ამბავს იხსენებს: „ყველას აქვს უფლება თავის სიცოცხლეს ისე მოექცეს, როგორც თვითონ მიაჩნია საჭიროდ. მე გამიკვირდა კიდეც, ეს უფლებარომ გამოიყენა. უფრო მეტს გეტყვი — მეცოდებოდა, ცოცხალი რომ იყო! როგორ შეიძლება ადამიანმა იცოცხლოს, თუკი ცხოვრებისა ეშინია, თუკი ცხოვრებადა შიში მისთვის ერთი და იგივეა? მაგრამ მაინც მოასწრო ეცხოვრა, თუნდაც რამოდენიმე წუთით, სანამ ყულფს ნასკვავდა. მაშინ აღარ ეშინოდა. ამდენად, ბედნიერი მოკვდა...“ სოფიკო ჭიაურელი შეუდარებელი იყო, როცა ამ სიტყვებს ამბობდა. ავტორის ტექსტის მიმართ მსახიობის თანაგანცდა შლიდა ზღვარს პერსონაჟსა და მსახიობს შორის.

მწერალი ასეთივე მეთოდით გვესაუბრება ერთ მნიშვნელოვან მოვლენაზეც, რომელიც ხშირად, ბოლომდე თუ არა, სანახევროდ მაინც გვანადგურებს. ეს არის ადამიანებს შორის გაჩენილი გაუგებრობის უფსკრული:

— „ო, მარიამ, მარიამ! ვერც დრომ, ვერც ასაკმა, ვერც კომუნისტებმა ვერ მომკლეს, შენ კი ნამდვილად მომკალი!“ — უბნება მარიამს მისი შეუსმენლობით განამებული ანასტასია.

სოფიკო ჭიაურელმა შემოგვთავაზა თამაზ ჭილაძის

დიდებული პიესა და სიცოცხლის ბოლოს, თეატრის მოყვარულებს კიდევ ერთი დღესასწაული აჩუქა. მის თვალებში სშირად ჩანდა ნანარმოებში მწერლის მიერ დაწერილი კი არა, ისე ჩაფიქრებული, ნაგულისხმები და დასმული კითხვა: ვინ მოგცათ უფლება წაართვათ ადამიანებს სიცოცხლის სურვილი?! „მთელი არაბეთის სურნელოვანი ბალახებით“ გაბრუება წამითაც ვერ დაგვავიწყებს ამ ტკივილს.



ამოუცნობის ინტერარეატიაციები დრამატურგიაში

(სამუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“ და მორის მეტერლინკის „ლურჯი ფრინველი“)

მხატვრული ლიტერატურა ძირითადად ფასდება იმის მიხედვით, თუ რას ამბობს ავტორი და როგორ ამბობს იგი. რეალობასა და ირეალობას შორის დიდი მწერლის მიერ განცდილი ცხოვრებისეული სიმართლეც და ილუზიაც ნაირგვარი ინტერპრეტაციისა და ფორმობრივი ვარიაციების მეშვეობით ემოციურ ზემოქმედებას ახდენს; ეს ინვევს მკითხველისა და მთხოობელის თანაგანცდას ძალდატანების გარეშე. ამგვარ მწერლებს მიეკუთვნებიან სამუელ ბეკეტი და მორის მეტერლინკი. ნაწარმოებები: „გოდოს მოლოდინში“ და „ლურჯი ფრინველი“, სწორედ, თხრობის ფორმობრივ თავისებურებთა და, შეიძლება ითქვას, გამარჯვებულ ექსპერიმენტთა მაგალითებს წარმოადგენენ. ალბათ უინტერესო არ იქნება ამ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა.

ადამიანის ბუნება ოდითგანვე მოწოდებული იყო შეცნო ყველა დაფარული საიდუმლო, გაეგო და აღმოეჩინა, რაც მისთვის ჯერაც მიუწვდომელი და მიუღწეველი იყო. განათლებამ და მეცნიერულმა აღმოჩენებმა ვერ სრულყო, ვერ დაამშვიდა ის; რადგან ადამიანს მშვენიერი რეალობის, ლამაზი გარემოს მოლოდინის სურვილი ისევ შერჩა.

სამუელ ბეკეტის პერსონაჟების არსებობაც დაუსრულებელი მოლოდინი და იმედია. ისინი გოდოს ელოდებიან, რომელიც, რა თქმა უნდა არ მოდის. ნაწარმოებში არ ჩანს, ვინ არის მოლოდინის „საგანი.“

პიესის გმირების: ლაკის, პოცოს, ვლადიმირის, ესტრაგონის მეტყველება, აზრგამოცლილი და აბსურდულია. მათი ყოფა კი — უიმედო და კომიკური; თუმცა, ისინი ტრაგიკულ

მდგომარეობაში იმყოფებიან და მუდამ ელიან ამოუცნობ არსებას – გოდოს. ესე იგი იმას, ვინც მათთვის უკეთესი მომავლის დასაწყისის და უაზრო ყოფის დასასრულის მომტანი იქნება. უკეთესი, შინაარსიანი სინამდვილის ლოდინი ყველაზე ადამიანური თვისებაა და როცა ამის იმედი ქრება, მაშინ პიროვნების გრძნობები და ემოციები თითქმის განწირულია. ამ მეტაფიზიკის ირგვლივ ტრიალებს ავტორი. პიესის პერსონაჟებს ერთმანეთთან მნიშვნელოვანი არაფერი აქვთ სათქმელი. ბუნდოვანი და უაზროა მათი წარსულიც და ადამიანური ისტორიაც. მომავლისგან რას ელიან, თავად არ იციან.

ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია მომავალზე ფიქრის გარეშე, თუმცა მისი განჭვრეტა ძალზე იშვიათად ხდება. ბეკეტის პერსონაჟებს კონკრეტული არაფერი უნდათ და რაკი თავად ვერ განუსაზღვრავთ ცხოვრების მთავარი მიზანი და სურვილი, ამის გადაწყვეტასაც სხვისგან ელიან. ელიან „რაღაცას“, რაც უაზრო ცხოვრებას აზრს შესძენს ან მოაწესრიგებს მათ გარშემო არსებულ ქაოსს.

„ბეკეტის პერსონაჟები ძალიან მშრალად ლაპარაკობენ, მათი ლექსიკონი ძალზე ღარიბია, ფრაზები დაუმთავრებელი და უმნიშვნელონი. როცა საჭირო სიტყვას ვერ პოულობენ, მიმიკას მოიშველიებენ ხოლმე. მნიშვნელობას მოკლებულიდა დაცარიელებული მეტყველებით, დიალოგებით, რაც პიესის მამოძრავებელი ძალაა, უნდა შეიქმნას მაგიური ძალა, რომელიც მაყურებელს ჩაითრევს. ამგვარი მეტყველებით გამოიხატება ადამიანის უაზრო არსებობა და საბოლოო განადგურების წინაშე (ბეკეტის პერსონაჟები ნელ-ნელა სრულ დეგრადაციას განიცდიან) სწორედ ამ უმნიშვნელო სიტყვებითა და ფრაზებით ცდილობს ადამიანი თავს უშველოს. უაზრო დიალოგები, ულოგიკო ფრაზები და დაუმთავრებელი აზრების შემცველი წინადადებები, რომელიც არ შეესაბამება რტაგიკულ სიტუაციას, პიესას სიმძაფრეს მატებენ.

ანტი-თეატრის ზოგიერთი დრამატურგის პიესაში მეტყველება თავის თავს შლის და იმ რეალობასაც ანგრევს, რომელიც უნდა დაიხატოს. უან რენე თვლის, რომ არ არ-

სებობს ადამიანური ურთიერთობის ჭეშმარიტება, რადგან ყველაფერი სიტყვით გამოიხატება, ხოლო ყოველი სიტყვა შეიცავს ტყუილს. იონესკო კი ფიქრობს, რომ ჩვეულებრივი საუბარი აღარ შეიძლება მიმდინარეობდეს პერსონაჟებს შორის, რადგან ჩვეულებრივი სიტყვებითა და დიალოგებით აღდგება სამყაროს ხედვის ესა თუ ის კონცეფცია. საუბარი, მეტყველება უნდა დაიმალოს. ამიტომ მიმართავს იგი ტავ-ტოლოგიებს, წინააღმდეგობრივ ფრაზებს, გაურკვეველ ბგერებს და შეუსაბამო გამოთქმებს” (ბაქრაძე 1972: 207).

პიესაში დრო და სივრცე არ არის დაკონკრეტებული. სად არიან პიესის გმირები, საიდან მოდიან და საით მიდიან, არც ეს არის გარკვეული; ეს ფონი ასახავს პერსონაჟთა აბსურდულ მდგომარეობას და ამით, ალბათ, კაცობრიობის აბსურდულ ყოფაზეც მიგვანიშნებს ავტორი. მოვიგონებ ერთი ფილოსოფონის აზრს: „დრო და სივრცე წესრიგის ის ფორმებია, რომელშიც მთელი სინამდვილეა ჩამოსხმული... ჩვენ უნდა დავადგინოთ დროისა და სივრცის ჭეშმარიტი ბუნება ჩვენს ადამიანურ სინამდვილეშიო“ (კასირერი 1983: 96). აქედან გამომდინარე დროისა და სივრცის უარყოფა ადამიანური ყოფისა და, რაც უფრო უარესია, აზროვნების მოუწესრიგებლობასა და არათანამიმდევრულობაზე მიუთითებს.

გოდო სიმბოლური ხატია, თუმცა საინტერესოა, რომ თავად მნერალი ყოველგვარ სიმბოლიზაციას უარყოფდა ამ პიესაში, ალბათ იმიტომაც, რომ პერსონაჟთა ამგვარი ყოფის მიღმა იგულისხმება ნამდვილი, რეალური ტრაგიზმი, რომელიც არა მარტო აბსურდულ ყოფაში მცხოვრები ადამიანის სულში ჩნდება, არამედ, მასთანაც, ვისი ცხოვრებაც თითქოს მოწესრიგებული და მიზანმიმდართულია. გონიერი კაცის არსებობა ხომ უფრო გულისხმობს ტრაგიზმს. დავიხმარებდი დიმიტრი მერქულოვსკის სიტყვებს: „სიმბოლოები ბუნებრივად უნდა ამოდიოდნენ სინამდვილის სიღრმიდან“ (პაიმანი 1998: 93).

ურთიერთგაუგებრობისა და ურთიერთშეუწყნარებლობის გამო ხშირად იპყრობს ადამიანს სასონარკვეთა. სწორედ ამგვარი ურთიერთობებით იტანჯებიან ბეკეტის

გმირები. მის შესახებ არაერთი სავარაუდო ვერსია გამოითქვა კრიტიკოსთა და ლიტერატორთა მიერ; ნაწარმოების სახელიდან გამომდიმარე ზოგიერთი თვლიდა, რომ ლმერთს მოელოდა ლმერთდაკარგული კაცობრიობა; თავად ბეკეტი უარყოფდა ამ ვერსიას. ეს ის შემთხვევაა, როცა ურთიერთგამომრიცხავი აზრებითაც ვაღიარებთ გოდოს არსებობის აუცილებლობას, რომელიც ადამიანის გულში არსებულ, აღბათ, თანდაყოლილ იმედს მაინც ნიშნავს, თუ დიად სასწაულს არა.

ბეკეტს ჰკითხეს, თუ ვინ იყო გოდო და რას ნიშნავდა ეს სიტყვა; ავტორმა უპასუხა: „მე რომ მცოდნოდა პიესაში დავწერდიო“. ეს ცხოვრებისეული სიმართლე ლიტერატურულ სიმართლედ აქცია ბეკეტმა. თუ მისთვის ამოუცნობი არ იქნებოდა გოდო, ვერც მყითხველს დააჯერებდა, რომ მისი უჩინარი გმირი ბოლომდე შეუცნობელი იყო. შეუცნობელია თავად სამყაროც და ყველა დიადი მოსალოდნელი „ამბავიც“, ხშირად მოულოდნელობის ბურუსშია გახვეული.

ნაწარმოებზე მსჯელობის დროს აუცილებლად უნდა განვიხილოთ სხვავერსიაც: როცა არაფერს ნიშნავს ბეკეტის ცნობილი პასუხი კითხვაზე, თუ ვინ არის გოდო. ეს გავრცელებული მნერლისეული ხერხია, როცა ხელოვანი თავის გმირებს ზურგს „უმაგრებს“ და ამავე დროს იქცევა ისე, თითქოს თავად არაფერ შუაშია. თუ ესტრაგონი, ვლადიმირი, პოცო და ლაკი ცხოვრობენ აბსურდულ სიტუაციაში, ულმერთო სამყაროში და ლმერთს ელოდებიან ეს ტრაგიკომიკური ყოფაა. პერსონაჟთა ურთიერთობა, ლოგიკას მოკლებული და უაზროა. აქ არ შეიძლება მათთან ლმერთი იყოს და იგივე მიზეზის გამოც, სწორედ მათთვის, ლმერთის მოლოდინია აუცილებელი. სიტუაციის გროტესკული ფონი უფრო უკეთ ძნელი დასახატია.

აბსურდულ სამყაროში ლმერთის მოლოდინი უაზრობაა, ამავე დროს, უაზრობაა ასეთ სამყაროში გამოცხადებული ლმერთიც, რადგან ის უსათუოდ „მკვდარი“ იქნება; სხვაგვარად სამყარო აბსურდული არ იქნებოდა. ჰეგელის მიერ ნათქვამი ფრაზა — „ლმერთი მოკვდა“ (რომელსაც შემ-

დგომ მხოლოდ გაიმეორებს ნიცშე), პიესაში მხატვრული ინტერპრეტაციის ნიმუშია. აქ ყველაფერი ღირებულებებს მოკლებულია, სამყარო კი უაზრობად ქცეულა. „ჩვენ ადა-მიანები ვართ“ — ამბობს ვლადიმირი და ამ ადამიანური ტკივილებისა და უსაშველო ყოფის გამო დაეძებენ პიესის გმირები იმედს.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მკითხველს შეუ-ძლია ისე გაიგოს ნაწარმოები, რომ ეს ავტორისთვის სრულიად მოულოდნელი იყოს. უფრო ზუსტად, მკითხველი საკუთარი გემოვნებისა და, რაც მთავარია, თავისი ეპოქის მოთხოვნილების მიხედვით, ისეთ აქცენტებზე გაამახვი-ლებს ყურადღებას, რაზეც ავტორს სრულიად არ უფიქრია. მხატვრული ნაწარმოების (და, არა მარტო მხატვრული ნაწარმოების, არამედ ფილოსოფიური სისტემებისაც), თან-ამედროვეობის პოზიციიდან გაგება სწორედ ამას გულისხ-მობს. „არასწორად გაგებული ძეველი“, ეს არის ერთადერთი სწორი გაგება. ამ ხაზს მიჰყვებოდა კლასიკური ფრანგული დრამატურგია, რომ არაფერი ვთქვათ, კლასიკურ გერ-მანულ ესთეტიკაზე. თუმცა, ამ ყოველივეს არაფერი აქვს საერთო ეგრეთ წოდებულ „ნონ-ფინიტას“ თეორიასთან.

მწერალმა იცის, რომ ყველას თავის გოდო ჰყავს. ადა-მიანები მიზნებით და სურვილებით განსხვავდებიან ერთ-მანეთისგან, თითოეული მათგანის მიზნის ასრულება მოლოდინს გულისხმობს. სურვილის, საწადელის ასრულე-ბასთან ზოგჯერ ადამიანის სიცოცხლის აზრია (თუ თავად ასე მიიჩნევს) დაკავშირებული, ეს კი, ყოველთვის გულისხ-მობს ცვლილებებს, ერთფეროვანი ყოფის ნგრევას და პოზ-იტიურ სიახლეს. საამო ცვლილებების გარეშე ძალიან მძიმე ასატანი ხდება ყოველდღიური ცხოვრება, ამტომაც, სასო-ნარკვეთილი ესტრაგონი და ვლადიმირი თავის ჩამოხრჩო-ბას აპირებენ... ნაწარმოების ფინალში არაფერი ირკვევა. პიესა მთავრდება ისეთი დიალოგებით, როგორითაც დაი-წყო. ამ აბსურდული საუბრებით ბეკეტი მნიშვნელოვან საკითხზე დაფიქრებას გვთავაზობს. თუ არსებობს მშვე-ნიერება, მაშინ მოვა, თუ არა და... ადამიანი უკეთესი არსე-ბობის მოლოდინს მაინც ვერ შეელევა.

მორის მეტერლინკის პიესაშიც სიმბოლოთა „ანსამბლია“ წარმოდგენილი. აქ ბავშვები ეძებენ ლურჯ ფრინველს, რომლის მოსაპოვებლადაც მრავალგვარი გასაჭირის დაძლევა უწევთ. ისინი აღმოჩნდებიან: ფერის სასახლეში, მოგონებების ქვეყანაში, ლამის სასახლეში, ტყეში, ბედნიერების წალკოტში და მომავლის ქვეყანაშიც კი... ბედნიერების მოსაპოვებლად ხომ უამრავი დაბრკოლება უნდა გადაილახოს: მუდამ შრომაში უნდა იყო, ცოდნის გზით ეძებდე ჭეშმარიტებას და მიიკვლევდე გზას შეუცნობელი სიხარულის მისაღებად. დაკონკრეტება იმისა, თუ რა არის ლურჯი ფრინველი, ალბათ, არასრულფასოვან მსჯელობამდე მიგვიყვანს. მის შესახებ, მხოლოდ, სავარაუდო ვერსია შეიძლება გამოითქვას.

ლურჯი ფრინველი ბედნიერების, ჭეშმარიტების, სიყვარულის და რაღაც „დიადის“ სიმბოლოა. მისი დაუფლების წყურვილი ყველა ადამიანისთვის ახლობელია (ერთია ოლონდ, ვინ რას ეძახის ბედნიერებას). სიმბოლური ხატი(ლურჯი ფრინველი), რომელიც მწერალმა შეარჩია თავისი ბუნებით (ის ხომ ფრთოსანია) და ლირიული ფერით, მის აღმატებულ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს.

სიმბოლოს შინაარსი გულისხმობს მის დაუკონკრეტებელ ან ნახევრად დაკონკრეტებულ ჩანაფიქრს. შეიძლება მასში მოიაზრებოდეს როგორც ერთი, ასევე რამდენიმე „რამ“. ზოგჯერ „სიმბოლოს თვით იდეა წარმოადგენს – როგორც ამას პლატონი ფაქტობრივად გულისხმობს, როდესაც ამბობს, რომ ის არის, შესაბამისად, მარადიული აზრის ფორმა, რომელზედაც ცალკეული გამოსაცდელი საგანი მიუთითებს და რომელიც იგულისხმება გამგები გონის მიერ“ (გუარდინი 2008: 117).

ავტორი ერთგან გვახსენებს იმასაც, რომ ის, რაც შორეული და მიუღწეველი გვგონია, თუკი ხელშესახები გახდება შეიძლება ფასი დაკარგოს. ასე იცვლის პიესაში ერთგან ფერს დამწყვდეული ფრინველი და სილურჯეს კარგავს; ესე იგი, კარგავს მთავარს — ხიბლს, რის გამოც ის ასე სასურველი იყო. და-ძმა, ტილტილი და მიტილი, ამის შემდეგაც აგრძელებენ სანატრელი ბედნიერების ძებნას.

სამყაროს შეცნობა რომ დასრულდეს, დასრულდება ძიების რთული და საინტერესო პროცესი. დასრულდება განვითარება, რომელიც გულისხმობს მოძრაობას, მნიშვნელოვან სურვილებს და მოსალოდნელი ბედნიერების შესახვედრად გულში გაჩენილ მზაობას. ლურჯი ფრინველი თუ დატყვევებული ან დაჭერილია, შესრულებული, განხორციელებული და მიღწეულია მიზანი; უკვე ჩვენს ხელთ არის რაღაც „დიადი“. ეს ყოველივე კი არაბუნებრივი იქნება, რადგან არ შეიძლება ადამიანს სამარადფამოდ ხელში ჰქონდეს მომწყვდეული ბედნიერება, ჭეშმარიტება, სიყვარული... ძიების პროცესის დასრულება, ადამიანის გაბედნიერების შემდეგ, მის გაუბედურებას გამოიწვევს. ის მოიწყენს, უფუნქციოდ დარჩება, ვეღარ იქნება გახარებული.

ტანჯვა მრავალგვარია: კაცთა შორის გაჩენილი მტრობა, გაუტანლობა, ღალატი, ავადმყოფობა და ნივთიერი გაჭირვება, უვიცობა, ბედის უკულმართობა... ადამიანის გულში გაჩენილი უსაფუძვლო სევდაც კი. ნებისმიერ შემთხვევაში, ამგვარი ყოფის გამოსწორება, მისი დაძლევა, ბედნიერებისკენ სწრაფვაა. ეს კი, სიძნელეთა გადალახვას გულისხმობს. ამგვარი პროცესი არასდროს არ არის მოსაწყინი, ის მუდამ მთავარია და ჰქინია ცხოვრება.

„ლურჯ ფრინველში“ გამუღავნებულია მწერლის ფილოსოფიური შეხედულებები და დამოკიდებულება სამყაროს მიმართ. ბავშვები არ უშინდებიან არც ბენელ, ბოროტ დამეს, არც ტყეს, არც ნადირს. ისინი თავდაუზოგავად მიინევენ წინ და არ ეპუუბიან არნაირ სიძნელეს. ამით ავტორი კიდევ ერთხელ მიგვითითებს ადამიანის უსაზღვრო შესაძლებლობებზე. მის უნარზე — გადალახოს ან თავად ეძიოს დასაძლევი „სიმაღლეები“. მწერალი არაპირდაპირ, არამედ მცირე, უმნიშვნელო მინიშნებით, გვახსენებს ძალიან მნიშვნელოვან ერთ-ერთ უპირველეს რეალობას, რომ ადამიანში ძალიან დიდი ენერგიაა; მას თითქმის ყველაფერი შეუძლია, ოღონდ ამ ენერგიის სწორად გამოყენებისათვის გასაღები ძნელი მოსაძებნია. ამისათვის ინტუიცია და ცოდნა, ძლიერი სურვილი, სიყვარული და კიდევ ერთი ამოუხსნელი „რამ“ არის საჭირო.

”გოდოს მოლოდინისაგან“ განსხვავებით, ამ პიესაში მწერალი გვახსენებს ამქვეყნიურ ბედნიერებებს, რომელთა მიმართაც ჩვენ შეიძლება თვალახელილზი ვერ აღმოვჩნდეთ და ვერ დავაფასოთ, რადგან ისინი ყოველდღიურ ყოფას ახლავს თან. ხშირად კი ის, რაც დიადი უბრალოებით ეძლევა ადამიანს, უფრო ძნელი დასანახია, ვიდრე შორეული და მიუწვდომელი ოცნება. პიესაში პერსონაჟებად ცოცხლდებიან ლურჯი ცის ბედნიერება, ჯანმრთელობის ბედნიერება, მზიანი დღეების ბედნიერება, წვიმის მოსვლის ბედნიერება, ზამთრის ცეცხლის ბედნიერება, უმანკო ფიქრის ბედნიერება, სამართლიანობის სიხარული, გაგების სიხარული, სილამაზის შეგნების სიხარული, სიკეთის სიხარული, ფიქრის სიხარული, სიყვარულის სიხარული, დედის სიყვარული... ეს ყოველივე, როცა აკლდება ადამიანს მხოლოდ მაშინ ხვდება, რა სიძირდეს სთავაზობდა სამყარო წარსულში. ყველაზე გავრცელებული ადამიანური ნაკლი თუ შეცდომა — ვერ შემჩნევა არსებული სიხარულის და უშრომლად ცხოვრების მიერ ბოძებული სიკეთისა, ფაქიზად, ყოველგვარი განსჯის გარეშეა გამომზეურებული ამ პიესაში.

ნანარმოების ფინალში ყოველთვის განსაზღვრულია ხოლმე მწერლისეული იდეა. პიესის დასასრულს გოგონასა და ტილტილის საუბარია გადმოცემული: როცა სასონარკვეთილი გოგონა დაკარგულ ფრინველს მისტირის, ტილტილი პასუხობს — „ნუ ტირი! არა უშავს რა, ისევ დავიჭერ!.. (წინ ნარმოდგება და დამსწრე საზოგადოებას მიმართავს) თუ რომელიმე თქვენგანი დაიჭერს, ძალიან გთხოვთ, დაგვიბრუნოთ...ეგ ფრინველი ჩვენთვის საჭიროა, რომ შემდეგში ბედნიერები ვიყოთ“ (მეტერლინკი 1966: 101).

პიესაში ერთგან ირკვევა, რომ გოგონას ლურჯი ფრინველი ჰყავს, ტილტილს კი იმაზე ბევრად ლურჯი ფრინველებიც უნახავს. ეს თითქოს ნიშნავს, რომ ჯერჯერობით და-ძმის ინტერესს მათი ფრინველიც აკმაყოფილებს და იმავდროულად იგულისხმება, რომ აღმოჩენილი ჭეშმარიტების შემდეგაც გრძელდება სამყაროს ამოცნობა. ბავშვებმა შეიძინეს ცოდნა და გამოცდილება, შესწოდენ ამქვეყნიურ სიმაღლეს და სიკეთეს; მაგრამ აზროვნებისა

და სულიერების განვითარების გზა უსასრულოა, ამიტომ სამყაროს შეცნობა გრძელდება.

ადამიანის ბუნება ისეთია, რომ მას სურს გაერკვეს, რა ხდება კოსმიურ სივრცეებში და ბუნების ყოველ საიდუმლოსთან მიახლება სასწაულის ტოლფასია მისთვის. უფრო ლურჯი ფრინველები ცოდნის, სიკეთისა და ზნეობის შემდგომი საფეხურებია. რაც შეეხება ლურჯ ფრინველს, ის, ბავშვებს მაინც გაუფრნდებათ, რადგან არ შეიძლება ერთხელ „მოპოვებულით“ სამუდამოდ დამშვიდდეს ადამიანი.

საოცნებო, ამოუცნობი სამყაროს აღმოჩენის, ჭეშმარიტებისა და იდეალების ძიების სურვილი მუდამ თან სდევს კაცობრიობის ისტორიას. ძიება სამარადებამო პროცესია. სწორედ ეს საკითხია მეტად ორიგინალური პერსონაჟების მეშვეობით ახსნილი ამ ფილოსოფიურ პიესაში, თუმცა ეს ნანარმოებიც, „გოდოს მოლოდინის“ მსგავსად, თავისუფალი აზროვნების და მსჯელობის საშუალებას ყოველთვის ტოვებს.

დამოწმებანი:

ბაქრაძე 1972: ბაქრაძე მ. სამუელ ბეკეტის პიესა „გოდოს მოლოდინში“. უურნალი ხომლი თბ.: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 8, 207.

გუარდინი 2008: გუარდინი რ. რელიგია და გამოცხადება, თბ.: 117.

კასირერი 1983: კასირერი ე. რა არის ადამიანი? თბ.: გამომცემლობა „განათლება“, 96.

მეტერლინკი 1966: მეტერლინკი მ. ლურჯი ფრინველი, თბ.: გამომცემლობა „ნალკადული“ 101.

პაიმანი 1998: Пайман А. История русского символизма, М.: 93.

„რისთვის მოდის ადამიანი ამ ქვეყნად?“

„სიყვარული — ყველაზე უფრო საინტერესო და საპატიო გახლავთ ადამიანურ სისუსტეთა შორის“ და „სიცოცხლე გვეძლევა აუცილებელი პირობით, რომ ალსასრულამდე ვაჟკაცურად ვიცავდეთ“, ახლა ჩარლზ დიკენსის ამ გამონათქვამებს ვიხსენებ და დიად ფასეულობებზე ჩამოყალიბებული აზრის ერთ უთვალსაჩინოეს გამოვლინებად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მიმაჩნია გელა დუმბაძის ცხოვრებისეული კრედოც და მისი შემოქმედებითი დიაპაზონიც.

მნიშვნელოვანი და დასაფასებელია ის ფაქტი, რომ წიგნში, „მე — მორბენალი“, წარმოდგენილი მოთხრობის, პიესისა, თუ ჩანახატის ყოველი თემა და სიუჟეტი მოყვასის სიყვარულს, გამარჯვებულ სიკეთეს და რწმენას დასტრიალებს, რაც ერთი აუცილებელი და მთავარი სამკაულია იმგვარი შემოქმედისთვის, რომელიც მიიჩნევს, რომ ადამიანი თანადგომისა და იმედის გარეშე, რაც უნდა ძლიერ ფესვებზე იყოს ამოზრდილი, სასიცოცოცხლო ენერგიას მაინც ადვილად დაკარგავს; ის, მხარდაჭერის გარეშე, მეხდაცემული მუხასავით გაინირება ან სასოწარკვეთას მიეცემა; სწორედ ამის დასტურია მწერლის თითოეული ნაწარმობი: „ხანჯალი“, „ბეგლარ“, „ბელურა“, „სკამი“, „სამი ამბავი“ და სხვა. აქვე მინდა დავძინო, რომ მოთხრობები: „ყვითელი ტროლებული“ და „ხანჯალი“, ასევე რადიო პიესა „შიოლა“ საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებში გამართული ლიტერატურული კონკურსების ლაურეატი ნაწარმოებები გახლავთ.

გელა დუმბაძის პერსონაჟები მკითხველს ადვილად უთბობენ გულს, აჯერებენ, რომ კეთილი საქციელი ადამინისთვის ბუნებრივი მოვლენა, თანდაყოლილი თვისებაა და არა ჩვენი ყოფის ორიგინალური მხარე.

ბოლო დროს, რატომღლაც, „მივეჩვიეთ“, რომ მაღალზნეობრივი ქმედება საოცრებად დავსახოთ. გელა დუმბაძის პროზის დამსახურებად სწორედ ის მიმაჩნია, რომ ადამიანური გულისხმიერება მისი პერსონაჟების ჩვეულებრივი, ძალდაუტანებელი, ბუნებრივი მდგომარეობაა. ისინი თითქოს ჩვენს გვერდით არიან, აქვე ტრიალებენ და საქმიანობენ, თითქოს მოგვმართავენ კიდეც და შემოგვცერიან. ავტორი თავისუფლად გვიხატავს მათი ყოფისა და ცხოვრების წესს. დუმბაძისეული პერსონაჟები ხშირ შემთხვევაში ჩვენი ეპოქის, ჩვენი დროის შვილები არიან; ჩვენთვის ნაცნობი განცდა და საზრუნავი აწევთ კისერზე და ამიტომაც, ამ წიგნის ნაკითხვის შემდეგ, საკუთარი მეგობრებივით იმკვიდრებენ მკითხველის გულში ადგილს.

მინდა გავიხსენოთ რადიოპიესა — „შიოლა“, ის კარგა ხანია გაუღერდა რადიოში და დიდი წარმატებაც ხვდა წილად.

შიოლა, უჩინარი, „არათვლებილული“ გმირია, რომელსაც უდიდესი ფუნქცია ეკისრება ნაწარმოებში; მისი გამოჩენის შემდეგ, უსახური და უინტერესო ყოფით დამძიმებულ ოჯახში იდილია ისადგურებს. ცოლ-ქმარს ნამდვილი საზრუნავი გაუჩინდებათ, რაც იწვევს მათ გამოფხიზლებას, რეალური, ადამიანური და მშვენიერი ურთიერთობებისკენ შემობრუნებას. შიოლა დიდი მისით ეწვია უშვილო ოჯახს და დატოვა კიდეც იქ ბედნიერების კვალი. პიესა ორიგინალურია, სასიამოვნოდ იკითხება, რაც შეეხება მის თემას, ავტორი აქაც სიკეთის ერთგული რჩება.

საინტერესოა, რომ შიოლა, რომელიც ნაწარმოებში „არჩანს“, ავტორმა თავისი ნიჭიერების ნყალობით, მთავარპერსონაჟად აქცია. ის იდუმალი და უცნაური არსებაა: არც ფანტასტიკის გმირებს ჰგავს, თან, არც ღვთიური, არც მისტიური და არც დემიურგების ტიპის მოვლენა არ გახლავთ. რაღაც სხვა არის, უხილავი, მაგრამ, იმავდროულად ყველაზე ცოცხალი და საინტერესო სახე სხვა „საჩინო“ პერსონაჟთაგან.

დადგმულია ავტორის მეორე არანაკლებ საინტერესო რადიოპიესაც „ლამის სტუმარი“, რომლის განსაკუთრებულ

ხიბლზე ჩაფიქრება მკითხველს მინდა მივანდო.

წიგნში, „მე — მორბენალი“, შეტანილია ერთი მოთხოვა — „თაობა ინდიგო“, რომელიც მომავალი დროის, კონკრეტულად კი – 2013 წლისა და მომავალი თაობის ფსიქიკისა და ენერგიის ჭვრეტის ვარიაციას გვთავაზობს...

საინტერესო წიგნის წაკითხვის შემდეგ, ხშირად მკითხველისთვის მნიშვნელოვანი ხდება მნერლის დამოკიდებულება ცხოვრებისეულ მოვლენებთან. ამის თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ ჩანახატი „გმადლობთ, უფალო“. აქ ყველაზე უფრო პირდაპირი და მკვეთრია გელა დუმბაძის ცხოვრებისეული პოზიცია და ლიტერატურულ გმირთა ქმედებას ამოფარებული ადამიანი კი არა, ჩვენს წინ უფლისადმი, „ცხოვრების მრავალ ფერთა განცდის“, თვით „სევდისა და თანაგრძნობის“ უნარის გამოც, მადლიერებით სავსე პიროვნება დგას. ის თავისი ქვეყნის მარადცოცხალი წარსულის ფესვებს ეალერსება, მასზე ამოზრდილ სამომავლო ნერგებს უსხამს წყალს. ამის გარეშე წარმოუდგენელია რაიმე ფასეულისა და, თუნდაც, ორიგინალურის შექმნა. სწორედ ამ ავტორისეული მრნამსის ერთ უმთავრეს გამოვლინებად მიმაჩნია შესანიშნავი მოთხოვა „ბეგლარ“, რომელშიც, ვფიქრობ, აკუმულირებულია მნერლისეული კრედო. მოხუცი ბეგლარი ერთადერთ თვალს იმეტებს ახალგაზრდა მათხოვრისთვის. ეს, თითქოს, ერთი შეხედვით ზღაპრული საქციელი, ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მოთხოვნის ლრმად გააზრებული ფინალისა და ოსტატური დასასრულის გამო, სულაც არ ტოვებს არარეალურობისა და ამგვარი ღვთიური სასწაულის შეუძლებლობის განცდას. აქ დასმულ მარადიულ და რთულ კითხვაზე: „რისთვისაც მოდის ადამიანი ამ ქვეყნად?!“ მნერალს აქვს უბრალო და ყველაზე დიადი პასუხი, რომ ადამიანი მოდის სიკეთისათვის.

ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული ცერილების მნიშვნელობა და კვალი XX საუკუნის ქართულ მცენლობაში

წინაპრის ღვაწლი, ყოველთვის მნიშვნელოვანი წინა პი-
რობაა სამომავლო საქმიანობისა და აზროვნებისათვის.

ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული წერილები 1886-1915
წლებში ქვეყნდებოდა ქართულ პერიოდიკაში და საყოველ-
თაოდ აღიარებულია მათი მნიშვნელობის შესახებ.

„XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ბევრმა
არაფერი იცოდა მთის მცხოვრებთა ადათ-წესებისა და
ჩვეულებების შესახებ, ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული
წერილები... მთის მოსახლეობის საარსებო ინტერესებს
ორგანულად უკავშირებდა მთელი ქართველი ერის ყოველ-
დღიურ ცხოვრებას. სწორედ ამაშია მათი უაღრესად დიდი
დამსახურება“ [სიხარულიძე, 1989, 132]. ინფორმაციული
სიმძიდრით ვერც მეოცე საუკუნის დასაწყისი დაიკვეხნი-
და. მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის მიერ ფართოდ გაშლილმა
მუშაობამ ქართველოლოგის დარგში და ქართული ეთ-
ნოგრაფიული სკოლის ჩამოყალიბებამ, მისი ფუძემდე-
ბლების სილიბისტრო ლომიას, ვერა ნარდაველიძის, გიორ-
გი ჩიტაიას, სერგი მაკალათიას და სხვათა მიერ ჩატარე-
ბულმა საველე და კაბინეტურმა კვლევამ გახადა ფართო
საზოგადოებისათვის სათანადოდ ცნობილი საქართველოს
სხვადასხვა კუთხის ათასწლეულობით ნახვენი მაღალი
კულტურა ყოფისა. ამ ახალი ინფორმაციის შუქზე ახალი
მნიშვნელობა და ელვარება შეიძინა ვაჟა-ფშაველას ეთ-
ნოგრაფიულმა პუბლიკაციებმა. ამან თავის მხრივ გააძლი-
ერა ფართო საზოგადოების და რაც მთავარია შემდგომ
ქართული სამწერლო ელიტის: კ.გამსახურდიას, მიხ.ჯავახ-
იშვილის, გრ.რობაქიძის... ინტერესი ნარსულის რომანტი-
კული ბურუსით მოცული ამ კულტურული სამყაროს მი-
მართ.

„მთის რომანტიკა“ 20-იანი წლებიდან მძლავრად იჭრება
ქართულ მწერლობაში, ახალი თემებით, ახალი მხატვრული

სახეებითა და პოეტური მეტყველების ახალი ფორმებით.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების იმ ნაწილში, სადაც სახისმეტყველების ასპარეზად მთა წარმოგვიდგება, ისტორიულ არსებობას განაგრძობს ვაჟასეული მიუწვდომელი და განუმეორებელი სამყარო, ოღონდ, სხვაგვარად გადააზრებული. ის, რაც ვაჟასათვის, როგორც ფშავის მკვიდრისათვის, სისხლ-ხორცული რეალობაა და ბუნებრივი ან-მყოა, სიმბოლისტი მწერლის წარმოსახვით არის ზეისტორიული წარსული, უნივერსალიათა სიმბოლური ანარეკლი. გრ.რობაქიძის აზრით, „ჯვარი და ხატი რქმევაა შინასახის... „ტომის, თემის, ვითარცა არსისა — მთელის“... [რობაქიძე, 1987, 175] ამის დამადასტურებლად მაგალითად მოჰყავს ვაჟა-ფშაველას „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“. „ჯვარის“ თუ „ხატი“ ღვთიური შუაგულისა ტომის, თემის. ლაშარი? მითიური განპიროვნება ამ შუაგულისა ცალკეულთა მისტიურ ხილვაში... ტომის თუ თემის ღვთიური შუაგული მითიურ ლაშარში განპიროვნებული — აი, საიდან მოდის ვაჟა. აյ არის წყაროსთვალი — ენგადი — მისი პოეზიისა [იქვე, 175]. სწორედ „ენგადია“ გრიგოლ რობაქიძის იმ ერთი მოთხოვნის სათაური, რომელშიც ავტორმა თანამედროვე, ნახევრად უცხო კაცის თვალით დანახული ხევსურეთის ყოფა გადაგვიშალა თვალწინ. 1948-58 წლებში პარიზში გამოდიოდა უურნალი „ბედი ქართლისა“. „ენგადი“ პირველად დაიხეჭდა „ბედი ქართლისას“ 10-11 -ში, რუბრიკით „კავკასიური ნოველები“. ენგადი ბალ-ვენახოვანი ოაზისია მკვდარი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, მისი ვენახები სატრაფოს მეტაფორული სახეა „ქებათა ქებაში“ (1.14) [კიკნაძე, მინანერი მოთხოვნა „ენგადისათვის“, 1991, 38].

„ენგადში“ მწერალი ასახავს მთის ხალხისთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებებსა და ურთიერთდამოკიდებულებას, მთის კაცის ხასიათს, სტუმარ-მასპინძლობის, ძმადგაფიცვის, დაზარალებულის გასტუმრების წესს, ნადირობას და ხატობას. ყოველივე ეს ზუსტად მიჰყება ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ წერილებში („წერილი ხევსურეთიდგან“, „სოფელი ხახმატი“, „ხევსურის თავი“, „ხევსურები“, „ქალთა შესახებ“...) მოცემულ მასალას. ნანარმოებს კი საფუძვლად უდევს „ქართულ სინამდვილეში(და, შესაძლოა, მსოფლიოშიც) თავისი კერძო გამოხატულებით

უნიკალური წეს-ჩვეულება სწორფრობისა, რომლის წარმოშობა და საზოგადოებრივი ფუნქცია იდუმალებით არის მოცული” ... გრიგოლ რობაქიძე ერთადერთია ქართველ მწერალთა (და, თუნდაც მკვლევართა) შორის, რომელიც ჩანვდა სწორფრული ურთიერთობების ექსისტენციალურ სიღრმეს. ნოველაში ჩართული პარალელური ეპიზოდები მკვლელობისა წარმოაჩენს ამ წეს-ჩვეულების შინაგან მხარეს: როგორიც ორთა შერკინებაშია ლაჩრობა სასიკვდილოდ დაჭრა მონინალმდეგისა, ასევე სწორფერულ ურთიერთობაში ზღვარის გადასვლა [იქვე]. თუ მოთხრობაში აღწერილ სწორფერთა ურთიერთობებს ვაჟა-ფშაველას წერილების ფონზე განვიხილავთ, შევამჩნევთ, რომ გრიგოლ რობაქიძის მოთხრობაში, შემეცნებითი ფუნქცია სჭარბობს ესთეტიკურ მხარეს. შეიძლება ითქვას, რამდენადაც ეს მხატვრულ ნაწარმოებშია შესაძლებელი, მწერალი, არა ზედმინევნით, მაგრამ ზუსტად ასახავს მთის ხალხის ამ უცნაურ ჩვეულებას და ნამდვილად მიჰყვება ვაჟას ეთნოგრაფიულ წერილებში: „წაწლობასა“ და „ფშავლებში“ მოცემულ მასალას. ნაწარმოებს, რასაკვირველია(თუ მისი მხატვრული ღირებულება მაღალია), არაფერს აკლებს ამგვარი მიმართებები, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვერავის დავეთანხმებით, რომ მოთხრობა „ენგაძი“ საუკეთესო მოთხრობათაგანია ქართულ ლიტერატურაში(როგორც მიჩნეულია ერთ-ერთი ცნობილი გამოცემის მიხედვით) და, მოკრძალებით აღვნიშვავთ, რომ იდეა, რომელიც მწერალს სურდა გადმოეცა მკვეთრად ვერ გამოისახა. მას, ამ მოთხრობაში, არ ეყო იმგვარი ოსტატობა, როგორსაც ჩვენ ამ სახელის მქონე მწერლისაგან ველით; რომ არ გვცოდნოდა მწერლის საერთო დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ, მხოლოდ ამ მოთხრობაზე დაყრდნობით შეიძლებოდა სულ სხვაგვარად გაეგო მკითხველს აქ წარმოდგენილი სიუჟეტი: გვეფიქრა, რომ გიორგი ვალუევი, რომელიც დედით ქართველია და მამით რუსი, უკანმოუხედავად ტოვებს დედულეთს, ისე, რომ ერთი ნერვიც არ უთორთის და სატრფოს, ხევსური ქალის ხმაზე უკან არც კი იხედება(თან, ეს ყველაფერი ხდება ნაწარმოების დასასრულს, როცა ხშირ შემთხვევაში აკუმულირებულია მწერლისეული კრედო); ეს კი, უცხო გენეტიკური კოდისა და შშობლიურის მოსუსტებად შეიძლებოდა ჩათვ-

ლილიყო. ჩვენ მაინც ვიგულისხმეთ სხვა რამ. თუმცა საამინისოდ, მკითხველს, როცა ამგვარ თემას ეხები, ვიმეორებ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამგვარ თემას ეხები, საქმე სათუოდ არ უნდა გაუხსადოს მნიშვნელოვანმა მწერალმა. მოთხოვთ „ენგადში“ ნაგულისხმევ იდეაზე მსჯელობას, ყოველგვარი ოპონირების გარეშე, წერილში კვლავ ვუბრუნდებით, ამიტომ ამ საკითხზე აქ შევჩერდებით და ამჟამინდელ სათქმელს ვუბრუნდებით. წერილებში: „წანლობა“ და „ფშაველები“, ვაუა მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა არის წანლობა და საიდან გაჩნდა ხალხში ეს ჩვეულება: გვიხსნის, რომ ფშავში საზოგადოება ქალს დიდ ვალდებულებებს აკისრებს. ყოველივე ეს მოითხოვს შრომისუნარიანობას, მხერის და მომჭირნეობას. ქალი შრომობს ოჯახშიც და ოჯახს გარეთაც. მას ევალება შვილის აღზრდა, საველე და სამინათმოქმედო სამუშაოები. ის თავდაუზოგავად ეპრძეს მთის მკაცრ ბუნებას, მამაკაცისათვის მარჯვენა ხელია, მას ნადირის მოსაგერიებლად იარაღის ხმარებაც უნევს. ყოველივე ეს იწვევს იმას, რომ სიტურფით უხვად დაჯილდოვებული ფშაველი ქალი მალე კარგავს თავის მომხიბვლელობას, ამიტომ, ვაუას აზრით, „თავისი დანაშაული რომ გამოესყიდა, თავისი ცოდვები მოენანია, ბუნებამ რა ღონე იღონა, რა ოსტატობა იხმარა, სთქა: მოდი ფშაველ ქალს, ამ ტურფა იას, რადგან სილამაზისა მოკლე ვადა აქვს, — ცოტა ხანი, ეს ცოტა დრო სიამოვნებით გავატარებინ, ჩაუდვა მოსიყვარულე, პლატონური სიყვარულით განმსჭვალული გული ვაუისადმი. ვინც მას მოეწონება, ვიზედაც თვალი მიუვა, ხოლო მის მშობლებს, ნათესავებს მივცე ისეთი ხასიათი, მოუთმინონ ქალ-ვაუს ერთად ყოფნა, ერთად წოლა, ხვევნა, კოცნა... [ვაჯა-ფშაველა, 1961, 307]. ამ წესის შესახებ ვაუა-ფშაველა გვატყობინებს, რომ ჭეშმარიტ სიყვარულს, ფშაველთა თვალსაზრისით, ხორციელი სიახლოვე აზარალებს და სპობს, რადგან ქალი ვაუის თვალში მიმზიდველობას კარგავს. სულიერი სიყვარული იდეალურობისაკენ ისწრაფვის, ამიტომ, რაც არ უნდა ეცადოს ვაუი სიყვარული რეალობად აქციოს, ქალი ცდილობს თვიდან აირიდოს ეს ყოველივე და თავის ნაწალში უფრო მძაფრი განცდები გამოიწვიოს. ასეთი სიყვარული მეტად ფაქტიზია, სულ მცირე მიზეზიც იწვევს სწორფერთა განცდას; რაც, ერთგვარად,

ფშაური სატრაფიალო პოეზიის მთავარ ხელისშემწყობ პირობად მიაჩნია პოეტს. ყველაზე უცნაური ის არის, რომ წანლებს არ შეუძლიათ ერთმანეთზე დაოჯახება, ეს სასირცხვილო საქმედ ითვლება. ფშაველი ახალგაზრდა ქალი თამამია; ახლობლებისა და ნათესავებისაგან დაუფარავად ამჟღავნებს ტრფობას ვაჟისადმი. ვაჟს ეძახის „ნაძმობს და წანალს”, ხოლო ვაჟი კი ქალს უწოდებს „წანალს და წადობს”. წანლებს ერთმანეთის მიმართ მოვალეობაც გააჩნიათ. ქალი უქსოვს ვაჟს წინდას, ჩოხას ან ცხენის მოსართავს, ვაჟი კი უკეთებს მას ხელსაქმისათვის საჭირო იარაღებს: „ცხემლას, კალათას, საგრეხელს”... [იქვე, 16].

„წანლობას ხევსურეთში ნიადაგიარა აქვს; მაშინ, როდესაც მათი თანამოძმენი და მეზობლები ფშაველები წანლობის თაყვანის მცემელნი ყოფილან წინათ და დღესაც არან, ხევსური წანლობას ისე უცქერის როგორც საყვარლობას. წანლობაში იდეალურის არაფერისა ჰქედავს” [იქვე, 43]. ასე გვიხასიათებს ვაჟა-ფშაველა ამ უცნაური ტრადიციის წარმოშობასა და განვითარებას ფშავ-ხევსურეთში. ყოველივე ეს, გრიგოლ რობაქიძეს მხატვრული თხრობის ფონზე გადმოცემული აქვს „ენგადში”. წანარმოების მთავარი გმირი ვალუევი დედით ქართველია და მამით რუსი. ვაჟი (გიორგი) პირველად ხატობის დროს იხილავს ქალს, რომლის მიმზიდველი გარეგნობა იქცევს მის ყურადღებას. ქალის სახელი, რა თქმა უნდა, ხევსურულია — მზექალა. მზექალა თავადაც არ მაღავს ინტერესს ვაჟისადმი, რომლის ქცევაშიც ხევსური ქალის თამამი ხასიათი მულავნდება. მგელიკა (მზექალას ბიძაშვილი) თვითონ სთავაზობს ჩაფიქრებულ გიორგის მზექალას თავს სწორფერობისთვის. „ამაღამ გაეცნობი მას” — ამბობს მგელიკა, რადგან ამაში ცუდს ვერაფერს ხედავს, პირიქით, ჩვეულებრივ და ბუნებრივ ამბად მიიჩნევს, ხევსურთა ტრადიციისამებრ.

გიორგი ვალუევი იწყებს ამ ყოველივეს გაანალიზებას „უცხო” კაცის თვალით და იგონებს „პრიმიტივ ხალხთა” შორის არსებულ ჩვეულებებს; იგონებს ძველ მისტერიათა მცოდნე მწერლის ახსნასაც: „ყოველი კაცი... ერთხელ თავის სიცოცხლეში, უნდა შეუერთდეს ქალს და ყველა ქალმა, თუ გინდ ერთხელ თავის სიცოცხლეში უნდა განიზრახოს კაცთან შეერთება — არა იმისთვის, რომ ჰშობონ... რომ

ერთი წუთით მაინც გამოეყონ რკალდენას დაბადებისა და სიკვდილისა და ამ გზით იგემონ მარადიულობა და უკვდავება. ახსნა-გულისხმიერი, ხოლო არც ისე ნათელი” [რობაქ-იძე, 1991, 21].

გიორგი ვერ გარკვეულიყო ქალის მოსვლის „მისიაში”, რადგან თავდაპირველად „უცხო” კაცის თვალით უმზერდა ამ ფაქტს. მხოლოდ მზექალას გამოჩენის შემდეგ ხდება ამ ჩვეულების ხასიათის სრული წარმოჩნდება მოთხრობაში. „გინდების ჩემი სწორფერი იყო?” — ეკითხება მზექალა გიორგის და როცა სასურველ პასუხს იღებს, ვაჟს ალერსის უფლება აძლევს, სხვა დანარჩენი აკრძალულია.

გრ. რობაქიძე მოთხრობაში ფშავური წანლობისათვის დამახასიათებელ ზუსტ „ფორმულას” გვთავაზობს; მოქმედება კი გადააქვს ხევსურეთში. ქალ-ვაჟის დიალოგებით ირკვევა, რომ სწორფერობა წამებაა, მაგრამ ტებილი და თან მტანჯავი; ირკვევა აგრეთვე, რომ წანალთა დაქორწინება სირცევილია და სწორედ ამიტომ აკრძალულიც. „წანლობის წყალობით ქალ-ვაჟი ბევრს სულიერ ტანჯვას და სიამოვნებას განიცდიან — წერს ვაჟსა-ფშაველა წერილში „ფშაველები”; ვფიქრობთ აქ ვაჟა-ფშაველას წერილიდან თითქმის ციტირება ხდება.

„ღვთიურ არს სიყორულ; ხორციელ იგემებ-მოჰკლავ მას; იწოდ მხოლოდ!” — ამბობს ხევსური მგელიკა. „სიყვარულის განხორციელების შემდეგ” ქალი ისეთი სასურველი აღარ არის ვაჟისათვის. სიყვარული განუხორციელებელი, უბინო და იდეალური უნდა იყოს, თუ ის იდეალურობას ჰქარგავს იღუპებაო — იგივე წერილში ამგვარ მოსაზრებას გვთავაზობს ვაჟა-ფშაველა, რასაც თითქმის ზუსტად იმეორებს გრიგოლ რობაქიძის გმირი - მგელიკა მეგობართან საუბრისას.

„მეცნიერება მოვალეა იყვლიოს ამა თუ იმ მოვლენის გენეზისი, მაგრამ სწორფერობის შემთხვევაში, საეჭვოა, მიღწეულ იქნას წარმატება. მისი გენეზისი ბუნდოვანი რჩება... სწორფერობის სულიერი, როგორც ამბობენ, „პლატონური”, და, შეიძლება ითქვას, ერთგვარი ასპექტი მისებრი გამჭრიახობით ამოიცნო გრიგოლ რობაქიძემ” [კინაძე, 1991, 6]. მნერალი ეყრდნობა როგორც საკუთარ ინტუიციას, ასევე სპეციალურ ლიტერატურაში მოცემულ მასალას.

თუ ნაწარმოებს ტრადიციული მიდგომით განვიხილავთ, იბადება აზრი, რომ პიროვნება უნივერსალი — გიორგივალუევი, დედის გენს შეიცნობს, მაგრამ უარყოფს მას და ბრუნდება საქართველოსათვის უცხო ცივილიზაციაში, რადგან ის ეროვნებით რუსია. მისთვის ხევსურეთი არის „ცოცხალი ნაშთი ერთი უსახელო, ძველი, საუკუნეებში გარდასული ხალხისა“. ეს მისთვის ისეთი წარსულია, რომელიც გიორგი ვალუევის მომავალთან ვერანაირ კავშირს ვერ დაამყარებს; ის, დედით ქართველი კაცი, თანამონანილე ხდება ხევსურული ტრადიციებისა; ხოლო, როგორც ეროვნები რუსი — უკანმოუხედავად მიდის ხევსურეთიდან, რომელსაც ვერც სატრფოს სახე და ვერც ძმადნაფიცის გამოსახოვარი შეძახილი ვერ ურჩევს ბოლომდე „გულის სიმებს“, რომ ერთხელ მაინც მოიხედოს და წინააღმდეგობა გაუწიოს მისი ბუნებისა და ცხოვრების წესისათვის მისაღებ ნორმებს. მის მომავალს არავითარი საერთო არ შეიძლება ჰქონდეს ხევსურეთში გატარებულ დღეებთან. წერლის პოზიცია სავარაუდოდ ამგვარია: უცხო ნერგი ფესვს ვერ გამოილებს მშობლიურ ნიადაგში.

იდეურად იგივე პოზიციას გვთავაზობს მიხეილ ჯავახიშვილი რომანში „თეთრი საყელო“, რომელიც ქართული პროზის ერთ-ერთ შედევრად შეიძლება ჩაითვალოს. რომანი 1926 წელს გამოქვეყნდა. ავტორი ხატავს ხევსურთა ყოფას და სწორფერთა სიყვარულს, ოღონდ, მიხ. ჯავახიშვილი სწორფერობის „მოდელს“ ზუსტად არ გვთავაზობს, რადგან რომანში „განხორციელებული“ სიყვარულია ნაჩვენები. ეს კი მთის ხალხთა ტრადიციით წესის დარღვევა და დაუშვებელი ფაქტია. მთავარი გმირი ელიზბარი უარყოფს გარუსებული და ქართული სინამდვილისათვის გადაგვარებული ცხოვრების წესით მცხოვრებ ცოლს — ცუცქის, რომლისთვისაც შვილი სიკვდილის საშიშროებაა და არა სიცოცხლის გაგრძელების ფაქტი. რუსულ-ქართულად მოლაპარაკე ცუცქისათვის მხოლოდ ფულია მთავარი, მისთვის არ არსებობს სიყვარული და არც არაფერი წმინდა. მწერალი ხაზგასმით ავლებს პარალელს ნახევრად გარუსებულ ცუცქიასა და ხათუთას შორისს. ამ ხევსური ქალისათვის წარმოუდგენელია არსებობა შვილისა და სიყვარულის გარეშე. სწორედ ამიტომ არ შეიძლებოდა ელიზ-

ბარის (ვაჟიკას) შვილი შესძენოდა გარუსებულ ქალთან, ისევე როგორც არ შეიძლებოდა მომავალი ჰქონილი გიორგი ვალუევის ქართულ მინაზე. ამ ორ ნაწარმოებში ერთი და იგივე იდეაა სრულიად სხვადასხვაგვარად განხორციელებული, როგორც თხრობის სტილით, ასევე სიუჟეტურად, და ქართული მწერლობის ტრადიციისამებრ, კიდევ ერთხელ, ქართული ეროვნული სულის ნარმოჩინების ფაქტი; ამითომაც საბჭოური წყობის იდეოლოგიისათვის მიუღებელი იყო მიხეილ ჯავახიშვილისა და გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება და ცხოვრებისეული გზა.

რომანში „თეთრი საყელო“ ელიზბარი (ვაჟიკა) დროებით სახლდება მშობლიურ ხევსურეთში. პოულობს იქ ბედნიერებას, სიყვარულს და მომავლის იმედს — შვილს; მშობლიურ წარსულზე მყარად დაყრდნობილი უბრუნდება ცივილიზაციას. მისთვის მთა ისტორიული, მშობლიური, წარსულია. ბარი კი — მშობლიური ანტყო. ორივე სისხლ-ხორცეულია მისთვის, მომავალი და ცივილიზაცია კი მისაღები, რომელიც წარსულის გარეშე ვერაფრით ვერ იარსებებს: „ყველას უღრმესი სალამი და მადლობა:... თეიმურაზ-საც და ხინჯალსაც, ფარსმანსაც და ჩაფხუტსაც, კაჟიან თოფსაც და იაპონიიდან მომავალ ბატონიშვილსაც, ყველამ თავისი შეასრულა და წავიდა. წავიდა და აღარ დაბრუნდება. მე კი ბარში და ქალაქში მიმელის ჩვენი მომავალი. მიმელის და თოკით მიმათრევს... თუ ჩაგითორიეთ, ვცხონდებით. თუ მაჯობეთ ვაი ჩვენი ბრალი!... მაშ აგრე, ძვირფასო მამებო, დედებო, ძმებო და დებო: მშვიდობით და მადლობით!“ [ჯავახიშვილი, 1959, 564]. ამ სიტყვებით ემშვიდობება ელიზბარი ხევსურეთს. მადლიერების გრძნობით ემშვიდობება ყველა ხელოვანი თავის წინამორბედსაც, რომელთა ყლორტები წინაპართა ფესვებზეა ამოზრდილი.

წანლობა გვხვდება კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მაჯვენისა“ და „ხოგაის მინდიაშიც“. ვარდისახარი არსაკიძის წანალყყოფილად არის მოხსენიებული, რომელიც ვაჟს გურანდუსტის მიერ მოთხრობილ საიდუმლოს გაანდობს შორენას შესახებ. „თურმე ნუ იტყვი, — იდუმალის ხმით დაიწყო ქალმა,— შორენა როდი ყოფილა შენი ძუძუმტე“... „ალბათ მაშინაც იცოდნენ, ყმანვილები რომ წანლობენ ფხოვში, შეშინებია გურანდუხტს, ამი-

ტომაც დაუთქვამს ძუძუმტეობა თქვენი” [გამსახურდია, 1959, 630].

ხოგაის მინდია „სიმძიმილით” და სიხარულით ხშირად იხსენებს ხადდიშათს: „ხადიშათ, სადა ხარ ეხლა?

ეგებ კერიასთან ზიხარ სწორფერო ამ დროს და შესც-ქერი დალველფილ ცეცხლს?

ან სადიაცოში იწვე მარტოკა, გაყინულ საწოლში, ბალიშს ეხუტებოდე ისევე, როგორც შენს ძმობილ მინდიას ზამთრის ბერე ღამეში, როცა ქისტი ალდიძე ჯიხვზე სანადიროდ მიდიოდა, ან ხევსურების ხვასტაგის გამოსატაცებლად” [გამსახურდია, 1992, 275]. აქ, რასაკვირველია, არ ხდება წარმოჩინება სწორფერობის ბუნებისა; ხევსურეთში წანლობა მშობელთაგან დასამალი არ არის, და ხშირ შემთხვევაში, არც ქისტის ქალი შეიძლება იყოს ხევსურის წანალი, მაგრამ, რაკი წანლობა მთის ხალხის ცხოვრების ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, ავტორი, მაინც გვახსენებს ამ ჩვეულებას „ხოგაის მინდიასა” და „დიდოსტატის მარჯვენაში”. დღეისდღეობითაც კი, როცა უკვე მდიდარი სამეცნიერო მასალა შეიქმნა ფშავ-ხევსურეთის ყოფაზე, ზერჩვეულებებზე, ჯერ-ჯერობით მაინც მიუღწეველია სწორფერთა წარმოშობისა და საზოგადოებრივი ფუნქციის ზუსტი აზრი, მისი მეცნიერული აღნერა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს 6. ბალიაურის ნიგნი „სწორფრობა ხევსურეთში” სადაც თვითმხილველის და არა დამკვირვებლის შესვეობით არის მოთხოვნილი ამ უცნაური ჩვეულების შესახებ. ნიგნის ავტორის აღნერით, სწორფრობა, „როგორც წესრჩვეულება, დარჩენილია ლეკების შემოსავლების შედეგად”, როცა სათოფურებიდან „ქვიტკირებში” (კოშკისმაგვარი შენობა) აფარებდნენ თავს. ამ თავყრილობაში დამეგობრებული („დაძმობილებული”) ახალგაზრდობა შემდეგ ერთმანეთს დაჰყვებოდნენ ლხინში. აქედან შეიქმნა ტერმინები დობილ-ძმობილობა, ეს იგივეს ნიშნავს, რაც სწორფრობა და წოლა-დგომა. ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა ჯგუფი ხშირად ერთად ათევდა ღამეს და საუბრით ირთობდა თავს, ამას მოჰყვა აღნიშნული დობილ-ძმობილების წოლა-დგომაზე გადასვლა და სწორფრობის სახე მიიღო. როგორც ავტორი გვატყობინებს, სწორფრობის ნაირგვარი ფორმა არსებობს (რძალსა და ქმრის ნათესავებს, სიძესა და ცოლის მოგვარე

ქალებს, დეიდაშვილებსა და მამიდაშვილებს შორის..), მაგრამ, ერთია ნამდვილი — წოლა ძმობილებთან. ამჟამად ჩვენთვის უფრო საინტერესოა „სწორფრობის” ბუნება, ვიდრე მისი ისტორიული წარმოშვება და ფუნქცია. მიტომ ნათელა ბალიაურის ნიგნიდან მხოლოდ ქალ-ვაჟის ამ ურთიერთობის ხასიათზე შევწერდებით.

სწორფერთა შორის კონტაქტს „ელჩი” (შუამავალი) ამყარებს, რომელიც ქალისაგან მიიღებს თუ არა ნებართვას, რომ ვაჟთან დანოლა შეუძლია, გაემართება ვაჟის სახლი-საკენ და გამოიკითხავს მისგან ოჯახში არსებულ მდგომარეობას: ბევრი სტუმარი ხომ არ ყავს სახლში ღამით და თანახმაა თუ არა რომ ქალი მოუყვანოს მას. ყოველთვის ქალი მიდის წანალთან თვითონ. ვაჟის ქალთან მისვლა სირცხვილად ითვლება. პირველად ქალ-ვაჟი ძალიან მორიდებით არიან ერთმანეთთან, ორი-სამი შევხედრის შემდეგ კი უფრო გაბედულად ეალერსებიან ერთმანეთს.

„ზოგი ქალი წვება უცხო პიროვნებასთან ისე, რომ მას შეუძლება არც იცნობდეს. ასე რომ, აქ სიყვარულზე ლაპარაკი ზედმეტია. ის ვერ იქნება ძმობილი, რადგანაც ძმობილი სიყვარულის შედეგად არჩეული პიროვნებაა. ასეთ წოლა-გდომას ეძახიან სწორფრობას” [ძალიაური, 1991, 27]. „სიყვარულში გამოტეხილი ძმობილები ურთიერთთან კარგად არიან. წოლის დროსაც აღარ იციან დიდი მორიდება... ვაჟს ქალი ერიდება იმდენად, რამდენადაც გადაჭარბება დაუშვებელია... ძმობილი ქალი ხევსური ვაჟისათვის დაზე მეტად შესანახი და მოსარიდებელია.... მასთან სქესობრივ კავშირს არ დაიჭერს” [იქვე, 24]. სწორფერთა შეუღლება დიდ სირცხვილად არის მიჩნეული. ხევსური ქალი თავის ძმობილს უკეთებს ყველაფერს, რაც ქალის ხელით შეიძლება შეიქმნას და მოიქსოვა: მამაკაცისათვის ჩასაცმელი იქნება ეს, თუ ტანსაცნოლის მოსართავი საწვივები, სათამბაქო, ნაბდის ქუდი, ხელთათმანები... ყველაფერს მორთავს სირმებით და ცდილობს ლამაზი ნახელავი გამოუყიდეს. „მას ძალიან უყვარს თავისი ძმობილი შეიძლება მამის და ძმის საიდუმლო გასცეს, მაგრამ ძმობილის ამბავს არასოდეს მოჰყვება. თავისი მხრივ, ვაჟიც თავის ძმობილს (ქალს) უკეთებს ხელსაქმისათვის საჭირო ნივთებს. ხისაგან რამეს: „ცხემლს”, „წიწუს”, „სააბრაშუნეს”, ანუ „გალიას”,

, „სახრელს”, „ტაგრუცს”, „სასამრელოე როჩიკას”, „კოზს”, „ჯამს”, „საწყლე კოფას”. ეს იმიტომ, რომ მხოლოდ მან მოიხმაროს, მიუტანს აგრეთვე ვერცხლის ბეჭედს, პატარა გარმონს, აბრეშუმის ბალდადს, სირმას, მძივს და სხვა” [იქვე, 65]. ქალ-ვაჟი ერთმანეთს სატრფიალო ლექსებს გამოუთქვამენ. ვაჟის ოჯახის ნევრები და ნათესავები პატივს სცემენ მათი შვილის რჩეულს; მეგობრობენ მასთან და ყველგან ეპატიუებიან. ძმობილი ქალი თავის მხრივ მონაწილეობას ღებულობს ვაჟის დაოჯახებაში. მოუნიონებს ან დაინუნებს მას საცოლეს. ხევსური ქალის შრომა ძალიან მძიმეა. მას ხელსაქმის გარდა ევალება ხვნა და მკა, თიბვა და თივის მოგროვება, ზვინებად აგება, საქონლის მიხედვა. „ხევსურეთში ქალობა არც ისე იოლი საქმეა” [იქვე, 64]. ამავე აზრს ვხვდებით ვაჟა-ფშაველას, ჩვენ მიერ ზშემოთალნიშნულ წერილებში, სადაც ის ფშაველი ქალის შესახებ საუბრობს; ვაჟაც მიიჩნევს, რომ ქალის როლი ძალიან მძიმეა მთაში. თუ ნ.ბალიაურის აღნერილობასა და ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ წერილება შორის მკრთალ პარალელს გავაკლებთ, ცხადი გახდება, რომ წანლობის წარმოშობის შესახებ არსებობს განსხვავებული აზრი და ეს ბუნებრივიცაა, რადგან სპეც. ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ამ ჩვეულების „ყოფაცხოვრებითი ინსტიტუტი” აუხსნელია, მისი წარმოშვება გაურკვეველია. ჯერ-ჯერობით, არც ადრე და არც სადღეისოდ, ცნობილი და მოძიებული მასალა არ იძლევა საფუძველს რაიმე მეცნიერული დასკვნის მისაღწევად. ამიტომ წანლობის წარმოშვების შესახებ შეხედულება ავტორთა ვარაუდისა და წარმოდგენის დონეზე განიხილება ვაჟა-ფშაველაც და ნ.ბალიაურიც სწორფრობაზე თითქმის ერთნაირ ინფორმაციას გვაწვდიან, როცა წანლობის ბუნებაზე საუბრობენ. ორივე ავტორთან მკაფიოდ არის გამოკვეთილი, რომ წანლობის დროს არ შეიძლება სწორფერთა დაქორწინება ერთმანეთზე და ფიზიკური ურთიერთშეხების დროს საზოგადოების მიერ დადგენილ ზღვარს გადასვლა; ოღონდ ვაჟასთან ეს ყოველივე ფშავის მცხოვრებთა ყოფის შემადგენელ ნაწილად არის წარმოდგენილი, ნ.ნალიაურთან კი ეს ხევსურეთის ცხოვრების ორგანულ წარმოდგენის განიხილება. სწორფერობა „თავის საპირისპირო მოვლენაში გადადის, თუ კარგავს სიმაღლეს

და ეცემა ხორციელამდე... „აღსანიშნავია ისიც, რომ ვაჟა-ფშაველა ფშაურ წანლობას რუსთველურ მიჯნურობასთან აიგივებდა” [კიკნაზე, 1991, 7]. როგორც მიჩნეულია, ავტორ-მა ამ უცნაური ჩვეულების ზუსტი სურათი დახატა „ენგადში”, ვაჟა-ფშაველას მსგავსად, სადაც, გრიგოლ რობაქიძის დასკვნით, უარყოფილია ხორციელი „შობა მშვენიერებაში” და „ინვოდ მხოლოდ” გაგებულია როგორც გზნება „ღვთიურ-წარუვალი ცეცხლურ ზღვარზედ”, ეს ყოველივე პლატონური სიყვარულის „ცხადებად“ არის მიჩნეული, აქედან გამომდინარეობს ალბათ მთაში მშობიარე ქალის მიმართ ერთობ საკვირველი დამოკიდებულება (ქალი განმარტოებით მყოფი მარტო უმკლავდება თავის პრობლემას და არავის აქვს მასთან შესვლის უფლება) მათთვის სიყვარული და ოჯახი სხვადასხვა რამ არის. გარდა ამისა, გრ. რობაქიძის ინტერესის საგანი უნდა იყოს ადამიანისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმის ჩვენება; მოთხოვობაში, ქართულ მწერლობაში არსებული ტრადიციებისაგან განსხვავებით, ადამიანი წინააღმდეგობას კი არ უწევს, ზუსტად ემორჩილება საზოგადოების მიერ მიღებულ წესს. აქ მთის ცხოვრებაა აღნერილი და მწერალი, თითქოს, მის მიერ აღმოჩენილი ამ „ეგზოტიკური” სამყაროს ზუსტი ასახვით არის გართული; ამიტომ, მხატვრული ნაწარმოები მოკლებულია მძაფრ სიუჟეტს, პერსონაჟები კი — წინააღმდეგობით ალსავსე ხასიათს და აქედან გამომდინარე ქმედებასაც. და, რაკი ქმედებაში ყველაზე უკეთ იხატება პერსონაჟი, ამ მომენტით არის გამოწვეული მწერლის ფანტაზიაშიც სისხლ-ხორცეული გაცოცხლება და საბოლოო სრულყოფა გმირისა. ვფიქრობთ, „თეთრი საყელოსაგან” განსხვავებით, „ენგადში” გმირთა შედარებით, „მკრთალი” სახეებია დახატული. მოთხოვობაში უფრო მწერლის ცნობიერების ნაკადის ასახვა ხდება, და ნაწარმოების ხერხემალი — სიუჟეტი, ქვეწობიერ ფორმას არის დამორჩილებული. ის ცოტათი სქემატურ სახეს იღებს. სწორედ ამიტომ ესთეტიკური ფუნქცია პირველ ადგილს უთმობს შემეცნებით ასპექტს, და, რადგან ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ წერილებს ზუსტად მიჰყება ენგადისა ავტორი, ამ შემთხვევაში თამამად შეგვიძლია ვიმსჯელოთ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებით მიმართებებზე, და, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლიტერატუ-

რულ გავლენაზეც, ხოლო ჩვენს მიერ დასახელებულ მწერალთა (კ.გამსახურდია, მიხ.ჯავახიშვილი) ნაწარმოებებში კი, დიდი წინაპრის შემოქმედებასთან მიახლების მხოლოდ ირადიაციული მომენტები შეიძლება მივიჩნიოთ ლიტერატურული მიმართების ფორმად.

ვაჟა-ფშაველა ეთნოგრაფიულ წერილებში მსჯელობს და გვიხსნის კიდეც მიზეზს თუ რა წინაპირობა უდევს საფუძვლად ყოველ ჩვეულებას ან საიდან მომდინარეობს ფშავ-ხევსურთა ქცევის თავისებურებანი. გრიგოლ რობაქიძისათვის ეს ყოველივე ამ „დაფარული“ სამყაროს გაცოცხლების სურვილია; ამიტომ მოთხოვობაში, გარდა წანლობისა, გვხვდება მთის ხალხისათვის დამახასიათებელი არაერთი წეს-ჩვეულება.

ძმად გაფიცვა ძალიან გავრცელებულია მთაში. მოთხოვობის გმირი, გიორგი ვალუევი, ძმად მიიღო ხევსურმა მგელიკამ, რომელიც გოგოთურის გულითადი მეგობარია; ეს უკანასკნელი დაიჭრება გივი ქისტაურის მიერ. „ლონიერსა და მარჯვე გოგოთურს გაეხელებინა თურმესუსტი და მოუქნელი გივი [რობაქიძე, 1991, 25]. ის გაბრაზებულიყო და მოულოდნელად ხანჯალი გოგოთურისათვის მუცელში გაეყარა. „გივი ლაჩარი არის... მაგრამ გოგოთურიც ცუდ და უღირს მოქცეულა“ [იქვე, 25]. მოთხოვობაში ჩანს, რომ გოგოთური გამომწვევად იქცევა, გააღიზიანებს გივი ქისტაურს და ამ უკანასკნელს საპასუხო რეაქცია აქვს. ამ ფაქტთან დაკავშირებით გვინდა მოვიგონოთ 1919 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებული წერილი „ხევსურის თავი“, სადაც ვაჟა-ფშაველა სწორედ ამ საკითხზე მსჯელობს.

წერილში ახსნილია, თუ რატომ არის ხევსურეთში ასე ხშირი ადამიანის გაღიზიანების და მდგომარეობიდან გამოყვანის შემთხვევები. ეს „გამართლებულია“ გაჭირვებული ცხოვრებით, რომლის გამოც ხალხს „კეჭნაობით“ დაუწყია სპეცულიაცია, რეადგან დამჭრელი უნდა მოელოდეს დაჭრას, „დაკეჭნას“. თუ ექიმი არ დააყენა დაჭრილს, შეურაცყოფა არ უზღო და ექიმიც თავის ხარჯით არ გაისტუმრა...; მერჯულებმა უნდა წყლული დაზომონ ქერის მარცვლებით. მარცვლები დაეწყობა ამრიგად, ერთი რომ სიგრძივ დაიდოს, მეორე უნდა დაიდოს გარდიგარდმო, რამ-

დენ მარცვალსაც დაიტევს ჭრილობა, დამჭრელმა იმდენი ძროხა... უნდა მისცეს [ვაჟა-ფშაველა, 1961, 250]. ჭრილობის დაზიანების შესახებ მსჯელობას ვხვდებით ვაჟას სხვა ეთნოგრაფიულ წერილში, რომლის სათაურია “ხევსურები”. აქაც ზარალის ანაზღაურების იგივე ფორმას აღტორი.

„ფრთხილად უნდა იყო სისხლთანა“ – ამბობს მოთხრობის გმირი – მგელიკაც, რომლის მეშვეობითაც გრიგოლ რობაქიძე გვთავაზობს მსჯელობას, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოისყიდოს ხევსურმა თავისი სხეულის დაზიანებისა და დაშავების შემთხვევაში დანაშაული. მგელიკა საუბრობს, რომ დამზარალებელმა ძროხების საშუალებით უნადა გამოისყიდოს დანაშაული; შესაბამისად იმისა, თუ დაზარალებულს სხეული რა ნანილი აქვს დაშავებული. თვალის დაზიანება ოცდაათ ძროხას მოითხოვს, ფეხის – ოცდაოთხს... ხოლო ჭრილობის სიგრძეს, თუ დაჭრილს ძვალი არ დაზიანებია, ხორბლის მარცვლებით ზომავენ, პირველსა და ბოლო მარცვალს აცლიან და მარცვლების მიხედვით ადგენენ თუ რამდენი ძროხა უნდა ჩაბარდეს დაშავებულს.

საფიქრებელია, რომ გრ. რობაქიძეს უნდა სცოდნოდა ვაჟას მიერ გამოქვეყნებული ეთნოგრაფიული წერილების შესახებ, რადგან ხევსურთა ახირებული ქცევა და ხასიათი, ჭრილობის მარცველით გაზომვის ფაქტიც კი, ზუსტად მიჰყება ვაჟასეულ აღწერილობას.

ვაჟა-ფშაველამ ფშავ-ხევსურეთის ყოფითი პირობებისა და მთის მოსახლეობის წეს-ჩვეულებების გარდა აღწერა მათი გარეგნობა და შინაგანი ბუნება, ხასიათი... წერილში „სოფელი ხახმატი“, ვაჟა მოგვითხრობს სწორედ ხევსურთა ახირებული ხასიათის შესახებ: ხატობის დროს, როცა კარგად შეზარხოშებული არიან სჩვევიათ შარის მოდება და ერთმანეთის საჩხეუბრად გამოწვევა. ხატობა ისე არ დამთავრდება, რომ ვინმეს სისხლი არ ადინონ და ეს, ვაჟკაცობად მიაჩნიათ. ასე რომ, ლუდის სმა „უქმად“ არ ჩაივლის მათვის; ყოველი ხევსური ჩამჯდარა „ჯაჭვ-ჩაჩქანში მხარილივ გადაკიდებული ფარებით“ [ვაჟა-ფშაველა, 1961, 348]. წერილიდან — „ხევსურები“ ვიგებთ ხევსურული ჩაცმულობისა და ქცევის შესახებაც: ხევსურს წითელი, ჯვრი-

ანი ჩოხა აცვია, გვერდზე ფარ-ხმალი ჰკიდია, ის განუშორებლად ატარებსა იარაღს და ყოველთვის მზად არის მტრის შესახვედრად; თვით ხევსურთა „დასაკეჭნადაც“. მტერთან შეხვედრის დროს მაშინვე დაშნას ან ხმალს წაატანს ხელს; ასევე იქცევა თუ მას სისხლის აღება უნდა, ან უბრალოდ შეურაცხყოფილია ახლობელი ადამიანისაგან. „უცხო ადგილას ხევსური ფრთხილი და მშიშარაა. ხევსურეთში კი მეტად ამაყი და თავმოყვარეა ცოტა რამეზე შარს მოგდებს, მცირე რამ ეწყინება“ [ვაჟა-ფშაველა, 1961, 41].

„ენგადში“ მრავლად მოიპოვება ამის პირდაპირი თუ „ლანდური“ ასახვა. აქ ჩვენ ვხვდებით თხრობას ლუდის გამოხდის ტრადიციის შესახებ და ხახმატის დღესასწაულზე ხევსურთა ხასიათისა და ჩაცმულობის ამსახველ მომენტებს: „რიგებმა ფარიკაობაც იწყეს, მორკინალნი ჩაცმულნი იყვნენ როგორც მეომარნი. ტანზე ჯავშანი ეცვათ, მკლავებზე სამკაული, მხრებზე ფარი და წელზე ხანჯალი... მეომარნი ფარიკაობდნენ, როგორც ვიკინგები [რობაქიძე, 1991, 16]. მოთხრობაში აღნერილი ახალგაზრდა ხევსურის ტანსაცმელი და მისი მოკაზმულობა; რომელსაც მოშავო ჯუბა წითურ პერანგზე ეცვა ზედ გოჯის ოდენა ჩაქსოვილი ჯვრებით. წელზე ხმლითა და მხარზე ფარით, ღვედზე ხანჯლით, მისი სახის კუნთები ძალას გამოხატავდნენ. „მის ფიზიკურ აგებულებაში სჩანდა სულიერი თვისებაც მისი ტომისა: უნდობლობა და ამაყი თავდაჭერა. მზადყოფა გამოწვევისათვის და უშიშროება, თავნებობა და გულოვანება. უნდობლობა მასში შეწყვილებული იყო ბავშვურ რცხვენასთან თუ კლდენმასთან“ [იქვე, 6]. „შინაგან ამაყი და არა მედიდური“ ასე ახასიათებს გრ, რობაქიძე ხევსურს, რომლის ჩაცმულობა, აღჭურვილობა, ტანსაცმლის ფერიც კი, ზედ გამოსახური ჯვრით, ემთხვევა ვაჟასეულ ხევსურთა აღნერას.

ნადირობა ორგანული მომენტია მთის ხალხის ცხოვრებისათვის. ჩვენ „ენგადშიც“ ვხვდებით ნადირობის სცენას. სანადიროდ ისინი მიდიდან: გიორგი ვალუევი და ხევსური მგელიკა. ორი გასროლის შემდეგ ჯიხვი მოკვდება ხევსურის ნასროლი ტყვიით. წამოიღეს „დაკოდილი ლამაზი ნადირი. ტყავი მგელიკა ეკუთვნოდა, ხორცი კი ორივეს... ხოლო რქები სალოცავისათვის უნდა შეგვენირა“. ყველაფერი

ეს – ხევსურთა ნადირობის წესით [იქვე, 19] – გვატყობინებს მნერალი; მთის ხალხს წესად აქვს ნანადირევის შუაზე გაყოფა. ამ ფაქტის ამსახველ ეპიზოდს „ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელშიც“ ვხვდებით: ჯოყოლა, „როგორც ამხანაგთ წესია“, სთავაზობს ზვიადაურს მოკლული ნადირის ნახევარს:

„შერცხვეს, ჩემს თავად, ვინც შენა
ნაწილი დაგიკარგოსა“

– ეუბნება იგი დამეგობრებულ მონადირეს. ნაწილის დაუკარგავობა, თავისთავად გულისხმობს მონადირეთა შორის მიღებულ წესს, სადაც ნანადირევის განაწილება ხდება, მიუხედავად იმისა, თუ ვის მიერ არის მოკლული ნადირი.

ნანარმოებში საინტერესოდ არის გადმოცემული ხახმატის დღესასწაული. გიორგი ვალუევი, მის ძმადნაფიც მგელიკასთან ერთად მოხვდება ხევსურთა სალოცავში. მისი აღწერით, „ერთი ციცაბო კლდიდან კოშკიგადაპყურებს ხახმატის მიდამოს“. იქვე ახლოს წმინდად მიჩნეულ ენერში, სადაც აკრძალულია ტოტის მოტეხვაც კი სალოცავი – „ხატი“ – არის გამართული. ასეთ ენერთა არეში მცენარეულთა ზონის მაღლა ხეებიც კი გვხვდებიან ხევსურეთში...

„წმინდად მიჩნეულ ხეების ჩრდილში გამოჩნდა სადა თირიქვისაგან ნაშენი საჯვარე“. [რობაქიძე, 1991, 14]. გალავანში ლოდებზე დაესვენებინათ ჯიხვისა და ირმის რქები, აქვე იდგა სადღესასწაულო შენობა დღეობის ჟამს ღამის გასათვად; იყო მეორე შენობაც ხალხისათვის. აგრეთვე პატარა ქოხები, სადაც ლუდს ხდიდნენ და ხორბალს ინახავდნენ. სალოცავი დაბალი და ბნელი იყო „ხატში“ არავითარი ხატი არ იყო ამ სახელის ზუსტი მხიშვნელობით, „სამაგიეროდ მრავლად მოიპოვებოდა იქ კოდი, ხისგან გამოჭრილი, მრგვალი და გრძელი, აგრეთვე: უთვალავი დოქები, ქვაბები, კასრები, ორშიმოები. ერთადერთი რამ წმინდა სალოცავში იყო „დროშა“ – გრძელი, მოვერცხლილი ლატანი, ვერცხლისავე რეინა წვერიანი ხრმალით. დროშას ეხვია ალამი, რომელიც მოქროლვისას ფართოდ ფრიალებდა“ [იქვე, 14].

მლოცველები ელოდებოდნენ ხევისბერს. მლოცველებს ხატისთვის შესანირად უმეტესად ცხვარი მოეტანათ და ხელთ ჰქონდათ ლუდით სავსე დოქიც. ხევისბერი წირავდა და ბერი ლოცულობდა. გამჩენს ავედრებდა ხატობის დღეს,

ადიდებდა მზეს და მის „თანა მყოლთ”. მლოცველის თავს ავედრებდა ხევისფერი უხილავს, სთხოვდა მის გაძლიერებას. შემდეგ კი ლუდი მოსვეს ბერებმა და დარჩნილი სას-მელი გვერდით მდებარე კასრში ჩაასხეს. მთავარმა ხევის-ბერმა კურატი შესწირა ხატს. ბასრი დანით გადაუსერა ცხ-ვარს ყელი და სისხლში დასველებული ხელით გამოუსახა შუბლზე მლოცველს ნიშანი ჯვრისა. მოჭრილი მსხვერპლის თავი კი ხევისბერმა შემწირველს გაუწოდა. ერთ მლოცველს მეორე მოჰყვა... ხევისბერი სისხლიანი დანით ხელში იდგა.. ამ რიტუალის დამთავრების შემდეგ, ერთმანეთშია აირია ხორცი, ხინკალი, ლუდი და არაყი, ნადიმი თანდათან ღრე-ობაში გადავიდა. ისმოდა სიმღერა და შაირი; ყოველივე ამას კი მოჰყვა ხევსურთა ურთირთშერკინება, რომელიც თან ახლავს ყოველ ხატობას. მათ შორის ბევრს ნაჭრილობევი სახეზე ეტყობა. ისინი მეომრებივით არიან იარაღასხმული, ამის შემდეგ კი იმართება მარულა.

გვინდა მოვიგონოთ ვაჟა-ფშაველას წერილი „სოფელი ხახმატი”, რომელიც 1880 წელს დაიბეჭდა გაზეთ „დროე-ბაში”. ხახმატის დღეობის შესახებ ავტორი გვატყობინებს, რომ ხევისბერი, რომელსაც ხელში სისხლიანი ხანჯალი ეჭი-რა, ლოცულობდა და „უსომდა ყელში ხანჯალს ცხვარს და ძროხას”. [ვაჟა-ფშაველა, 1961, 347]. ზუსტად ასეთი სისხ-ლიანი დანით დგას მოთხოვნაშიც ხევისბერი და „ლოცვის” შემდეგ, „ბასრი დანით” უსერავს ცხვარს ყელს.

ვაჟა აღნერს, რომ ხევსური, მისი ბუნებიდან გამომ-დინარე, ხატს უფრო კლდეებში და ყორეებში ეძებს, ვიდრე ეკლესიებში, რადგან ასეთი ხატის გარეგანი შეხედულება უფრო მისაღებია მისთვის. იქ დაწყობილია ირმის და ჯიხ-ვის რქები და გაშლილი დროშა. მოთხოვნაშიც ნახსენებია, რომ ლოდებზე იყო დასვენებული ირმისა და ჯიხვის რქები, ხოლო სალოცავში კი იდო „დროშა” – გრძელი, მოვერცხლი-ლილატანი”. დღეობის შესასრულებლად ლუდიანი კოდებიც გაიხსნა „კარგად გამოთვრენენ ყველანი და მოაგონდათ თავისი ძველებური ჩვეულება. აქედამ ისე როგორ უნდა ნავიდეს ხევსური, რომ სისხლი არავის ჩამოადინოს” [იქვე, 348]. ამავე წერილში ვაჟა-ფშაველა აცოცხლებს ჯაჭვ-ჩაჩ-ქანში ჩამჯდარ ხევსურთა ურთიერთშებრძოლების სცენას „რამდენიმე დასჭრეს მსუბუქად, ორი ფშაველთაგანი მძ-

იმედ დაიჭრა და ერთ ხევსურს თავი გაუტყდა” [იქვე, 349]. ამის შემდეგ კი გაისმა ჩონგურის ხმა და სიმღერა... აქ მოყვანილი ყოველი ფაქტი ლუდის, როგორც ხატობის დროს აუცილებელი სასმელის სმა, ხალხთა შორის ატეხილი ჩხუბი, ხევსურთა ჩაცმულობა და ხალხური სიმღერა, როგორც ზემოთ აღვინიშნეთ, გვხვდება მოთხოვნაშიც.

ხატობის დღესასწაულის აღნერის შემდეგ გრიგოლ რობაქიძეს ლოგიკურად მიაჩნია მსჯელობა „პირვენულისა” და „თაურის” შესახებ... მთავარი გმირი იჯდა მონადიმეთა შორის და როგორც მაყურუბელი, ისე აკვირდებოდა ამ ყოველივეს: „შინაგან ვერ გავხდი ზიარი დღესასწაულისა” [რობაქიძე, 1991, 16]. ის, როგორც „უცხო” ზუსტად ამავე მიზეზით ვერ გახდა ბოლომდე წანლობის შემნარჩუნებელი.

...იქ სადაც ცალკეულობა „ჰერებოდა, გვაროვნული ღვიოდა”, ისინი ერთი მთლიანი წანილის შემადგენელი იყვნენ. სახე მთელისა კი იყო ტომი. ხატიც შინაგან წანილად მიაჩნია გრ. რობაქიძეს ხელუხლებელი მთელისა. „სალოცავს” ხატი ჰქვია... მთაში ხატი სურათი კი არ ყოფილა, არამედ შინა-სახე” [იქვე, 17]. რაკი ხევსური „ხატის ყმას” ეძახის თავს, ლუდსაც ერთად ხდის მთელი სოფელი და საკლავიც ხატში ერთად მიჰყავთ, ავტორის დასკვნით, ხევსური ტომის ნების აღმსრულებელია. „ხატისა” და „შინა-სახის” იგივეობის შესახებ გრიგოლ რობაქიძე მსჯელობს „ვაჟას ენგადშიც”. ეს წერილი 1961 წელს გამოქვეყნდა, მოთხოვნა „ენგადის” დაბეჭდვის შემდეგ. ავტორი აქ „ხატის” ცნების განმარტებისათვის ძირითადად ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას ეყრდნობა და ასკვნის, რომ „ხატის” მაგივრად „ჯვარიც” იხმარება: „სკამის იჯდა ბაბურაული გუდანს გუდანის ჯვარშია”, - იგონებს ვაჟას ერთ შაირს. „წილის მყრელები შევარდნენ ბაბურაულთან ხატშია” – წათქვამია ამავე შაირში [რობაქიძე, 1987, 175]. ხატი რომ სალოცავი შენობა არ არის ამის დასტურსაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში პოულობს ავტორი და წერილში მოჰყავს შემდეგი წაწყვეტი:

„როცა ომი გვაქვს ქართვლის ჯარს,
ნათელი გვიძლვის ღამითა
კაცი რამ ლურჯცხენიანი,

ამოღებული ხმალითა
ეს ჩვენი ტურფა მფარველი
ლაშარის ჯვარად ვცანითა".

„ჯვარი“ ან „ხატი“ შენობა რომ იყოს, რარიგ მოელანდებოდა იგი მეომართ, როგორც კაცი ლურჯცხენიანი!“ არა – „ჯვარი“ თუ ხატი რქმევას შინა-სახის. რისი სახის? ტომის, თემის, ვითარცა არსისა, - მთელის” [იქვე, 175]. „ჯვარისა“ და „ხატის“ გრიგოლ რობაქიძე ტომის, თემის ღვთიურ შუაგულად მიიჩნევს. ლაშარი კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მითიურ განპიროვნებად აქვს წამოდგენილი... ლაშარის ჯვარზე ინფორმაციას უხვად გვანვდის ვაჟა-ფშაველა. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ 1903 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული წერილი: „ლაშარის ჯვარის დღეობა ანუ ლაშარობა“. „ლაშარობა იგივე გიორგობაა, ხოლო იმის უმთავრესი დღეობა პეტრე-პავლობა ე. ი. 29 ივნისს მოდის და სამ დღეს გასტანს არც ერთ სხვა ფშაურს „ხატს“ ანუ სალოცავს იმდენი მლოცველი არა ჰყავს, რამდენიც ლაშარის ჯვარს“ [ვაჟა-ფშაველა, 1961, 199] მთის ხალხის აზრით ლაშარის ჯვარი დიდი ძალის მქონეა, ის ბრძოლებში გამარჯვებისა და დამარცხების მიზეზადაც მიაჩნიათ. ვაჟა-ფშაველა იგონებს, რომ ვისაც ფშავის დამორჩილება სურდა, ბრძოლას ლაშარის ჯვართან იწყებდა. ასე მოიქცა ზურაბ ერისთავი, რომელმაც ხატის შემუსრვა გადაწყვიტა. ამის გამო მან მოჭრა დიდი მუხა, “რომელსაც ჰქონდა კენწეროზე „ციდან მოსული ოქროს ჯაჭვი ანგელოზების ასასვლელ-ჩამოსასაცლელად“ [იქვე, 201]. დამპყრობლის სურვილი ქარმა წაიღო. ასევე მოიქცა შაჰ-აბაზი, რომელსაც ლაშარის ჯვარის დამხობა და მისი სიმდიდრის ხელში ჩაგდება უნდოდა. ფშავ-ხევსურებმა არაგვის ვიწრო გასასვლელში გაანადგურეს მტერი... ფშავ-ხევსურებს თავიანთ სალოცავებისა მიმართ იმდენად ძლიერი რწმენა აქვთ, რომ არასდროს აკლდებიან ხატობას.

მოთხოვთა „ენგადშიც“ დაჩვენს მიერზემოთ დასახელებულ წერიულშიც ჩანს, რომ გრიგოლ რობაქიძე დიდ ინფორმაციას ფლობს ფშავ-ხევსურული ყოფის შესახებ. ხატების შესახებ მსჯელობის დროს იგი წერილში არაერთხელ იმონბებს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, მოთხოვთა კი, შეიძლება ითქვას მისი დიდი წინაპრის ეთნორაფიული წერილების

ექოა.

კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდიაში” აღწერილია ხატობა ხახმატში. ვფიქრობთ, ისე როგორც „ენგადში”, ამ ნანარმოებშიც ზუსტად მეორდება ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ წერილებში გადმოცემული ამ ნარმართული, სადღესასწაულო რიტუალის ბუნება; ჩვენს მიერ ზემოთალინიშნულ წერილში „სოფელი ხახმატში”, ვაჟას მიერ ჩაცმულობით, ხასიათითა და სხვათაგან გამორჩეული ქმედებით დახასიათებული ხევსურები, „ხოგაის მინდიაში” პერსონაჟებად ცოცხლდებიან იგივე ჩაცმულობით, იგივე ხასიათით და ქცევის ფორმით: ჩვენ ვხედავთ თორ-აბჯარში ჩასმულ ხევსურებს, წითელ-ყვითელი შიბებით მოკაზმულ დიაცებს, ხახმატის სიმაგრეს, სადაც „ქაჯეთის ციხიდან მოუტაციარქაი, ძროხისა”, იქვე „ოქროს ჩონგური და ხატის დროშები ეგულებათ. ისმის შესაწირი ბატკნების ბლავილი, რომელთაც „მცირე ხატის ნიშთან” კლავენ ქალების „გასანათლავად”. მთავარი ხუცი დანას აშიშვლებს, მსხვერპლს სწირავს და „ლოცულობენ”; შემდეგ საკლავის ხორცს და ტყავს ანანილებენ ამის შემდეგ კი, ხორცითა და კვერებით უმასპინძლდებიან ერთმანეთს დიდ დარბაზში. ისმის ფანდურის ჩხაკუნიც და ლუდით შემთვრალი ხევსურები ხმლებს იშიშვლებენ;

„ლუდმა” ძელთაძველი სისხლი შეახსენა ჭინჭარაულებსა და ოჩიაურებს.

პირველად ხირჩლა ჭანჭარაულმა იშიშვლა ფრანგული და ყური წააცალა გახა ოჩიაურს, გახას სამი ძმა მიეშველა ხმალამონვდილი, პიპა ოჩიაურმა და მისმა ძმამ გამართეს მკლავი და დაერივნენ პირტიტველ ჭაბუკებს ხმალში ნაცადი ბერიკაცები.

მოზღვავდნენ ირგვლივ ჭინჭარაულები და ოჩიაურები... გაისმის ბექთარების ლანანი, ხმლების წკრიალი და ფარების უდარუნი... უნვერულ ყმანვილს... თქრიალით გადმოსდის სისხლი...

კალთაშემოცვეთილ, უზარმაზარ ხევსურს ერთი მტკაველი ბიჭუკელა დასტაკებია...

შვიდი ცოლი წელში ეცა შვიდ ვაჟკაცს, დიაცების დანახვაზე უარესად გამხეცდნენ მოშულლენი, უწყალოდ იღვრება მოლზე ხევსურის სისხლი” ... [გამსახურდია, 1992,

304]. ვაჟა-ფშაველა გვიხსნის ამ შუღლის და აურზაურის მიზეზს. „ეს მიზეზი ხშირად ლოთობაა, რასაც ფართო ას-პარეზი აქვს მოპოვებული ხევსურეთში, უზომოდ ლუდისა და არყის სმა... არევით სმა მსმელებს ნამდვილ ცოფიანებად ჰედის... ჩხუბის დროს ხევსური უეჭველად იარაღს ხმარობს... უიარაღოდ ხევსური ნარმოუდგენელია... კეჭნაობის სეზონად ჩაითვლება გაზაფხული, ზაფხულის ზოგიერთი დღეები, როცა ხატობებია, და ზამთარი. ამ დროს ხევსური მოცლით არის [ვაჟა-ფშაველა, 1961, 250-251]. ხატობისას კარგად გამომთვრალ ხევსურებს ყოველთვის ახსენდებათ თავიანთი ჩვეულება – მოგვითხრობს ვაჟა მათ შესახებ. ზემოთაც შევჩერდით და კვლავ გვინდა მოვიგონოთ წერილი: „ლაშარის ჯვარის დღეობა ანუ ლაშარობა”, რომელშიც ავტორი გვაწვდის კიდევ ერთ ცნობას – მწევარის საფლავის შესახებ. ხახმატის ჯვარი ხევსურეთში ძალიან საპატივცემულოა, აქ თუშები და ფშაველებიც ლოცულობენ. ზეპირი გადმოცემის მიხედვით, ერთ-ერთი ქართველი მეფის ძეს, რომელსაც ხევსურეთში უცხოვრია, ჰყოლია მწევარი, მოჰკვდომია და ამ სალოცავში დაუმარხავს. ვაჟა თავად ხშირად დასხრებია ფაქტს, როცა ფშავ-ხევსურები საფლავზე ციკნებს ხოცავდნენ და არა ბატკნებს; რადგან თხა მათ ეშმაკის გაჩენილად მიაჩინათ, მწევარს კი არ მიიჩნევენ იმის ღირსად, რომ ბატკანი შეენირათ; მიუხედავად ამისა, როგორც ვაჟა-ფშაველა გვატყობინებს, თვლიან, რომ მწევარის სულს შეუძლია თაყვანისმცემელს ხელი მოუმართოს საოჯახო საქმეში და გადაარჩინოს იგი ზარალისაგან. ამ ფაქტს ჩვენ კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობაშიც ვხვდებით: მინდიამ ხატობის დღესასწაულზე მწევარის საფლავის ხარს შესანიშნავი თეთრი ციკანი მოჰპარა... გარდა ამ ყოველივე ზემოთქმულისა, მოთხრობაში მოყვანილია ნადირობის სცენა; მკვეთრად ხაზგასმულია ხევსურთა „მორთულობის“ დამახასიათებელი ნიშნები: მინდიას გახადეს უბრალო ქისტური ჯვალოს ჩოხა, „რომელსაც არც ხევსურული ფერადი მძივები ამკობდა, არც ხატოვანი შიბები, არც ხევსურული თავნაგრაგნილი ჯვრები [გამსახურდია, 1992, 272]. ვფიქრობთ, რომ აქაც უდავოდ საგრძნობია ვაჟა-ფშაველას „ეთნოგრაფიული წერილების“ კვალი. იგივე შეიძლება ითქვას მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრ საყელოზეც“,

სადაც, წანლობის ბუნების წარმოჩინება ნაკლებად ხდება, მაგრამ ხევსურთა ბუნება და მათი ცხოვრების წესისა და ყოფისათვის დამახასიათებელი ცალკეული ასპექტები ზუსტად არსი გამოკვეთილი. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ვაჟა-ფშაველა წერილებში გვაცნობს ხევსურის სახასიათო ბუნებას. მსგავსი აღნერა გვხდება ჩვენს მიერ აღნიშნულ ნაწარმოებშიც: „იზრდებოდა ჯურხა, სული და ხასიათი კი ისევ ბავშვური შერჩა: აპეზარა, ამაყო, შემტევი, მაგრამ თანაც მინდობილი, ხალვათი, მიამიტი, მუდამ სულ-გაშლილი და გაოცებული” [ჯავახიშვილი, 1959, 459].

წერილში ხევსურები, რომლებიც 1986 წელს გამოქვეყნდა, ვაჟა-ფშაველა წერს: „ხევსური უცხო ადგილას ფრთხილი და მშიშარაა, ხევსურეთში კი მეტად ამაყი და თავმოყვარეა: ცოტა რამეზე შარს მოგდებს, მცირე რამ ეწყინება... როდესაც ბარიდან მთაში მიდის: იგი გაცოცხლდება, დაიწყებს ყვირილს, სიმღერას, მთელს არაგვის ჭალას ააქოთებს და ააზრიალებს... ხევსურს უყვარს პოლიტიკაზე საუბარი ცნობისმოყვარეობით... უყვარს სტუმარი და თავის შესაფერისად დახვედრაც იცის” [ვაჟა-ფშაველა, 1961, 42].

თეთრ საყელოში თოთია, მართლაც ბავშვური მეამიტობით ესაუბრება ვაჟიკას პოლიტიკაზე და აინტერესებს მეფე ერეკლეს მემკვიდრე ბატონის შვილი როდის დაბრუნდება საქართველოში, მას არ სჯერა, რომ ბაგრატიონთა გაწყვეტა და გადაჯიშება შესაძლებელია; მოთხოვთ ვხვდებით აგრათვე ძმად გაფიცვასა და კეჭნაობას; ვაჟა, ჩვენს მიერ დასახელებულ წერილში წერს, რომ რადგან ხევსურეთი ლარიბი მხარეა, ამიტომ ფულის ნაცვლად ნატურით ხდება ხალხის მიერ ზარალისა და სხვა გადასახდელი „ვალის” ანაზღაურება; ამგვარი ფაქტიც გვხვდება მოთხოვთაში. ჯურხას აპარეკას ნათესავები უჩიოდნენ, ამიტომ მსაჯულებმა ჯურხას „ხუთი ძროხის გადახდა დააკისრეს” [ჯავახიშვილი, 1959, 527], აქ, ჯურხას მამა, შვილის წავლის საფასურადაც, ფულის ნაცვლად, ერბოსა და ძროხებს გზავნიდა....

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნარკვევი ასახავს ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ წერილებთან გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიასა და მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრული მიმართებების მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს.

დამოწმებანი:

ბალიაური 1991 — ბალიაური ნ. სწორფრობა ხევსურეთში, თბილისი 1991.

გამსახურდია 1959 — გამსახურდია კ., დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა — რჩეული თხზულებანი II, თბილისი 1959.

გამსახურდია 1992 — გამსახურდია კ., ხოგაის მინდია — ნოველები I, თბილისი 1992.

ვაჟა-ფშაველა 1961 — ვაჟა-ფშაველა, პოემები, ტII, თბილისი, 1961.

ვაჟა-ფშაველა 1961 — ვაჟა-ფშაველა, „პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები“, ტV, თბილისი, 1961.

კიკნაძე 1991 — კიკნაძე ზ., მინაწერი მოთხრობა „ენგადისათვის“ — ათი საუკეთესო მოთხრობა, თბილისი 1991.

კიკნაძე 1991 — კიკნაძე ზ., რედაქტორისაგან — ბალიაური ნ. სწორფრობა ხევსურეთში. თბილისი 1991.

რობაქიძე 1926 — რობაქიძე გრ., ვაჟა-ფშაველა (ნაწყვეტი 1909ნ. წაკითხული ლექციისა), მნათობი 10, 1987.

რობაქიძე 1926 — რობაქიძე გრ., ენგადი — ათი საუკეთესო მოთხრობა. თბილისი 1991.

რობაქიძე 1926 — რობაქიძე გრ., ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, კრებული, თბილისი 1996.

სიხარულიძე 1989 — სიხარულიძე კ., ეთნოგრაფის საკითხები

ჯავახიშვილი 1959 — ჯავახიშვილი მიხ., თეთრი საყელო — მოთხრობები, ტ. II, თბილისი 1957.

სარჩევი

გაბრიელა მისტრალი	3
ემილი დიკინსონი — უცნობი და ახლობელი	13
„საქართველოო ლამაზო...“	25
„არაბეთის სურნელოვანი ბალახები“	39
ამოუცნობის ინტერპრეტაციები დრამატურგიაში	45
„რისთვის მოდის ადამიანი ამ ქვეყნად?“	54
ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული წერილების მნიშვნელობა და კვალი XX საუკუნის ქართულ მწერლომაში	57

დაბეჭდა გ ამომცემლობა
„ეროვნული მწერლობის“
სტამბაში. მსატეგრის ქ. №4
ტელ. 31-70-47
32-73-62
E-mail:
litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com
თბილისი 2009